პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

17 დეკემბერი ორშაბათი 2012 №298 (13 904) ფასი 80 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ოქრიაშვილი ზემოთ შახტარი

4



შახტარმა თორნიკე ოქრიაშვილი იჯარიდან დაიბრუნა

## ვიწყებთ 2012 წლის რჩეული სპორტსმენის გამოსავლენ გამოკითხვას

## ბასილაშვილის ანტალიური დუბლი

12



ევროთასები მიმოხილვა 5-11

## ბრძოლა ექვსეულისთვის

შანსები: ჩემპიონის - პრაქტიკული, მეტალურგის - თეორიული

## მარადიული შეკითხვა: ევროპა თუ ამერიკა?



1

8

კორინთიანსი მსოფლიოს ჩემპიონია



0

## დინამოს კი ვერავინ აჩერებს

საქართველოს ჩემპიონატი 2-4



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

დინამო-ზუგდიდი 2:0

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

● საქართველოს ჩემპიონატი. XX ტური

15.12. თბილისი. დინამო არენა
800 მაყურებელი

**დინამო (თბ) 2**
**ზუგდიდი 0**

1:0 ჩისკო (31, მერებაშვილის პასით), 2:0 დვალი (35, სეთურიძის პასით)

| დინამო (თბ) 4-3-3 | ზუგდიდი 4-4-2 |
|---|---|
| ლორია | ქაზანია |
| სეთურიძე | აფაქიძე |
| ხიზანეიშვილი | გამეზარდაშვილი |
| გ. კვარაცხელია | ს. თოდუა |
| რეხვიაშვილი | აკობია |
| ალვარო | ტყემალაძე |
| ძარია | დ. ბოლქვაძე |
| ხმალაძე | სიხარულია |
| მერებაშვილი | გაბედავა |
| ჩისკო | კოშკაძე |
| დვალი | ქობალია |
| მწვრთნელი დ. უჟრინი | მწვრთნელი ე. ქომეთიანი |

**დინამო (თბ)**

69. მერებაშვილი – **კოტო**
89. დვალი – **ნ. კვეკვესკირი**
90. ჩისკო – **ხოჭოლავა**

*სათადარიგო:* ზარქუა, ტვილდიანი, ვოსკობოინიკოვი, გველესიანი

**ზუგდიდი**

65. კოშკაძე – **კუტალია**
80. ტყემალაზე – **გუგუჩია**

*სათადარიგო:* მაქაცარია, ბოიომო, წურწუმია, ეხვაია, აქუბარდია

გაფრთხილება: ძარია (45), ტყემალაძე (51)

მსაჯი: ჯ. ხორავა

# თავდაჯერებული დინამო

## ზუგდიდი დიდი თავსატეხი არ გამოდგა




სახიფათო მომენტი ზუგდიდელთა კართან

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ზამთრის სუსხმა დედაქალაქშიც შემოაღწია, თუმცა "დინამოს" ერთგულმა ფანებმა წელს ზემოთ გაიხადეს და ასე ქომაგობდნენ საყვარელ გუნდს. დინამოელებმაც არ გააწბილეს მხარდამჭერები და მორიგი, შეიძლება ითქვას, ადვილი გამარჯვება იზეიმეს.

"ზუგდიდის" თავკაცმა **ელგუჯა ქომეთიანმა** ნამატჩევს გვითხრა, ჩვენს გუნდში ფინანსური პრობლემები კი არის, მაგრამ გვპირდებიან, რომ 25 დეკემბრისთვის ყველაფერი მოგვარდებაო. ქომეთიანმა ისიც აღნიშნა, მეორე ტაიმში თამაშის ხარისხი კი გამოვასწორეთ, მაგრამ ეს შედეგში ვერ აისახაო.

რაც შეეხება დინამოელთა ჩეხ დამრიგებელ **დუშან უჰრინს**, მოგვახსენა, პირველი ტაიმი კარგად ვითამაშეთ, შესვენების შემდეგ კი ცოტა მოვეშვით, თუმცა ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ გოლი არ გავუშვითო.

მოკლედ, მწვრთნელებმა ისე ლაკონურად შეაფასეს ყველაფერი, რომ მატჩის ჟურნალისტურ გაშუქებას დიდი აღარაფერი სჭირდება.

როგორც კი გუნდები მოედანზე გავიდნენ, ადვილი შესამჩნევი გახდა, რომ დიდი ბრძოლა აქ ვერ გაჩაღდებოდა, სტუმრები თითქოს შეგუებულები იყვნენ მარცხს, "დინამო" კი თავდაჯერებული ჩანდა.

**ჯაბა დვალმა** შორიდან ვერ გაისწორა მიზანი, **ჩისკომ** ოდნავ მახვილი კუთხიდან ააცილა კარს, დვალი მოხდენილად შეიჭრა "ზუგდიდის" საჯარიმოში, თუმცა ასევე კარგად ვერ დაასრულა იერიში. გოლი ნელ-ნელა მწიფდებოდა და მოსახდენიც მოხდა: როგორც კი მსაჯმა ჯარიმა დანიშნა "ზუგდიდის" კარის მიმართულებით, **გიორგი მერებაშვილმა** მეტოქეს გონზე მოსვლა არ აცალა და ჩინებულად გაუჭრა პასი ჩისკოს, ესპანელმა კი ყვე;ლაფერი ისე შეასრულა, როგორც ოსტატს ეკადრება – 1:0.

აქედან ცოტა ხანში **ლევან სეთურიძემ** იკისრა სოლო რეიდი მარჯვენა ფლანგიდან, კარგადაც ჩააწოდა კარის გასწვრივ და დვალმა მეორედ დაამწუხრა ზუგდიდელები – 2:0.

სტუმრებმა პირველ ტაიმში ვერაფერი მოუხერხეს "დინამოს" დაცვას, ერთი ეგ იყო, რომ **ირაკლი ქობალიამ** შორეული დარტყმით ზუსტად **გიორგი ლორიას** ხელებისკენ გაგზავნა ბურთი.

მეორე ტაიმში "ზუგდიდმა" შედარებით გამოაკეთა თამაში. კარგად ჩაერთო შეხვედრაში შეცვლაზე შესული **ლევან კუტალია,** რომლის პასით **ალექსანდრე კოშკაძე** აღმოჩნდა "დინამოსთვის" სახიფათო პოზიციაზე, თუმცა აქედან ზუგდიდელებმა სახეირო ვერაფერი ვერ გამოადნეს.

"ზუგდიდს" ხელმეორედ შეექმნა საგოლე შესაძლებლობა, ოციოდე მეტრიდან **გიორგი გაბედავამ** შეასრულა დარტყმა და ბურთი ძელს გაარტყა.

შეხვედრის მიწურულს კოშკაძემ დაარტყა "დინამოს" კარისკენ არაზუსტად – ეს სტუმართა ბოლო გაბრძოლება იყო...

**დავით თავართქილაძე**

---

15.12. რუსთავი. ფოლადი.
300 მაყურებელი

**მეტალურგი 1**
**ჩიხურა 1**

0:1 ბერიანიძე (11, ოდიკაძის პასით), 1:1 სიხარულიძე (27, გენაძის პასით)

| მეტალურგი 4-1-3-2 | ჩიხურა 4-4-2 |
|---|---|
| ბათიაშვილი | მწყერაშვილი |
| ჯაფარიძე | ოდიკაძე |
| მახვილაძე | ბერიანიძე |
| ინწკირველი | ლომაშვილი |
| სუხიაშვილი | ჩიკვაიძე |
| რუხაძე | კირკიტაძე |
| გ. მიქაბერიძე | დილმელაშვილი |
| ი. მაისურაძე | ნ. მაისურაძე |
| გენაძე | დეკანოიძე |
| ტატანაშვილი | შარაშენიძე |
| სიხარულიძე | გ. ჩხეტიანი |
| მწვრთნელი: გ. ყიფიანი | მწვრთნელი: ს. ფრუიძე |

**მეტალურგი**

61. ტატანაშვილი — **თექთურმანიძე**
77. მიქაბერიძე — **დ. ჯანელიძე**
83. მახვილაძე — **ქავთარაძე**

*სათადარიგოები:* ბედიაშვილი, დობროვოლსკი, კაკუშაძე, ხაბელაშვილი

**ჩიხურა**

81. ნ. მაისურაძე — **ქამსაშვილი**
81. შარაშენიძე — **ბაკურაძე**
86. დეკანოიძე — **ქიმაძე**

*სათადარიგოები:* ბერდელიძე, მურველაშვილი

გაფრთხილება: დილმელაშვილი(61), ი. მაისურაძე (63), ჩხეტიანი (81)

არბიტრი: ლ. სილაგავა

# განწყობაც ამინდს ჰგავდა...

რუსთავის „მეტალურგი" („ოლიმპი") უმაღლეს ლიგაში 2006 წელს გამოჩნდა და იმის მერე მხოლოდ ერთადერთხელ მოხდა, გუნდმა სეზონი პირველ სამეულს მიღმა რომ დაამთავრა. ეს ფაქტი 2007-08 წლების სეზონში იყო, როცა რუსთაველებმა IV ადგილი დაიკავეს და აი, ახლა რეალური საშიშროებაა, რომ გუნდმა არსებობის ისტორიაში უარესი შედეგი უჩვენოს. მოკლედ, ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ საქართველოს ორგზის ჩემპიონი გუნდი ზედა ექვსეულში ვერ მოხვდეს, თანაც რუსთაველები მხოლოდ საკუთარ თავზე აღარ არიან დამოკიდებულნი და ახლა უკვე იმის იმედად უნდა იყვნენ, რომ უშუალო კონკურენტმა „ზესტაფონმა" დარჩენილ ორ ურთულეს მატჩში ქულები დაკარგოს. მოვლენების ასეთი განვითარება კი იმის მერე გაცხადდა, როცა მართლაც „არანორმალურად" მოტივირებული „მეტალურგი" ამ სეზონის უდავო აღმოჩენად ქცეულ „ჩიხურასთან" მხოლოდ ფრეს დასჯერდა. არადა, მასპინძლებს მონდომება ნამდვილად არ დაეწუნებოდათ და სუსხიან და თოვლჭყაპიან ამინდში 90 წუთის განმავლობაში არაერთი იერიშიც განახორციელეს; მაგრამ, ერთი შეხედვით, უმოტივაციო მეტოქემაც ღირსეულად იბრძოლა და ერთობ მწვავე კონტრშეტევებით მასპინძლები რამდენჯერმე შეაწუხეს.

ჰო, რატომღაც ბევრს ეგონა, რომ ზედა ექვსეულში ადგილგანაღდებული „ჩიხურა" ამ მატჩს „სერიოზულად" არ მიუდგებოდა; თანაც სტუმრები რუსთავში სერიოზული საკადრო პრობლემებით ჩავიდნენ (სხვადასხვა მიზეზით აკლდათ: **გიორგი სომხიშვილი, ედიკ საჯაია, ნიკა გუშარაშვილი, ლაშა ჭელიძე, ნიკა კვასხვაძე, რევაზ გოცირიძე**), თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, „ჩიხურამ" ბოლომდე „იომა" და, ნებსით თუ უნებლიედ... „ზესტაფონის" საქმეც „გააკეთა"!

მასპინძლები ოპტიმალური შემადგენლობით გამოვიდნენ, სტუმართა გამოცდილმა თავკაცმა **სოსო ფრუიძემ** კი, საკადრო პრობელმებიდან გამომდინარე, რამდენიმე გადაადგილება მოახდინა და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თამაში კონტრშეტევებზე ააგო. პირველი გოლიც სტუმრებმა გაიტანეს: **დავით ოდიკაძემ** (ერთ-ერთი გამორჩეული გახლდათ ამ შეხვედრაში), მარჯვენა ფლანგიდან „სტანდარტული" შეასრულა, მასპინძელთა საჯარიმოში კი „ჩიხურას" ცენტრალურმა მცველმა **ჯაბა ბერიანიძემ** ყველას დაასწრო და ზუსტით თავურიც „მიაყოლა"! ამ გოლის მერე ტერიტორიულ უპირატესობას მასპინძლები დაეუფლნენ და ზედიზედ რამდენიმე უმწვავესი შეტევაც განახორციელეს. აქვე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზედიზედ ორჯერ სტუმრები აშკარა გოლს გადაურჩნენ. თუმცა, „მეტალურგის" ფეხბურთელებს მონდომება მაინც დაუფასდათ: მორიგი, თითქმის 100-პროცენტიანი მომენტის ვერგამოყენების შემდეგ **რევაზ გენაძის** კუთხურს **ირაკლი სიხარულიძემ** ეფექტური გაგრძელება მოუძებნა და ზუსტი თავური დარტყმით ანგარიში გაათანაბრა. ტაიმის ბოლომდე სტუმრები კიდევ ერთხელ გადარჩნენ, ერთ ეპიზოდში კი **ირაკლი მაისურაძის** შორეული დარტყმა გაჭირვებით მოიგერია **ზურაბ მწყერაშვილმა**. თავის მხრივ, „ჩიხურამაც" შექმნა ერთი-ორი სახიფათო მომენტი: ერთ ეპიზოდში **გაგა ჩხეტიანის** თავური დარტყმა **ზურაბ ბათიაშვილმა** მოიგერია, მანამდე კი, სტუმრების აზრით, „მეტალურგის" მცველს საკუთარ საჯარიმოში ბურთი ხელზე მოხვდა, მაგრამ......

მეორე ტაიმი პირველზე არანაკლებ საინტერესოდ წარიმართა და ორივე გუნდმა ტემპიანი თამაშიც შემოგვთავაზა. სტუმრები სწრაფად გადადიოდნენ მეტოქის ნახევარზე, სწრაფი გარემარბებიც **დავით კირკიტაძე** და **ბესიკ დეკანოიძე** ფლანგებზე აქტიურობდნენ და მეურვეებს წინ წასვლის საშუალებას არ აძლევდნენ. თუმცა, მასპინძლებს ტაიმის დასაწყისშივე შეეძლოთ მატჩის სცენარი შეეცვალათ, მაგრამ რეალურზე-რეალური შანსი ვერ გამოიყენეს: შეტევა **გიორგი მიქაბერიძემ** წამოიწყო, მარჯვენა ფლანგზე ირაკლი სიხარულიძემ იაქტიურა და ზუსტი პასით **დიმიტრი ტატანაშვილი** მოძებნა; გამოცდილმა ცენტრფორვარდმაც ეფექტური ფინტით მეურვე ჩამოიცილა, მაგრამ კარის წინ მარტოდ დარჩენილმა ბურთი მიზანს ააცილა! ამას მოჰყვა ირაკლი მაისურაძის ორი შორეული დარტყმა, მაგრამ კვლავაც უშედეგოდ. მატჩის ბოლოსკენ ტემპი არ დაცემულა, მასპინძელთა ახალგაზდა თავკაცი **გიორგი ყიფიანი** შეცვლებით შეეცადა სიტუაციის შეცვლას, თუმცა „ჩიხურა" თავსაც კარგად იცავდა და ერთ ეპიზოდში **დავით დილმელაშვილმა** „შეამოწმა" ზურაბ ბათიაშვილის ოსტატობა. და მაინც, მასპინძლებს შეეძლოთ ასე ნანატრი გოლის გაიტანა: **ლაშა ჯაფარიძემ** მარჯვენა ფლანგიდან ბურთი მეტოქის საჯარიმოში ჩაჰკიდა, მაგრამ ირაკლი სიხარულიძის თავური დარტყმა ამჯერად არაზუსტი აღმოჩნდა. აქვე, ისიც უნდა ვთქვათ, რომ პირველი ტაიმისგან განსხვავებით, მატჩის მიწურულს უშეცდომოდ თამაშობდა „ჩიხურას" მეკარე ზურაბ მწყერაშვილი და საბოლოოდ, სტუმრებმა რუსთავიდან ქულის „წაღება" მოახერხეს. აი, „მეტალურგის" მწვრთნელ-ფეხბურთელთა თუ გუნდის ქომაგთა განწყობა როგორი იქნებოდა, ადვილი მისახვედრია...

**გია ტუხაშვილი**
რუსთავიდან



ირაკლი სიხარულიძის გოლი მეტალურგს მხოლოდ ანგარიშის გასათანაბრებლად ეყო

---



ოჯახის წევრები, ახლობლები და მეგობრები, ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 24 წლისა გარდაიცვალა „ვიტ ჯორჯიას" ბავშვთა საფეხბურთო სკოლის აღზრდილი

**ზურაბ ონიანი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

*პანაშვიდი: 17. XII; გამოსვენება: 18. XII; 14 საათზე. მისამართი: ნუცუბიძის პლატო IV მ/რ, 30-ე კორპ.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. XX ტური

# და(ვ)ითვალე

## 1300-ედან მე-700-მდე

### გორულ-გურული გოლებით დილას მცველებმა მოაგებინეს

15.12. ქობულეთი. ჩელე არენა. 500 მაყურებელი

**დინამო (ბთ) 1**

**დილა 2**

0:1 კვირკველია (14. პენალტით), 0:2 სალუქვაძე (64), 1:2 სიჭინავა (82)

| დინამო (ბთ) 4-2-3-1 | დილა 4-1-3-1-1 |
| --- | --- |
| ტაკიძე | საენდერი |
| თოდაძე | შამიაშვილი |
| ზ. ლობჟანიძე | გ. ონიანი |
| ხუხია | სალუქვაძე |
| მაკარიანი | კვირკველია |
| გოგიტიძე | გვალია |
| ცანავა | კახელიშვილი |
| ბერიძე | კლიმიაშვილი |
| ა. მუჯირი | ხოჯავა |
| ცნობილაძე | ახალკაცი |
| აბუსელიძე | ჟუნიორი |
| მწვრთნელი გ. გურული | მწვრთნელი გ. დარასელია |

**დინამო (ბთ)**

46. ცანავა - **დიასამიძე**
46. აბუსელიძე - **ვ. თევდორაძე**
71. ბერიძე - **სიჭინავა**

*სათადარიგოები:* მამინაშვილი, ვარშანიძე, ბაჯელიძე, ბალაძე

**დილა**

46. ახალკაცი - **მოდებაძე**
60. ჟუნიორი - **გორელიშვილი**
80. ხოჯავა - **აბურჯანია**

*სათადარიგოები:* შეყრილაძე, არზიანი, ალადაშვილი, თომაშვილი

*გაფრთხილება:* ხოჯავა (35), გოგიტიძე (65), ონიანი (82), მუჯირი (90+2)

*არბიტრი:* გ. ვადაჭკორია (თბილისი)



გოჩა ხოჯავა მეტოქეთა გარემოცვაში

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

მატჩი ხუთი წუთის დაგვიანებით დაიწყო, რითაც მობურთალეებმა სოლიდარობა და მხარდაჭერა გამოუცხადეს სახელმწიფო სახსრებით დაფინანსებულ გუნდებს, რომელთა მომავალიც ერთობ საეჭვოდ მოჩანს; გორელთაგან პირველი გოლის გამტანი „დილას" მეშვიდასე საუმაღლესლიგო გოლის ავტორი ხდებოდა, ხოლო ლაინსმენ **მიხეილ კუპატაძეს** ელიტლიგაში სადებიუტო შეხვედრა ჰქონდა. გავუსწრებთ მოვლენებს და გეტყვით, რომ საიუბილეო გოლის ავტორი სტუმართა მარცხენაფლანგელი **დავით კვირკველია** გახდა, რომელმაც მისივე მონადირებული პენალტი გოლად აქცია, ხოლო თანამსაჯმა რამდენიმე რთულ ეპიზოდში ისე დამაჯერებლად იმუშავა, გამოცდილ ლაინსმენებსაც შემურდებოდათ.

თუმცა ნამატჩევს მსაჯები ბათუმელმა ფანებმა ობსტრუქციის მოწყობით „გააცილეს" — მათი აზრით, მე-14 წუთზე, „დინამოს" მცველის მიერ ხელით თამაში **გიორგი ვადაჭკორიას** პენალტად არ უნდა შეეფასებინა.

ეს ეპიზოდი კი მას შემდეგ მოხდა, რაც შეტევაში ნასული კვირკველია მარჯვენა ფრთიდან საჯარიმოში ჩანოდებით მის მიერ კუთხურის გათამაშებიდან დაწყებული კომბინაციის გაგრძელებას ლამობდა, მასპინძელ მცველს თითქმის უწყინარ სიტუაციაში ბურთი ხელზე მოხვდა და არბიტრმა უყოყმანოდ დანიშნა 11-მეტრიანი, რომელიც გოლად „დილას" მცველმა ლამაზი დარტყმით აქცია, 1:0.

სხვათა შორის, **კვირკველიას** ანგარიშზეა კიდევ ერთი საიუბილეო გოლი — 8 წლის წინ, მან თბილისის „დინამოს" 1300-ე გოლი გაიტანა, ხოლო „დილას" მე-600 გოლიდან 4 წელზე მეტი გავიდა.

საიუბილეო გოლის გატანის შანსი დათომდე **ნათან ჟუნიორსა** და **გიორგი კახელიშვილსაც** ჰქონდათ, მაგრამ ბათუმელთა კარი და **კვირკველიას** „იუბილე" ახალბედა მეკარე **რომან ტაკიძემ** გადაარჩინა. აქვე გეტყვით, რომ იგი მეოთხე მეკარეა, ჯერაც გაუსრულებელ პირველ ეტაპზე „დინამოელთა" კარი რომ დაიცვა. **გიზო შენგელია** გუნდიდან წავიდა, **შოთა მამინაშვილი** გაციებულია, ხოლო **ივან პიცანი** წინა ტურში თამაშის დროს ისე დაშავდა, რომ მისი ჩასრულება ველარ მოახერხა.

მართალია, სტუმრებმა დაასწრეს, მაგრამ ანგარიშის გახსნის ყველაზე რეალური შანსი მასპინძლებს მიეცათ, როცა პირველივე წუთზე **გელა გოგიტიძეს** უკეთ რომ დაერტყა, **მარინ სკენდერი**, ალბათ, უძლური იქნებოდა.

ასევე კარგი შანსი ბათუმელებს 30-ე წუთზე მიეცათ, როცა ჯერ **თორნიკე ბერიძე** ცდილობდა მარჯვნიდან საჯარიმოში შესვლას და გორელებმა მისი შეჩერება სახიფათო ჯარიმის ხარჯზე მოახერხეს, რასაც კუთხური მოჰყვა — **ამირან მუჯირის** ჩანოდებული პირდაპირ კარში წავიდა, **სკენდერმა** მისი კარის ხაზიდან გამოტანა რის ვაი-ვაგლახით მოახერხა. იქვე მცველებმა ორჯერ უხეიროდ მოიგერიეს ბურთი და ბოლოს **ამირან აბუსელიძეს** კუთხე ხეირიანად რომ ჩაეკეტა, ანგარიშის გათანაბრებას წინ არაფერი დაუდგებოდა.

ამ ეპიზოდიდან ხუთიოდ წუთში უკვე „დინამო" გადარჩა — უმწვავესი შეტევა **რომან ახალკაცის** პასის შემდეგ **კახელიშვილმა** დააბოლოვა, თუმცა ბურთმა შორეულ ძელს სანტიმეტრებით ჩაუარა. მალევე „დილას" ხორვატი მეკარე საიმედოდ. დაუხვდა **ირაკლი ცნობილაძის** დარტყმულს, თუმცა შესაძლებელი იყო, შემტევს უკეთაც დაერტყა.

პირველი წუთი მეორე ტაიმშიც მასპინძელთა კარგი შეტევით იყო გამოსარჩევი – შეცვლაზე შესული **ნიკა დიასამიძე** შესაძლოა, წინა ფოთური მატჩის მსგავსად მატჩის გმირი, გამხდარიყო, როცა ჯერ მარინ სკენდერთან ლამის პირისპირ გასულმა მეკარეს აუღებელი ვერ დაურტყა, ხოლო მალევე საჯარიმოში დაწყებული ფინტი რომ გამოსვლოდა, ბოლო მცველსაც ჩამოიტოვებდა და მორიგი შანსი მიეცემოდა.

ასევე შემოსვლიდან პირველივე წუთზე გატანა **მიხაილ გორელიშვილსაც** შეეძლო, მაგრამ მისი შორეულ მალალ კუთხეში დარტყმული ბურთი ბათუმელთა მეკარემ ლამაზ ნახტომში ხელებში გააქვავა.

თუმცა ორ წუთში ტაკიძეც უძლური გახდა, როცა მისმა თანაგუნდელებმა ბურთი ცენტრში დაკარგეს და პირველი გოლის ავტორის მსგავსად, გურულმა და მცველმა, **ლაშა სალუქვაძემ** 15-იოდე მეტრიდან აუღებელი დაურტყა, 2:0.

ამის შემდეგ სტუმრებს მესამეს გატანაც მართებდათ, მაგრამ გორელიშვილმა და **კახელიშვილმა** ტაკიძის მესამედ დამწუხრება ველარ მოახერხეს.

სამაგიეროდ, უპირატესობას დაეუფლა ტრავმების გამო განახევრებული შემადგენლობით მოთამაშე „დინამო". **გია გურულის** შეგირდებმა ბოლომდე გაიბრძოლეს და ლიდერთან თუ მხოლოდ **დათა სიჭინავას** მიერ საჯარიმოდან გატანილ გოლს გამორჩნენ, მაინც ქებას იმსახურებენ. ცოტა იღბალიც და მეტი დრო რომ ჰქონოდათ, არც ის ჩანდა შეუძლებელი, რომ ქულის გადარჩენა მოეხერხებინათ.

*P.S. ალნიშვნის ღირსია სტუმართა გუნდის ხელმძღვანელის, **ზურაბ დალაქიშვილის** ქმედება, როცა მან „დილას" ფან-კლუბს რამდენჯერმე შენიშვნა მისცა და მათგან მსაჯებისადმი სამართლიანი და კორექტული მოპყრობა მოითხოვა. ბათუმელ ფანებს კი „ზღვაზე მივილე ზარის" მსაჯებისადმი არაკორექტული დაბოლოება შაბათს არ გამოუყენებიათ.*

**მატჩის შემდეგ**

**გია გურული** („დინამო" ბთ.): „მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წამყვანი მოთამაშე გვაკლია, გუნდმა ბოლომდე იბრძოლა. დასანანია, რომ ქულის მოპოვება ვერ მოვახერხეთ, წაგებას ნამდვილად არ ვიმსახურებდით. დანარჩენი თამაშები ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და უკან დახევას არ ვაპირებთ".

**გიორგი დარასელია** („დილა"): „ორივე გუნდი მომზადებული შეხვდა ამ მატჩს. მეტოქისგან ასეთ წინააღმდეგობას ველოდით კიდეც. მოგების გარდა გვინდოდა მაყურებლისთვის კარგი თამაშიც გვეჩვენებინა, რასაც ზოგჯერ ვახერხებდით, ზოგჯერ — ვერა. შედეგით, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ".

**მამუკა ქანთარია**
ქობულეთიდან

15.12. ზესტაფონი. დ. აბაშიძე. 1 000 მაყურებელი

**ზესტაფონი 1**

**სიონი 0**

1:0 იელიჩი (90+3)

| ზესტაფონი 4-2-3-1 | სიონი 4-2-3-1 |
| --- | --- |
| რ. კვასხვაძე | ბობღიაშვილი |
| ლონლაძე | მაჭავარიანი |
| თორ. გრიგალაშვილი | დ. ლომაია |
| თედ. გრიგალაშვილი | უგრეხელიძე |
| აფციაურიშვილი | ჩიქვილაძე |
| იელიჩი | თარხნიშვილი |
| მენთეშაშვილი | მანჯავა |
| აფციაური | ნემსაძე |
| ბაბუნაშვილი | ჯედია |
| მილხრაევი | ისიანი |
| ბოტი გოა | რ. ჯიქია |
| მწვრთნელი ა. კაჭარავა | მწვრთნელი ა. ჯელაძე |

**ზესტაფონი**

66. აფციაური – **ბენაშვილი**
77. ბაბუნაშვილი – **წინამძღვრიშვილი**

*სათადარიგოები:* მამალაძე, ელიავა, რაჭამაშვილი, სამუშია, ქანტურიშვილი

**სიონი**

55. ისიანი – **ფეიქრიშვილი**
58. მანჯავა — **ქუცურუა**
74. ჯედია – **ჯოჯუა**

*სათადარიგოები:* ვ. ლობჟანიძე, ქემოკლიძე, გ. ოქროპირიძე, ხურციძე

*გაფრთხილება:* მენთეშაშვილი (30), კვასხვაძე (44), ლონლაძე (54), თარხნიშვილი (55), ფეიქრიშვილი (77), უგრეხელიძე (81), დემელი (90)

*არბიტრი:* ხ. გაგნიძე

| № | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ. | ბურთები გაშ. | ქ |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 1 | დინამო (თბ) | 20 | 15 | 4 | 1 | 57 | 16 | 49 |
| 2 | დილა | 20 | 14 | 1 | 5 | 32 | 13 | 43 |
| 3 | ტორპედო | 20 | 13 | 2 | 5 | 37 | 17 | 41 |
| 4 | ჩიხურა | 20 | 12 | 3 | 5 | 33 | 21 | 39 |
| 5 | ზუგდიდი | 20 | 10 | 5 | 5 | 26 | 18 | 35 |
| 6 | ზესტაფონი | 20 | 9 | 4 | 7 | 25 | 19 | 31 |
| 7 | მეტალურგი | 20 | 8 | 3 | 9 | 16 | 25 | 27 |
| 8 | მერანი | 20 | 7 | 2 | 11 | 20 | 30 | 23 |
| 9 | ვიტ ჯორჯია | 20 | 5 | 5 | 10 | 13 | 27 | 20 |
| 10 | სიონი | 20 | 4 | 5 | 11 | 13 | 34 | 17 |
| 11 | დინამო (ბთ) | 20 | 3 | 3 | 14 | 21 | 44 | 12 |
| 12 | კოლხეთი | 20 | 0 | 3 | 17 | 10 | 41 | 3 |

**ბომბარდირები**

| | |
| --- | --- |
| ჩისკო (დინამო თბ) | 16 |
| დვალი (დინამო თბ) | 15 |
| ს. ლომაია (მერანი) | 11 |
| ალვარო (დინამო თბ) | 10 |

**XXI ტური**

**19 დეკემბერი. ოთხშაბათი**

დინამო (თბ)-მერანი
ზუგდიდი-ზესტაფონი
სიონი -მეტალურგი
ჩიხურა-ტორპედო
ვიტ ჯორჯია-დინამო (ბთ)
დილა-კოლხეთი

**ამონარიდი რეგლამენტიდან**

*თანაბარი ქულების შემთხვევაში:*

1) ჩემპიონატში უშუალოდ ურთიერთშეხვედრების შედეგები (ქულათა რაოდენობა და შემდეგ ბურთების უკეთესი სხვაობა. ბურთების ერთნაირი სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელსაც ერთმანეთთან შეხვედრებში სტუმრად მეტი გოლი აქვს გატანილი);

2) ჩემპიონატში მოგებათა მეტი რაოდენობა;

3) ჩემპიონატში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა;

4) ჩემპიონატში გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;

5) ჩემპიონატში სტუმრად გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;

6) ჩემპიონატის განმავლობაში გუნდის მიერ მიღებული წითელ-ყვითელი ბარათების რაოდენობა (წითელი - 3 ქულა, ყვითელი — 1 ქულა. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ნაკლებ წითელ ბარათს);

7) თუ გუნდებს ეს მაჩვენებელიც თანაბარი აღმოაჩნდებათ, ადგილების გამოსავლენად მოეწყობა კენჭისყრა.



ზესტაფონმა ბოლო წამზე გაიმარჯვა

ფოტო: www.fczestafoni.ge

სალერის თასი

# ვიტესი და მალაგა თბილისში!

18-21 დეკემბერს "ბენდელას" სტადიონი "სალერის თასის" გათამაშებას უმასპინძლებს. ტურნირის ორგანიზატორია საფეხბურთო კლუბი "საბურთალო".

კლუბის გენერალური დირექტორის, **კახა ჭუმბურიძის** თქმით, ტურნირზე ითამაშებენ 1997 წელს დაბადებულთა გუნდები. ვფიქრობთ, ძალიან საინტერესო მატჩები გველის, რადგან "საბურთალოსა" და თბილისის "ლოკომოტივის" გარდა, მთავარი პრიზისთვის ორი უცხოური კლუბი იბრძოლებს: უკვე მეორე წელია, რაც **მერაბ ჟორდანია** ჰოლანდიურ "ვიტესს" აგზავნის. წლეულს მეორე უცხოური კლუბი ესპანური "მალაგა" იქნება, რომელსაც თბილისის "დინამოს" აკადემიის ყოფილი დირექტორი **ანდრეს კარასკო ჩამოიყვანს**. სავარაუდოდ, ამ გუნდში ითამაშებს "ლოკომოტივის" ფეხბურთელი **გიორგი არაბიძეც**, რომელიც ნოემბერში "მალაგაში" ისინჯებოდა.

კარასკოს "მალაგასთან" კონტრაქტი მომავალი წლის ზაფხულში უმთავრდება. არაა გამორიცხული, ამის შემდეგ ესპანელმა სპეციალისტმა "საბურთალოსთან" ითანამშრომლოს.

მატჩები წრიული სისტემით გაიმართება, რომლის შემდეგაც ფინალისტები და მე-3 ადგილისთვის მებრძოლები გამოვლინდებიან.

**მატჩების განრიგი:**

**18 დეკემბერი**

13:00 "ვიტესი" — "ლოკომოტივი"
16:00 "საბურთალო" — "მალაგა"

**19 დეკემბერი**

12:00 "მალაგა" — "ლოკომოტივი"
15:00 "საბურთალო" – "ვიტესი"

**20 დეკემბერი**

12:00 "მალაგა" — "ვიტესი"
15:00 "საბურთალო" – "ლოკომოტივი"

**21 დეკემბერი**

მატჩი მე-3 ადგილისთვის - 13:00
ფინალი - 16:00

**მერაბ მამულაშვილი**

## ქართული ფეხბურთი

საქართველოს ჩემპიონატი. XX ტური




გიორგი ბერიაშვილმა (ბურთით) ყოფილ გუნდს გაუტანა ფოტო: www.fctorpedo.ge

# ვიტ ჯორჯია ტორპედოს ველარ ამწარებს

15.12. ქუთაისი. ტორპედო. 800 მაყურებელი

**ტორპედო 2**

**ვიტ ჯორჯია 0**

1:0 ბერიაშვილი (27.საბანაძის პასით), 2:0 ტულუში (29.პენ.)

| ტორპედო 4-4-2 | ვიტ ჯორჯია 4-4-1-1 |
|---|---|
| მიგინეიშვილი | დაუშვილი |
| რიგვავა | ხურცილავა |
| ზ. ჯელიძე | გოგიაშვილი |
| გ. გურული | დამაძე |
| ტაბატაძე | გვთიაშვილი |
| ტულუში | ვასაძე |
| გ. დათუნაიშვილი | გურეშიძე |
| გიგაური | კასრაძე |
| კუხიანიძე | ჯავაშვილი |
| ბერიაშვილი | კორიფაძე |
| საბანაძე | გაბრიჭიძე |
| მწვრთნელი: გ. გეგუჩაძე | მწვრთნელი: მ. კოჭლაშვილი |

**ტორპედო**

67. ტულუში- **ფირცხალავა**
73. საბანაძე- **ფანცულაია**
81. ბერიაშვილი - **ვ. კვარაცხელია**

*სათადარიგოები: ქვილითაია, იოსელიანი, შერგელაშვილი, ვ. ბოლქვაძე*

**ვიტ ჯორჯია**

46. ადამაძე- **ლიბრაძე**
72. გაბრიჭიძე- **კუხალეიშვილი**
87. კორიფაძე- **ე. ლოგუჯანიძე**

*სათადარიგოები: რეჭია, ტეტუნაშვილი, კალანდია, დავლაშელიძე*

გაფრთხილება: ლიბრაძე (51), ტაბატაძე (70)

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი

„ტორპედოსთვის" აქამდე „ვიტ ჯორჯია" ერთ-ერთი ყველაზე უხერხული მეტოქე იყო. თავად განსაჯეთ, უმაღლეს ლიგაში დაბრუნების შემდეგ ქუთათურებს საკუთარ მოედანზე მხოლოდ ვეტერინარების დამარცხება ვერ მოეხერხებინათ (2:2, 0:0, 1:1); თუმცა, მიმდინარე ჩემპიონატში სიტუაცია შეიცვალა, **გია გეგუჩაძის** გუნდმა თბილისელები გასვლაზეც დაამარცხეს და შაბათის შეხვედრაშიც საკმაოდ დამაჯერებლად გაიმარჯვეს. ტორპედოელებს ორი წამყვანი ფეხბურთელი, **ელგუჯა გრიგალაშვილი** და **გრიგოლ დოლიძე** აკლდათ, სამაგიეროდ, გუნდს დაუბრუნდა ტრავმამოშუშებული **ვახტანგ კვარაცხელია**, რომელმაც წელიწადნახევრიანი იძულებითი პაუზის შემდეგ ქუთაისელთა რიგებში ბოლო 10 წუთი ითამაშა.

შეხვედრის საწყისი წუთები საკმაოდ დუნე და მოსაწყენი გამოდგა. ბურთი ძირითადად მოედნის ცენტრში ტრიალებდა. შემდეგ, სტუმრებმა მცირეოდენი უპირატესობა მოიპოვეს და კარის მისამართითაც პირველად მათ დაარტყეს. **გურამ გურეშიძე** ბურთიანად საჯარიმოს მისადგომებისკენ დაიძრა და ძლიერადაც გაისროლა, მაგრამ ბურთი კარის ჩარჩოში ვერ მოახვედრა. თბილისელებმა შორეულ დარტყმებზე გააკეთეს აქცენტი, **ლაშა კასრაძემ ომარ მიგინეიშვილის** კარის მისამართით სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ ხარიხას გადააცილა. ტაიმის შუაწელიდან ქუთაისელებიც გამოცოცხლდნენ და სამი წუთის ინტერვალში ვეტერინარები ორჯერ დაამწუხრეს. ტორპედოელების პირველივე სახიფათო შეტევა შედეგიანი გამოდგა: **ვაჟა ტაბატაძემ** მარცხენა ფრთიდან საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც **ნიკა საბანაძემ** იმარჯვა და ბურთი მკერდით **გიორგი ბერიაშვილისკენ** გადაამისამართა, რომელმაც არ დაახანა და ერთი შეხებით ძალიან ეფექტური გოლი გაიტანა. ორიოდე წუთში ბერიაშვილი კვლავ მოექცა ყურადღების ცენტრში, იგი მარჯვენიდან ბურთიანად შეიჭრა საჯარიმოში, თუმცა გურეშიძემ წესების დარღვევით შეაჩერა და ვიტელების პროტესტის მიუხედავად, **არსენ ნონიკაშვილმა** პენალტი დანიშნა. თბილისელთა მთავარი მწვრთნელი **მერაბ კოჭლაშვილი** მატჩის შემდეგ უკმაყოფილებას ვერ მალავდა, თუ ამ ეპიზოდში თერთმეტმეტრიანი იყო, მასეთი ზუსტად სამი მომენტი იყო მეტოქის კართან და არბიტრს არც ერთზე რეაგირება არ მოუხდენიაო... **ბექა ტულუშმა** თერთმეტმეტრიანი აუღელვებლად შეასრულა და, როგორც მოგვიანებით გაირკვა, მატჩის საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა.

მატჩის მეორე ნახევარი ქუთაისელთა უპირატესობით დაიწყო. თანაგუნდელებმა **გიორგი კუხიანიძე** გაიყვანეს მეკარესთან პირისპირ, მაგრამ მასპინძელთა ფლეიმეიკერმა სუსტად დაარტყა და **ნიკა დაუშვილს** ბურთი პირდაპირ ხელებში მიუვიდა. თავის გამოჩენა შეეძლო ტულუშსაც, მაგრამ ბოლო მომენტში მცველებმა შეუშალეს ხელი. თანდათან სტუმრებიც გააქტიურდნენ და ქუთაისელთა საჯარიმოსაც გაუშინაურდნენ. მერაბ კოჭლაშვილის გუნდს გოლის გატანის 100-პროცენტიანი შანსიც ჰქონდა: **ირაკლი ლიბრაძის** უძლიერესი დარტყმა მიგინეიშვილმა კარის წინ მოიგერია, ბურთი ცარიელ კართან მყოფ **ოთარ ჯავაშვილს** მიუვიდა, რომელსაც ხელს არავინ უშლიდა და ამ ეპიზოდში აცილება უფრო რთული იყო, ვიდრე გატანა, თუმცა, ჯავაშვილმა ყველასათვის მოულოდნელად სამიოდე მეტრიდან ხარიხას გადააცილა(!). დარჩენილ დროში სტუმრები პრესტიჟის გოლის გატანას ცდილობდნენ, მაგრამ დასამახსოვრებელი არაფერი მომხდარა. „ტორპედომ" დაგეგმილი გამარჯვება მოიპოვა და მესამე ადგილზე უფრო მყარად დამკვიდრდა.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

# ლომიას დარტყმა გოლია!

15.12. სამტრედია. ე. მანჯგალაძე. 500 მაყურებელი .

**მერანი 4**

**კოლხეთი 0**

1:0 .ნოზაძე (37. ლომიას პასით) 2:0 ს .ლომია (65. მელიავას პასით) 3:0 ს. ლომია (69. ფონიავას პასით) 4:0 ს. ლომია (90+2)

| მერანი 4-1-3-2 | კოლხეთი 4-4-2 |
|---|---|
| შეროზია | ბუბუტეიშვილი |
| გეგეჭკორი | ცხვიტარია |
| იობაშვილი | კრასოვსკი |
| ქარქუზაშვილი | ტყეშელაშვილი |
| მელიავა | მ. ლორია |
| დიდავა | ხოშტარია |
| ბუკია | მოსიაშვილი |
| ნ. ნოზაძე | პავლიაშვილი |
| ფონიავა | ქორჩილავა |
| ტორონჯაძე | კვანტალიანი |
| ს. ლომია | ბუხაიძე |
| მწვრთნელი: მ. ჟვანია | მწვრთნელი: ს. ფილია |

**მერანი**

60. ნოზაძე - **ამბროლაძე**
75. მელიავა - **გეგია**
76. ბუკია - **მონიავა**

*სათადარიგოები: ბერია , გელაჭეიშვილი, მჭედლიშვილი, კიკალიშვილი*

**კოლხეთი**

46. ხოშტარია - **ბარამიძე**
68. ბუხაიძე - **გუჯაბიძე**
87. მ. ლორია - **ჩადუნელი**

სათადარიგოები:ხარშილაძე, ჭედია, კახიძე

გაფრთხილება: ს. ლომია(21)

არბიტრი მ. ბეუქლიშვილი

ბოლო დროს ფოთის "კოლხეთში" არსებული ფინანსური პრობლემების გამო, გუნდი ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა, რაზეც სტატისტიკაც ნათლად მეტყველებს: 20 გამართული შეხვედრიდან, გუნდმა ვერც ერთხელ ვერ შეძლო გამარჯვების მიღწევა. ამ ყველაფერს კი ცხრილში ბოლო ადგილი მოჰყვა, საბოლოოდ კი, ასე დამთავრდა: სეზონის დასრულებამდე რამდენიმე ტურით ადრე გუნდი თერთმეტმა ფეხბურთელმა დატოვა, მათი ადგილი შემადგენლობაში დუბლებმა შეავსეს. შეგახსენებთ, რომ ზღვისპირელებს უმაღლესში დარჩენის მხოლოდ თეორიული შანსი დარჩათ. ვთქვათ ისიც, რომ კოლხური დერბი "მერანისა" და "კოლხეთის" მონაწილეობით, წესით, მარტვილის ცენტრალურ სტადიონზე უნდა გამართულიყო, თუმცა უკანასკნელ წუთს ფედერაციამ სხვა გადაწყვეტილება მიიღო და მატჩი სამტრედიაში, ეროსი მანჯგალაძის სახელობის ხელოვნურსაფარიან მოედანზე შედგა.

როგორც თითქმის ყველა მატჩში, საწყისი წუთები სტუმრებს ცუდს არაფერს უქადდა, მაგრამ ჩვეულებისამებრ, ისინი მოგვიანებით დაიღალნენ, ორიენტაცია დაკარგეს და შედეგად, საკუთარ კარში ოთხი უპასუხო ბურთი მიიღეს. აღნიშნულ პაექრობაში მარტვილელთაგან მონაწილეობა ვერ მიიღო **ლაშა კუჭუხიძემ**, ხოლო სტუმართაგან **თემურ ფარულავა, გიორგი კილასონია** და **ომარ გოგონაია** იყვნენ დისკვალიფიცირებულნი. იმის მიუხედავად, რომ "კოლხეთი" გადახალისებული შემადგენლობით თამაშობდა, ეს რასაკვირველია, ოდნავადაც არ აყენებს ჩრდილს მერანელთა გამარჯვებას. მათ ბოლომდე იბრძოლეს და დაგეგმილ სამ ქულასაც კანონზომიერად გამოჰკრეს ხელი. ამ საქმეში ლომის წილი **საბა ლომიამ** დაიდო, რომელიც გუნდს სამი გატანილი გოლითა და საგოლე გადაცემით შეეწია. თუმცა, მივყვეთ თანმიმდევრულად.

რაც შეეხება უშუალოდ პაექრობას, ვერ ვიტყვით, რომ გუნდებმა პირველ ნახევარ საათში რაიმე დასამახსოვრებელი და განსაკუთრებული შემოგვთავაზეს-მეთქი, თუმცა დაბალი ტემპის მიუხედავად, ნახევარმომენტები ორივე გუნდის კართან მაინც შეიქმნა: გამოსაყოფია მასპინძელთაგან **ლევან გეგეჭკორისა** და **პაპუნა ფონიავას** დარტყმები, სტუმართაგან კი **გიორგი ტყეშელაშვილის** ზედ საჯარიმოს ხაზიდან შესრულებული საჯარიმო. აქტიური იყო **მამუკა ტორონჯაძეც**, თუმცა მისი თავური **ლევან ბუბუტეიშვილმა** მოიგერია. ამის შემდეგ, გოლიც ვიხილეთ: მარტვილელთა მეკარის **ჯონი შეროზიას** მიერ თამაშში შემოყვანილი ბურთი ყისმათიანად მოათვინიერა და დაამუშავა საბა ლომიამ, რომელმაც იქვე მყოფი **ნოდარ ნოზაძეს** დაუგორა. ამ უკანასკნელმა ძლიერი და ზუსტი დარტყმით წინ გაიყვანა თავისიანები. ცოტა ხანში **მალხაზ ჟვანიას** შეგირდებს კიდევ შეეძლოთ გატანა, თან ზედიზედ ორჯერ: ჯერ **კიჟი მელიავას** გადაცემის შემდეგ იმავე ლომიამ ვერ ივარგა,ხოლო ხუთიოდე წუთში ნოზაძე - ლომიას კომბინაცია ვერ დააგვირგვინა ფონიავამ, რომელმაც დაახლოებით 7-8 მეტრიდან ბურთი კარს სასწაულებრივად ააცილა.

"მერანი" არანაკლებ აგრესიული იყო მეორე ნახევარშიც. მათ ანგარიშის გაზრდის არაერთი შესაძლებლობა ქარს გაატანეს: აღნიშვნის ღირსია მამუკა ტორონჯაძის დარტყმა, მცირე მანძილით რომ ასცდა კოლხთა კარს. შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანდა, რომ "მერანი" მნიშვნელოვნად აღემატებოდა მოწინააღმდეგეს. სტუმრებს ბურთის ართმევა და შემდგომ მასზე კონტროლი უჭირდათ, შეტევაში აქა-იქ შორეული დარტყმებით ცდილობდნენ ფონს გასვლას, ისიც იშვიათ შემთხვევებში. თავს კი, არცთუ ისე კარგად იცავდნენ...ერთადერთი, ვინც სტუმართაგან აქტიურობდა, **შალვა კვანტალიანი** იყო, რომელიც თანაგუნდელებთან შედარებით ბევრს მოძრაობდა, ორჯერ კარის მიმართულებით საკმაოდ ძლიერადაც დაარტყა, თუმცა მის მონდომებას შედეგი არ მოჰყოლია. სამაგიეროდ, მერანელებმა მოახერხეს და თავიანთი უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდეს: ეს მას შემდეგ, რაც მარცხენა ფრთაზე ჩვეული სისწრაფით მოძრავმა კიჟი მელიავამ, რამდენიმე მცველს გვერდი აუარა და ჩინებული გადაცემით საპირისპირო ფლანგზე, ფაქტობრივად, მეკარესთან მარტო დატოვა საბა ლომია, რომელსაც გატანა არ გასჭირვებია. სწორედ აქედან მოყოლებული გადაიქცა ეს შეხვედრა ლომიას ბენეფისად. 69-ე წუთზე ფოთელთა კონტრშეტევა მოედნის ცენტრთან ახლოს **გივი დიდავამ** ჩაჭრა და შესანიშნავი გადაცემით ჩინებულ პოზიციაზე გაიყვანა პაპუნა ფონიავა, რომელსაც თავისუფლად შეეძლო გატანა, თუმცა ბურთი უკეთეს სიტუაციაში მყოფ ლომიას დაუგორა და 3:0.

ბოლო აკორდი მსაჯის მიერ დამატებულ წუთებში მოხდა, როდესაც საბა ლომიამ საჯარიმოს სიახლოვეს ზუსტი დარტყმით საბოლოო და გამანადგურებელი ანგარიში დააფიქსირა — 4:0. სხვათა შორის, ეს ლომიას ორ მატჩში გატანილი მეხუთე გოლია, სულ კი მას მიმდინარე ჩემპიონატზე ჯამში 11 ბურთი დაუგროვდა და ბომბარდირთა დავაში მესამე ადგილზე გადაინაცვლა.

"კოლხეთის" მთავარი მწვრთნელი **სოსო ფილია** ალბათ, დარჩენილ მატჩებში ახალგაზრდა და ადგილობრივ ფეხბურთელებს მისცემს თავის გამოჩენის შესაძლებლობას. სხვა მხრივ კი, საეჭვოა, ფოთელებმა უმაღლეს ლიგაში დარჩენისათვის მედგარი წინააღმდეგობა გაუწიონ უშუალო კონკურენტებს. სამწუხაროდ, უსახსრობის გამო, დიდი ტრადიციების მქონე გუნდის არსებობა, კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშაა მოქცეული.

**ბესიკ გვაზავა**
სამტრედიიდან

ლეგიონერი

# ოქრიაშვილი ადასტურებს

## დიახ, შახტარში დაბრუნება მომილოცეს

ამწლის ოქტომბერში, "ლელოსთან" ინტერვიუში **თორნიკე ოქრიაშვილმა** პირველად განაცხადა, რომ ზამთრის მოსამზადებელ ეტაპზე დონეცკის "შახტარში" დაბრუნებას ელოდა, საკითხი კი 90 პროცენტით გადაწყვეტილი არისო.

დონეცკის "შახტარმა" საქართველოს ნაკრების შემტევ ნახევარმცველთან კონტრაქტი 2016 წლამდე გააფორმა და შვილობილ კლუბში, მარიუპოლის "ილიჩივეცში" იჯარით გაუშვა.

შეთანხმების ვადა მაისში იწურებოდა, მაგრამ ოქრიაშვილის უკრაინულ გრანდში დაბრუნების შესაძლებლობა რეალურია, რაც უკრაინულმა მედიამაც გააჟღერა. "ფუტბოლ ნიუსი" ამტკიცებს, რომ „შახტარის" მწვრთნელმა **მირჩა ლუჩესკუმ** 20 წლის ქართველი ლეგიონერის დაბრუნების საკითხი გადაწყვიტა.

*"მეც ასე ვიცი, რომ იანვრიდან "შახტარში" დავბრუნდები. უკრაინიდან "ვაგრას" პრეზიდენტი ბესო ჩიხრაძე დამიკავშირდა და დონეცკის კლუბში დაბრუნება მომილოცა. მეტის თქმა ამ ეტაპზე არ შემიძლია"* – ეს გუშინ ოქრიაშვილმა "ლელოს" უთხრა.

ადრე ოქრიაშვილი ამბობდა, რომ "შახტარი" მისი დაბრუნებით სანაკრებო შეხვედრების შემდეგ დაინტერესდა. უკვე ორი წელია, რაც უკრაინაში თამაშობს, ფიზიკურად მოღონიერდა და სეზონის პირველ ნაწილში, "ილიჩივეცის" სათადარიგოთა სკამიდან ძირითად შემადგენლობაში გადაინაცვლა. თუმცა, მარიუპოლელთა მთავარი მწვრთნელი **ნიკოლაი პავლოვი** ოქრიაშვილს უჩვეულო პოზიციაზე, თავდამსხმაში ათამაშებდა.




თორნიკე ოქრიაშვილი

უკრაინულ მედიაში საინტერესო მონაცემებს წავაწყდით: პირველი წრის ტექნიკურ-ტაქტიკური მონაცემების დაგროვების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ოქრიაშვილი მარიუპოლელთა შორის საუკეთესო დრიბლიორია – მას 77 წარმატებული რეიდი დაუგროვდა. ასევე გუნდში ყველაზე მეტი მოგებული ორთაბრძოლა დააგროვა. – 231.

"ილიჩივეცის" დამრიგებელი პავლოვი ამბობს, რომ ოქრიაშვილმა სეზონი კარგად დაიწყო, მშვენიერი პრესა ჰქონდა, მაგრამ ბოლოში გადაიღალაო, მისი თავდასხმაში დაყენება კი არსებული მდგომარეობით ახსნა, რადგან თავდამსხმელები დაშავებული არიან. უკრაინის ჩემპიონატში ქართველმა ლეგიონერმა 16 ტურში ერთი გოლი მიითვალა.

მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფის მატჩში საქართველოს ნაკრებმა ბელარუსს რომ მოუგო, ოქრიაშვილმა გამარჯვების გოლი გაიტანა: პორტუგალიური ტელევიზიის, TVGOLO.com-ის ყოველკვირეულ გამოკითხვაში გულშემატკივრებმა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით საუკეთესოდ სწორედ ქართველის გოლი დაასახელეს. წლის ბოლოს კი "ტრანსფერმარკტმა" თორნიკეს მიახლოებითი სატრანსფერო ღირებულება მილიონ ევროდ დაასახელა.

ასევე დონეცკის „შახტარს" ეკუთვნის „ილიჩივეცის" მეორე ქართველის, საქართველოს ნაკრების წევრის, **დავით თარგამაძის** სატრანსფერო უფლებები. მაგრამ ჯერ მის დაბრუნებაზე არაფერი ისმის.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ლეგიონის უქმეები


გურამ კაშიას ვიტესმა ძვირფასი ქულები ბოლო წამებზე დაკარგა

# ვიტესის მორიგი დანაკარგი და ქართული დერბი თურქეთში

2012 წელი დასასრულს უახლოვდება და ბევრ ევროპულ ლიგაში უკვე პაუზაა გამოცხადებული, ასე რომ, წინაასახალწლო პერიოდში ლეგიონის მიმოხილვა უფრო მცირე იქნება. ხშირად ჩვენთვის ღირსშესანიშნავი სრული მიმოხილვის დროსაც არაფერი ხდება, ამიტომაც, გასაკვირი არ უნდა იყოს, დღეს ქართველთა განსაკუთრებულ მიღწევებზე რომ ვერაფერს გეტყვით.

ჰოლანდიის ჩემპიონატში კვლავ დასანანი ქულები დაკარგა "ვიტესმა" და მართალია, ერედივიზიეს ლიდერებს, პსვ-სა და "ტვენტეს" მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება, მაგრამ უკვე მეოთხე ადგილამდეა ჩამოქვეითებული. არადა, არნემელები შინ "ვაალვიკთან" 93-ე წუთამდე იგებდნენ, მაგრამ მაინც ფრეს დასჯერდნენ – 2:2.

"ვიტესის" კაპიტანმა **გურამ კაშიამ** მატჩი სრულად ჩაატარა, ხოლო **გიორგი ჭანტურია** და **ვაკო ყაზაიშვილი**, ბოლოდროინდელი ტრადიციისამებრ, განაცხადს მიღმა დარჩნენ.

გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში "ბოხუმმა" "პადერბორნს" უმასპინძლა და 4:0 გაანადგურა, თუმცა ამაში ქართველებს განსაკუთრებული წვლილი არ შეუტანიათ. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, **ნიკოლოზ გელაშვილს** ამ მატჩში ტრავმის გამო მონაწილეობა საერთოდ არ მიუღია, **ალექსანდრე იაშვილი** კი მოედანზე 73-ე წუთზე შევიდა. ამ დროისთვის ანგარიში 3:0 იყო.

მეორე ბუნდესლიგაში 1-ელ თებერვლამდე შესვენებაა გამოცხადებული, "ბოხუმი" კი ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის. დღეისთვის. ქართველების გუნდი 20 ქულით მე-15 ადგილზეა და გასავარდნ ზონას ოთხი ქულით უსწრებს.

თურქეთის სუპერლიგაში დღეს ჩვენთვის მეტად საინტერესო მატჩი გაიმართება – **ზურაბ ხიზანიშვილის** "ქაისერისფორი" **შოთა არველაძის** "ქაშიმფაშას" უმასპინძლებს. ზედმეტია იმის შეხსენება, რომ სულ ცოტა ხნის წინ არველაძე "ქაისერის" წვრთნიდა. დღეისთვის "ქაშიმფაშა" 23 ქულით მეექვსე პოზიციაზეა, ხოლო "ქაისერი" – 16 ქულით მე-15-ეზე.

იტალიის სერია B-ში "ემპოლიმ" საკუთარ მოედანზე "ვიჩენცას" 2:0 სძლია, თუმცა კვლავ ქართველების გარეშე ითამაშა – **ლევან მჭედლიძე** და **ირაკლი შეყილაძე** განაცხადშიც არ ყოფილან.

სამხრეთ აფრიკაში "მოროკა" "ბლუმფონტეინს" ესტუმრა და 1:2 დამარცხდა. **გიორგი ნერგაძე** "მოროკას" ძირითად შემადგენლობაში იყო და 89-ე წუთზე შეცვალეს.

აზერბაიჯანის პრემიერლიგაში კვლავ ქართველი სპეციალისტების მიერ გაწვრთნილი გუნდები ლიდერობენ. **კახა ცხადაძის** "ინტერსა" და **გიორგი ჩიხრაძის** "სიმურგს" 30-30 ქულა აქვთ, თუმცა "ინტერმა" კონკურენტზე ერთი მატჩით ნაკლები ჩაატარა.

"ინტერმა" სტუმრად 2:0 დაამარცხა "ქიაფაზი". ბაქოელთა შემადგენლობაში შეუცვლელად ითამაშეს **გიორგი ლომაიამ** და **ილია კანდელაკმა**, **ბაჩანა ცხადაძე** სასტარტო შემადგენლობაში იყო და 70-ე წუთზე შეცვალეს, **ვალერი აბრამიძე** კი თამაშში 59-ე წუთიდან ჩაერთო. განაცხადში იყო "ინტერის" სათადარიგო მეკარე **რევაზ თევდორაძეც**. "ქიაფაზის" რიგებში მოედანზე 90 წუთი გაატარა **გიორგი სეფიაშვილმა**.

"სიმურგმა" "გაბალასთან" გასვლით მატჩში მძიმე ბრძოლა გადაიტანა საბოლოოდ, 77-ე წუთზე გატანილი გოლით 1:0 გაიმარჯვა.

"ბაქისა" და "ყარაბახის" შეხვედრა ფრედ, 0:0 დასრულდა. **გიორგი ფოფხაძე** ბაქოელთა სათადარიგოთა სკამზე იჯდა. ანალოგიური ანგარიში დაფიქსირდა აზალ-ისა და "თურანის" დაპირისპირებაში. **გოგი ფიფია** "თურანის" რიგებში მე-60 წუთიდან გამოჩნდა, მისმა თანაგუნდელმა **ირაკლი ბერაიამ** კი თამაშს თვალი სათადარიგოთა სკამიდან ადევნა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● საფრანგეთი. ლიგა 1. XVIII ტური.

# პსჟ გალიდერდა

**რენი-ვალანსიენი 2:0**

**გოლები:** 1:0 ფერე (5), 2:0 პიტროიპა (71).

**ტულუზი-მარსელი 0:1**

**გოლი:** 0:1 ჟინიაკი (68).
**გაძევება:** მბენგი (28, ტულუზი), ტაბანუ (45, ტულუზი).

**ტრუა-აიაჩო 3:2**

**გოლები:** 1:0 დარბიონი (34), 2:0 ნივე (39), 3:0 კამიუ (45), 3:1 ლასნი (90), 3:2 ნგოი (90-სა. კარში).

**სოშო-ბრესტი 1:2**

**გოლები:** 1:0 ბაკამბუ (59), 1:1 შაფნი (63), 1:2 ბენ ბასატი (78).

**მონპელიე-ბასტია 4:0**

**გოლები:** 1:0 ესტრადა (14), 2:0 ერერა (48), 3:0 ბელჰანდა (60), 4:0 მუნიე (76).

**ნიცა-ევიანი 3:2**

**გოლები:** 0:1 საგბო (3), 0:2 ბარბოსა (14), 1:2 ცვიტანიჩი (19), 2:2 ცვიტანიჩი (47), 3:2 მოპიე (90).

**რეიმსი-ლილი 1:1**

**გოლები:** 1:0 ვებერი (7), 1:1 პაიე (72).

**ნანსი-ბორდო 1:1**

**გოლები:** 1:0 ბაკარი (32), 1:1 საივე (76).
**გაძევება:** - ბიოგო პოკო (45, ბორდო).

**სტ. ეტიენი-ლორიანი 0:2**

**გოლები:** 0:1 ალიადიერი (20), 0:2 ა. ტრაორე (39).

**პსჟ-ლიონი 1:0**

**გოლი:** 1:0 მატუიდი (45+1),

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 18 | 10 | 5 | 3 | 33-12 | 35 |
| 2. ლიონი | 18 | 10 | 5 | 3 | 30-17 | 35 |
| 3. მარსელი | 18 | 11 | 2 | 5 | 23-20 | 35 |
| 4. ლორიანი | 18 | 8 | 6 | 4 | 30-27 | 30 |
| 5. ნიცა | 18 | 7 | 8 | 3 | 26-23 | 29 |
| 6. რენი | 18 | 9 | 2 | 7 | 25-22 | 29 |
| 7. ბორდო | 18 | 6 | 10 | 2 | 21-14 | 28 |
| 8. სენტ ეტიენი | 18 | 7 | 6 | 5 | 24-13 | 27 |
| 9. მონპელიე | 18 | 7 | 5 | 6 | 28-20 | 26 |
| 10. ვალანსიენი | 18 | 7 | 5 | 6 | 29-23 | 26 |
| 11. ლილი | 18 | 6 | 8 | 4 | 20-17 | 26 |
| 12. ტულუზი | 18 | 6 | 5 | 7 | 23-20 | 23 |
| 13. ბრესტი | 18 | 6 | 3 | 9 | 20-25 | 21 |
| 14. აიაჩო | 18 | 5 | 6 | 7 | 19-25 | 19 |
| 15. ევიანი | 18 | 5 | 4 | 9 | 21-30 | 19 |
| 16. ბასტია | 18 | 5 | 4 | 9 | 22-39 | 19 |
| 17. რეიმსი | 18 | 4 | 6 | 8 | 14-18 | 18 |
| 18. სოშო | 18 | 4 | 4 | 10 | 17-27 | 16 |
| 19. ტრუა | 18 | 2 | 6 | 10 | 20-37 | 12 |
| 20. ნანსი | 18 | 1 | 8 | 9 | 13-29 | 11 |

შენიშვნა: "აიაჩოს" – 2 ქულა

**ბომბარდირები:** 17 – იბრაჰიმოვიჩი (პსჟ); 10 – ცვიტანიჩი (ნიცა), გომისი (ლიონი); 9 – ბენ იედერი (ტულუზი); 8 – ობამეიანი (სენტ ეტიენი)

ნუხელ ლიგა 1-ის ტურის ცენტრალურ მატჩში „პარი სენ ჟერმენმა" „ლიონს" უმასპინძლა. შეხვედრის ბედი ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა - მეორე ტაიმის დასაწყისში **ბლეზ მატუიდიმ ზლატან იბრაჰიმოვიჩის** პასი გამოიყენა და სტუმართა მეკარე **რემი ვერკუტრი** დაამწუხრა. ამ გამარჯვებით პსჟ ცხრილში პირველ ადგილზე გადაბარგდა, თუმცა „ლიონს" და „მარსელსაც" დედაქალაქელებივით 35-35 ქულა აქვთ.

მე-18 ტურის ერთ-ერთი გამორჩეული მატჩი ტულუზში გაიმართა, სადაც სტუმრად "მარსელი" ჩავიდა. **ელი ბოპის** გუნდმა სამი დღით ადრე კორსიკაზე "ბასტია" დაამარცხა და შაბათს მორიგი რთული მატჩი უნდა ჰქონოდა, მაგრამ სტუმრებს საქმე თავად ტულუზელებმა გაუადვილეს. არბიტრმა 28-ე წუთზე მასპინძლებს **შეიკ მბენგი** გაუძევა, მე-40 წუთზე კი მათ კარში პენალტი დანიშნა, **ფრანკ ტაბანუს** კი ყვითელი ბარათი უჩვენა. 11-მეტრიანი **ანდრე აიუმ** ვერ გაიტანა, ამ მომენტიდან 5 წუთში კი ტაბანუმ მეორე გაფრთხილება მიიღო და **ალენ კაზანოვას** გუნდი მოედანზე 9 კაცით დარჩა.

მეორე ტაიმის დასაწყისში მინდორზე ყოფილი ტულუზელი **ანდრე-პიერ ჟინიაკი** გამოჩნდა, რომელმაც ტრავმით გამოწვეული პაუზის შემდეგ, პირველად წინა ტურში, კორსიკაზე ითამაშა. მატჩის 68-ე წუთზე **ჟერემი მორელის** გადაცემას სწორედ ჟინიაკი გამოეხმაურა და თავის ყოფილ გუნდს გაუტანა. საბოლოოდ, ეს გოლი ერთადერთი აღმოჩნდა და "მარსელმა" ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა.

კიდევ ერთი შესანიშნავი მატჩი ჩაატარა "ნიცამ", რომელმაც მიუხედავად იმისა, რომ მე-14 წუთისთვის 0:2-ს აგებდა, მორიგი გამარჯვება მოიპოვა. **კლოდ პუელის** გუნდს უკვე 8 თამაშია არ წაუგია, შინ კი ზედიზედ მეხუთე გამარჯვება მოიპოვა. ისევ გაიბრწყინა არგენტინელმა **დარიო ცვიტანიჩმა**, რომელსაც ლიგა 1-ში უკვე 10 გოლი აქვს გატანილი (ბოლო 7 თამაშში 7 გოლი).

როგორც იქნა, მოიგო "ტრუამ", რომელიც "ევიანს" 3:0-ს უგებდა და ბოლო წუთებზე ორი გოლი გაუშვა. სატურნირო ცხრილის მეზობლის გმირობა ვერ გაიმეორა "ნანსიმ", არადა "ბორდოს" 45-ე წუთზე **ანდრე ბიოგო პოკო** გაუძევეს, მასპინძლები კი 1:0-ს იგებდნენ. მიუხედავად ამისა, "ნანსიმ" უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და 16-მატჩიანი მოუგებელი სერიის დასრულება ვერ შეძლო – **ჟან ფერნანდესის** გუნდმა ზედიზედ მეექვსე ფრე ითამაშა და ერთადერთი თამაში პირველ ტურში, "ბრესტთან" მოიგო.

ზედიზედ მეოთხე თამაშში ვერ გაიტანა "სენტ ეტიენმა", რომელმაც საკუთარ მოედანზე შესანიშნავ ფორმაში მყოფ "ლორიანთან" წააგო. **კრისტიან გურკუფის** გუნდმა ბოლო 6 შეხვედრაში მე-5 გამარჯვება მოიპოვა და სატურნირო ცხრილში მეოთხე ადგილზე გადავიდა.

**ტატო ბაციკაძე**


მატუიდს გოლს ულოცავენ

## ბელგია

**ჟუპილერლიგა. XX ტური**

| | |
|---|---|
| მეხელენი-სტანდარდი | 0:2 |
| შარლერუა-ბეერსხოტი | 1:0 |
| ბრიუგე-მონსი | 2:0 |
| ლიერსი-ს. ბრიუგე | 1:1 |
| ლოკერენი-გენტი | 2:2 |
| ბევერენი-კორტრეიკი | 1:0 |
| ვარეგემი-გენკი | 3:2 |
| ანდერლეხტი-ლევენი | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანდერლეხტი | 20 | 14 | 4 | 2 | 49-17 | 46 |
| 2. ვარეგემი | 20 | 12 | 4 | 4 | 33-21 | 40 |
| 3. სტანდარდი | 20 | 11 | 2 | 7 | 41-25 | 35 |
| 4. ბრიუგე | 20 | 10 | 5 | 5 | 48-33 | 35 |
| 5. გენკი | 20 | 9 | 8 | 3 | 40-28 | 35 |
| 6. ლოკერენი | 20 | 10 | 4 | 6 | 35-28 | 34 |
| 7. კორტრეიკი | 20 | 8 | 4 | 8 | 22-20 | 28 |
| 8. მონსი | 20 | 8 | 3 | 9 | 34-40 | 27 |
| 9. ლევენი | 20 | 6 | 9 | 5 | 36-30 | 27 |
| 10. მეხელენი | 20 | 6 | 5 | 9 | 28-31 | 23 |
| 11. გენტი | 20 | 5 | 7 | 8 | 23-31 | 22 |
| 12. შარლერუა | 20 | 6 | 3 | 11 | 19-37 | 21 |
| 13. ბევერენი | 20 | 5 | 5 | 10 | 19-34 | 20 |
| 14. ბეერსხოტი | 20 | 5 | 3 | 12 | 23-40 | 18 |
| 15. ლიერსი | 20 | 3 | 8 | 9 | 20-37 | 17 |
| 16. ს. ბრიუგე | 20 | 3 | 4 | 13 | 24-42 | 13 |

## ინგლისი

**ნაციონალი**

გადადებული მატჩი

| | |
|---|---|
| მაკლსფილდი-ნანიტონი | 0:0 |

## ინგლისი

**FA Trophy**

| | |
|---|---|
| სტოკპორტი-საუთპორტი | 1:1 |
| კინგზ ლინი-ბელფორდი | 3:1 |
| ფორესტ გრინი-გეინსბორო | 1:2 |
| გოსპორტი-კორბი | 1:1 |
| კემბრიჯი-გეიტსჰედი | 0:1 |
| უოკინგი-უელინგი | 0:1 |
| რექსამი-სოლიჰალი | 3:2 |
| დარტფორდი-ტონბრიჯი | 3:0 |
| ბრომლი-კიდერმინსტერი | 1:0 |
| ჩელსამი-ბაროუ | 1:5 |
| სელსფილდი-ჰისელი | 2:0 |
| სტონი-ოქსფორდი | 1:0 |
| გრიმსბი-ჰავანტი | 4:0 |
| მატლოკი-ლუტონი | 1:2 |
| ჰერეფორდი-ჩელმსფორდი | 0:3 |

## გერმანია

**რეგიონალლიგა (დას)**

XXI ტური

| | |
|---|---|
| ბერლინი-მგლადბახი II | 0:6 |
| კრაი-ვიდენბრუკი | 0:2 |
| ფელბერტი-ესენი | 2:4 |

## საფრანგეთი

**II დივიზიონი**

XVIII ტური

| | |
|---|---|
| ანჟერსი-ისტრი | 2:1 |
| შატორუ-კლერმონი | 0:0 |
| გფკო აიაჩო-ლავალი | 3:1 |
| ავრი-ლე მანი | 1:0 |
| მონაკო-ნიმი | 1:1 |
| არლი-ტური | 2:2 |
| დიჟონი-ისტრი | 3:1 |
| ნანტი-კაენი | 2:1 |
| ლანსი-გინგამი | დღეს |

## საფრანგეთის თასი

**VIII რაუნდი**

| | |
|---|---|
| ვალიერი-კა ბასტია | 0:2 |
| პონტარლიე-კოლმარი | 2:2 პენ. 6:5 |
| სტ. ლუისი-ეპინალი | 1:3 |
| კომპიენი-დიეპი | 0:4 |
| მონაკო-მელუნი | 2:0 |
| ვიტრი-ბულონი | 0:3 |
| სტრასბური-სედანი | 0:1 |
| ბარ ლე დუკი-რაონი | 2:3 |

## ჰოლანდია

**II დივიზიონი**

XVII ტური

| | |
|---|---|
| სპარტა-ტელსტარი | 3:3 |
| კამბური-ვეკელინგი | 3:2 |
| ალმერე-დორდრეხტი | 2:3 |
| ვეენდამი-ჰელმონდი | 3:1 |
| ეინდჰოვენი-აპელდორნი | 1:6 |
| გოუ ეჰედ-ემენი | 2:2 |
| ფორტუნა-მაასტრიხტი | 1:2 |
| გრაფსხაპი-დენ ბოში | 3:0 |
| ვოლენდამი-ოსი | 4:3 |

## ბელგია

**II დივიზიონი**

XVIII ტური

| | |
|---|---|
| ეუპე-სტ. ნიკლაასი | 0:0 |
| დესელი-ვისე | 2:0 |
| ვაისტი-მორინაში | 0:3 |
| ოუდენაარდე-ვესტერლო | 0:0 |
| ლომელი-ტუბიზე | 2:1 |
| მუსკრონი-ბრიუსელი | 1:0 |
| აალსტი-ანტვერპენი | 2:1 |
| ოსტენდე-სტ. ტრუიდენი | 1:0 |
| ვოლუვე-რუზელარე | 1:0 |

## პორტუგალია

**II დივიზიონი**

XVIII ტური

| | |
|---|---|
| ფეირენსე-პორტუ B | 1:0 |
| ბელენენსეში-მარიტიმუ B | 1:0 |
| ტონდელა-სპორტინგი B | 1:2 |
| ავეში-ოლივეირენსე | 2:1 |
| ბრაგა B-ფრეამუნდე | 0:2 |
| ლეიქსოეში-ვიმარაეში B | 0:2 |
| ნავალი-არუკა | 2:0 |
| ბენფიკა B-ტროფენსე | 1:0 |
| პორტიმონენსე-კოვილია | 1:1 |
| სტ. კლარა-პენაფიელი | 2:0 |
| უნიაო-ატლეტიკო | 0:0 |

## თურქეთი

**II დივიზიონი**

XVI ტური

| | |
|---|---|
| ქართალი-თავშანლი | 2:1 |
| ადანა-ქარსიაკა | 3:2 |
| დენიზლი-ანკარაგუჯუ | 2:1 |
| ერჯიესი-მანისა | 2:3 |
| სამსუნი-ბბ გაზიანთეპი | 0:3 |
| გიოზთეპე-ადანა დემირი | 0:2 |
| ქონია-შანლიურფა | 0:0 |
| ბოლუ-1461 ტრაბზონი | 1:0 |
| რიზე-ბუკა | დღეს |

## შოტლანდია

**I დივიზიონი**

XV ტური

| | |
|---|---|
| დანდი იუნაიტედი-ჰიბერნიანი | 1:1 |
| ფალკირკი-კოუდენბითი | 2:0 |
| მორტონი-ეირდრი | 2:0 |
| პარტიკი-რეითი | 3:2 |

**II დივიზიონი**

XV ტური

| | |
|---|---|
| ეირ-ისტ ფაიფი | 2:3 |
| ფორფარი-არბროუ | 1:1 |
| ქუინი-ბრეჩინი | 1:0 |
| სტენჰაუზმური-ალბიონი | 1:0 |
| სტრანრაერი-ალოა | 3:2 |

**III დივიზიონი**

XV ტური

| | |
|---|---|
| კლაიდი-ისტ სტირლინგი | 2:1 |
| მონტროუზი-რეინჯერსი | 2:4 |
| პიტერჰედი-ანენი | 2:0 |
| ქუინზ პარკი-ელჯინი | 1:1 |
| სტირლინგი-ბერუიკი | 6:3 |

## ავსტრია

XX ტური

| | |
|---|---|
| ვინერი-რაპიდი | 1:0 |
| ზალცბურგი-მატერსბურგი | 7:0 |
| ტიროლი-ადმირა | 3:1 |
| ავსტრია-შტურმი | 3:1 |
| რიდი-ველსი | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ავსტრია | 20 | 15 | 3 | 2 | 48-16 | 48 |
| 2. ზალცბურგი | 20 | 12 | 5 | 3 | 47-20 | 41 |
| 3. რაპიდი | 20 | 12 | 2 | 6 | 32-16 | 38 |
| 4. შტურმი | 20 | 10 | 5 | 5 | 31-25 | 35 |
| 5. რიდი | 19 | 8 | 2 | 9 | 35-31 | 26 |
| 6. ველსი | 19 | 5 | 6 | 8 | 27-32 | 21 |
| 7. მატერსბურგი | 20 | 6 | 3 | 11 | 23-44 | 21 |
| 8. ადმირა | 20 | 4 | 5 | 11 | 31-42 | 17 |
| 9. ტიროლი | 20 | 5 | 1 | 14 | 16-40 | 16 |
| 10. ვინერი | 20 | 4 | 4 | 12 | 15-39 | 16 |

## კვიპროსი

XIV ტური

| | |
|---|---|
| ნეა სალამისი-ოლიმპიაკოსი | 3:2 |
| აეპ-ანორთოსისი | 0:2 |
| აპოელ-ენოსისი | 1:0 |
| აის-ომონია | 0:3 |
| ეთნიკოსი-აპოლონი | 1:1 |
| აეკ-ალკი | 2:0 |
| აელ-დოქსა | 2:0 |

## საბერძნეთი

XV ტური

| | |
|---|---|
| კერკირა-პანთრაკიკოსი | 0:2 |
| ოფი-ასტერასი | 2:0 |
| პანიონიოსი-ოლიმპიაკოსი | 1:2 |
| არისი-ქსანთი | 0:0 |
| აეკ-ატრომიტოსი | 1:1 |
| ლევადია-პლატანიასი | 1:0 |
| ვერია-პანათინაიკოსი | 3:0 |
| იანინა-პაოკ | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკოსი | 15 | 12 | 3 | 0 | 35-10 | 39 |
| 2. პაოკ | 14 | 8 | 4 | 2 | 18-8 | 28 |
| 3. ასტერასი | 15 | 7 | 4 | 4 | 19-10 | 25 |
| 4. ატრომიტოსი | 15 | 6 | 7 | 2 | 15-12 | 25 |
| 5. იანინა | 14 | 6 | 3 | 5 | 14-11 | 21 |
| 6. ლევადია | 15 | 6 | 3 | 6 | 11-12 | 21 |
| 7. პანიონიოსი | 15 | 7 | 0 | 8 | 17-20 | 21 |
| 8. პანათინაიკოსი | 14 | 5 | 7 | 2 | 16-12 | 20 |
| 9. პანთრაკიკოსი | 15 | 6 | 2 | 7 | 16-16 | 20 |
| 10. ოფი | 15 | 4 | 5 | 6 | 16-18 | 17 |
| 11. პლატანიასი | 15 | 4 | 4 | 7 | 13-18 | 16 |
| 12. ქსანთი | 15 | 3 | 6 | 6 | 11-16 | 15 |
| 13. არისი | 15 | 2 | 7 | 6 | 12-22 | 13 |
| 14. აეკ | 15 | 3 | 3 | 9 | 11-17 | 12 |
| 15. ვერია | 14 | 2 | 6 | 6 | 7-17 | 12 |
| 16. კერკირა | 15 | 2 | 6 | 7 | 7-19 | 12 |

**II დივიზიონი**

XIV ტური

ანაგენისი (ე)-ერგოტელისი 1:2; ეთნიკოსი-პანახაიკი 1:0; ირაკლისი (პ)-პანსერაიკოსი 0:0; ირაკლისი (ს)-ფოკიკოსი 2:2; კალონი-ვიცასი 3:1; კავალა-დოქსა 1:2; პანიტოლიკოსი-ტრასივულოსი 3:0; პიერიკოსი-ლარისა 0:0; ოლიმპიაკოსი (ვ)-ნიკი ვოლუ 0:0; აპოლონი-კალითეა დღეს.

## ჩრ. ირლანდია

XX ტური

| | |
|---|---|
| ბალინამალარდი-კლიფტონვილი | 1:3 |
| კოლრეინი-დონეგალი | 2:1 |
| კრუზეიდერსი-ლისბერნი | 3:1 |
| გლენავონი-ბალიმენა | 4:1 |
| ლინფილდი-დენგანონი | 2:1 |
| პორტადაუნი-გლენტორანი | 2:4 |

## ისრაელი

XIV ტური

| | |
|---|---|
| ირონი (რ-შ)-აშდოდი | 1:0 |
| მაკაბი (ნ)-ჰაპოელი (ა) | 0:0 |
| ჰაპოელი (თ-ა)-ჰაპოელი (რ-გ) | 2:2 |
| ბნეი სახნინი-ჰაპოელი (ბ-შ) | 3:2 |
| ბნეი იეჰუდა-ჰაპოელი (ა) | 2:1 |
| ბეითარი-ირონი (ქ-შ) | 2:2 |
| მაკაბი (ჰ)-მაკაბი (თ-ა) | დღეს |

## მს. ჩემპიონატი

**კლუბები**

მე-3 ადგილისთვის

| | |
|---|---|
| ალ აჰლი-მონტერეი | 0:2 |

ფინალი

| | |
|---|---|
| ჩელსი-კორინთიანსი | 0:1 |

უცხოური ფეხბურთი

იტალია. სერია A. XVI ტური

# ინტერი ისევ კოჭლობს

## იუვენტუსი წინ მიიწევს

**ტურის ცენტრალური შეხვედრა "სტადიო ოლიმპიკოზე" გაიმართა, სადაც "ლაციომ" "ინტერს" უმასპინძლა და მეტოქე მინიმალური ანგარიშით დაამარცხა, 1:0. ეს იყო მატჩი 6 ქულისთვის და დიდწილად, სწორედ რომაული ჯახის შესახებ ვისაუბრებთ...**

### ლაციო-ინტერი

**ანდრეა სტრამაჩონიმ** ისევ შეცვალა ტაქტიკური მონახაზი და გუნდი 4-3-1-2 სქემით ათამაშა. შეტევის წინა ხაზზე **დიეგო მილიტო** და **ანტონიო კასანო** მოქმედებდნენ, მათ უკან კი **ფრედი გუარინი** ირჯებოდა. საყრდენ ხაზს **ხავიერ ძანეტი, ვალტერ გარგანო** და **ესტებან კამბიასო** ამაგრებდნენ, დაცვის ცენტრში კი მწვრთნელმა **ანდრეა რანოკია** და **ვალტერ სამუელი** გაამწესა. ანუ, თადარიგში დარჩა **ჟუან ჟესუსი**, რომელიც სეზონის ერთ-ერთ აღმოჩენად ითვლება. მოკლედ, სტრამაჩონიმ ისევ ცვლილებებს მიმართა და აქ ორ ვარიანტზე შეიძლება იყოს ლაპარაკი: 1. თითოეულ მეტოქეს დეტალურად სწავლობს და ტაქტიკასაც შესაბამისს ირჩევს; 2. ვერაფრით ჩამოყალიბდა და ჯერ კიდევ ძიების პროცესშია; უფრო მეორე, ვიდრე პირველი, რადგან "ინტერის" თამაში უამრავ კითხვის ნიშანს ტოვებს და ის, რომ "ნერაძური" სკუდეტოს მოპოვების პრეტენდენტად ითვლება, კალჩოში არსებული პრობლემების შედეგი უფროა, ვიდრე ამ გუნდის სიძლიერის.

ციდან ვარსკვლავები არც "ლაციოს" მოუწყვეტია, რეალური ხიფათი მეტოქის კართან სულ რამდენჯერმე მიიტანა, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ **ვლადიმირ პეტკოვიჩის** გუნდი ნაკლებად ამბიციურია და მიზნად არა სკუდეტო, არამედ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება აქვს დასახული. მოკლედ, "ლაციომ" თავისი საქმე გააკეთა და უმნიშვნელოვანესი ქულები ჩაიწერა აქტივში.

თვითონ თამაში ორი განსხვავებული ტაიმისგან შედგებოდა - პირველში, სრულ ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ, თუმცა მათ იერიშებს სიმწვავე აკლდათ და შესაბამისად, მომენტები თითზე ჩამოსათქელი შეიქმნა. მეორე ნახევარში "ინტერი" გააქტიურდა, რასაც ანდრეა სტრამაჩონის მიერ განხორციელებულმა ცვლილებებმაც შეუწყო ხელი. მწვრთნელმა **ესტებან კამბიასოს** ნაცვლად **როდრიგო პალასიო** ჩართო თამაშში, რითაც შეტევა გააძლიერა. **იუტო ნაგატომომ** წინ აიწია და მილანური გრანდის იერიშებიც რაღაცას დაემსგავსა. მილანელებმა ორჯერ ძელსაც გაარტყეს ბურთი, ერთხელ ფრედი გუარინმა გაისროლა შორიდან, მეორედ ანტონიო კასანომ. მოკლედ, თამაშის ბოლო სტადიაზე სტუმრებმა თითქოს უპირატესობა იგდეს ხელთ, თუმცა სწორედ ამ დროს, **მიროსლავ კლოზე** გაეპარათ, რომელმაც **სტეფანო მაურის** შესანიშნავი პასი შეირგო და გადამწყვეტი გოლი გაიტანა. ამის შემდეგ, იყო ემოცია, კინკლაობა, მსაჯებთან საქმეების გარჩევა და "ლაციოს" ტიფოზთა ფიესტა.

კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ "ინტერს" შუა ხაზში პრობლემები აქვს და პირველ რიგში, სწორედ ცენტრის დათმობით იგდებს თავს რთულ მდგომარეობაში. ყველაფერთან ერთად, ვეღარც თავდამსხმელები ბრწყინავენ და შედეგად, გუნდი არასტაბილურად ასპარეზობს. წინ ზამთრის სატრანსფერო ფანჯარაა და იქნებ **მასიმო მორატიმ** პოზიცია შეიცვალოს - აქამდე, რამდენჯერმე განაცხადა, რომ გუნდის გაძლიერებას არ აპირებს. შაბათს, კიდევ ერთხელ დავინახეთ, რომ "ინტერისთვის" **ვესლი სნეიდერი** მნიშვნელოვანი ფეხბურთელია.

**ვლადიმირ პეტკოვიჩი (ლაციო):** *"მთლიანობაში ვაჯობეთ მეტოქეს და დამსახურებულად გავიმარჯვეთ. მიროსლავ კლოზე საოცარი ფორვარდია და ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. მთელი შეხვედრის განმავლობაში დაუღალავად იხსნებოდა, ეძებდა თავისუფალ ზონებს და ბოლოს, იპოვნა კიდეც. საკუთარ მოედანზე ძალიან კარგად ვთამაშობთ და თუ გასვლით მატჩებშიც იმავეს გავაკეთებთ, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს".*

**ანდრეა სტრამაჩონი (ინტერი):** *"პირველ ტაიმში, მეტოქემ აშკარად გვაჯობა და ეს უნდა ვაღიაროთ. მეორე ნახევარში, უკვე ჩვენ ვიყავით უფრო აქტიურნი, უნდა გაგვეტანა კიდეც, მაგრამ ბედის ირონიით, აქეთ გავუშვით. ეს ფეხბურთია, რომელიც არავითარ პროგნოზს არ ექვემდებარება. ჩვენი დღე არ იყო, სხვას ვერაფერს ვიტყვი".*



მიროსლავ კლოზეს საგოლე დარტყმა

### სამბურთიანი ფორა

"იუვენტუსმა", "მილანმა" და "ფიორენტინამ" საკუთარ მოედანზე ისპარეზეს და სამივემ მეტოქე განსაკუთრებული პრობლემების გარეშე დაამარცხა. ტურინულმა გრანდმა "ატალანტას" სამივე გოლი პირველ ნახევარ საათში გაუტანა და თამაშიც იქ დასრულდა. მალევე ბერგამოელები კაცნაკლულნი დარჩნენ და ტურინელებს დიდად აღარც შეუწუხებიათ თავი. მეორე ტაიმი ფორმალობა იყო, "ვეკია სენიორამ" მორიგი სამი ქულა ჩაიწერა აქტივში და კიდევ უფრო გაზარდა ფორა უახლოეს მდევართან.

"მილანმა" "პესკარას" უმასპინძლა და მართალია, ერთი გაუშვა, სამაგიეროდ, ოთხი ბურთი მიართვა დებიუტანტს. იქიდან ერთი **ანტონიო ნოჩერინოს** ანგარიშზეა, ერთიც **სტეფან ელ შაარავის**, ორი კი "დელფინებმა" საკუთარ კარში გაიტანეს. მილანელებმა შეტევაში გალიეს მთელი 90 წუთი და შეეძლოთ უფრო დიდი ანგარიშითაც მოეგოთ.

4:1 სძლია მეტოქეს "ფიორენტინამაც" და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამ ოთხიდან არც ერთი არ არის **სტევან იოვეტიჩის** ანგარიშზე. არადა, ჩერნოგორიელი სრულიად ჯანმრთელია, 60 წუთი დაყო მინდორზე, მაგრამ ბევრი არაფერი გაუკეთებია. სამაგიეროდ, **ლუკა ტონიმ** გამოიდო თავი და დუბლი შეასრულა. "ფიორენტინამ" ვერონაში ნაქცეულ "რომას" გადაასწრო და მეხუთე ადგილზე მოკალათდა, საიდანაც ჩემპიონთა ლიგის ზონა უფრო კარგად მოჩანს.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

**მომდევნო ტური**

21 დეკემბერი: **პესკარა-კატანია, კალიარი-იუვენტუსი;**

22 დეკემბერი: **ინტერი-ჯენოა, პალერმო-ფიორენტინა, ატალანტა-უდინეზე, ბოლონია-პარმა, სამპდორია-ლაციო, სიენა-ნაპოლი, ტორინო-კიევო, რომა-მილანი.**

**უდინეზე-პალერმო 1:1**

**გოლები:** 0:1 ილიჩიჩი (33), 1:1 დი ნატალე (89).

**უდინეზე (3-5-1-1):** ბრკიჩი – ერუ, დანილო, დომიცი – ბასტა, ალანი, პინცი (67. ლაძარი), ბად[illegible] (41. მერკელი), პასკუალე – პერეირა (77. მაიკოსუ[illegible]) – დი ნატალე.

**პალერმო (3-4-1-2):** უიკანი – მუნიოსი, დონ[illegible], ფონ ბერგენი - კურტიჩი, ბარეტო, პიზან[illegible], გა[illegible] (72. ჯორჯი) – დიბალა (57. რიოსი) - მიკოლ[illegible] (...ენცა), ილიჩიჩი.

**გაფრთხილება:** ბასტა, ალანი - ბარეტო, ილიჩიჩი.

**გაძევება:** ერუ (61. უდინეზე).

**კუთხური:** 4-7; **ჯარიმა:** 19-10; **თამაშგარე:** 6-2; **კარში დარტყმა:** 13-17(6-9); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 12 000

**ლაციო-ინტერი 1:0**

**გოლი:** 1:0 კლოზე (82).

**ლაციო (4-5-1):** მარკეტი – კონკო, ბიავა, სიანი, რადუ – ლულიჩი (64. კანდრევა), ერნანესი (87. დიასი), ლედესმა, გონსალესი, მაური - კლოზე (85. ფლოკარი).

**ინტერი (4-3-1-2):** ჰანდანოვიჩი – ნაგატომო, სამუელი, რანოკია, პერეირა (86. კოუტინიო) - ძანეტი, გარგანო, კამბიასო (60. პალასიო) - გუარინი – კასანო, მილიტო.

**გაფრთხილება:** კონკო, კანდრევა - სამუელი, გარგანო.

**კუთხური:** 7-6; **ჯარიმა:** 12-18; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 11-9(3-2); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 45 000

**ფიორენტინა-სიენა 4:1**

**გოლები:** 1:0 ტონი (16), 2:0 პისარო (19-პენ.), 3:0 აკვილანი (45), 3:1 რეჯინალდო (71), 4:1 ტონი (79).

**ფიორენტინა (3-5-1-1):** ნეტო – რონკალია, გონსალო, სავიჩი – რომულო, აკვილანი, პისარო (72. მილიაჩო), ბორხა ვალერო, პასკუალი (65. ლამა) – იოვეტიჩი (60. ელ ჰამდაუი), ტონი.

**სიენა (3-4-2-1):** პეგოლო – ფელიპე, ნეტო, პაჩი – ანჯელო (19. სესტუ – 60. რეჯინალდო), ვერგასოლა, ბოლცონი, რუბინი – ლარონდო (46. კოპოლა), როზინა - კალაიო.

**გაფრთხილება:** რონკალია, პისარო – ფელიპე, ნეტო, ვერგასოლა, როზინა.

**გაძევება:** პაჩი (88. სიენა).

**კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 18-14; **თამაშგარე:** 0-5; **კარში დარტყმა:** 12-9(5-4); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 26 000

**მილანი-პესკარა 4:1**

**გოლები:** 1:0 ნოჩერინო (1), 2:0 აბრუსკატო (51-საკ. კარში), 2:1 ტერლიცი (56), 3:1 ჯონატასი (79-საკ. კარში), 4:1 ელ შაარავი (81).

**მილანი (4-3-3):** ამელია – დე შილიო, საპატა, იეპესი, კონსტანტი - მონტოლივო, ამბროზინი, ნოჩერინო – რობინიო (61. ბოატენგი), ელ შაარავი (85. მუნტარი), პაცინი (82. ნიანგი).

**პესკარა (3-5-2):** პერინი – ბალცანო, ტერლიცი, კაპუანო - მოდესტო, ნიელსენი, ტონი, ბარნასონი, ვეისი (46. სელიკი) – აბრუსკატო (74. კუინტერო), ვუკუსიჩი (64. ვუკუსიჩი).

**გაფრთხილება:** იეპესი, ამბროზინი – მოდესტო, ტონი.

**კუთხური:** 9-5; **ჯარიმა:** 12-12; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 12-11(8-5); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 50 000

**კატანია-სამპდორია 3:1**

**გოლები:** 0:1 მარესკა (29-პენ.), 1:1 პალიალუნგა (55), 2:1 ბერგესიო (65), 3:1 ლასტრო (90).

**კატანია (4-3-3):** ანდუხარი – ალვარესი, ბელუში, ლეგროტალიე, მარკეზე – სალიფუ (14. პალიალუნგა), ისკო, ლოდი – კასტრო (90. კაპუანო), ბარიენტოსი, ბერგესიო.

**სამპდორია (4-5-1):** რომერო – ბერარდი, მუსტაფი (69. კასტელინი), როსინი, კოსტა – კრსტიჩიჩი, ტისონე, მარესკა (39. ედერი), ობიანგი, პოლი (81. პოცი) - იკარდი.

**გაფრთხილება:** ბელუში, ლეგროტალიე, სალიფუ – ტისონე, ედერი.

**კუთხური:** 5-1; **ჯარიმა:** 13-14; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 10-6(4-2); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 16 000

**კიევო-რომა 1:0**

**გოლი:** 1:0 პელისიერი (87).

**კიევო (4-3-3):** სორენტინო - სარდო, დაინელი, ანდრეოლი, დრამე - გუანა, ლ. რიგონი, კოფიე – თერეუ (85. მ. რიგონი), ჰეტემაი (76. იოკიჩი), პალოსკი (67. პელისიერი).

**რომა (4-3-3):** გოიკოეჩეა – პირისი, მარკინიოსი, კასტანი, ბალცარეტი – ბრედლი (68. დე როსი), პანაიოტისი, ფლორენცი – პიანიჩი (63. ლამელა), ოსვალდო, ტოტი (72. დესტრო).

**გაფრთხილება:** ლ. რიგონი – კასტანი, ტოტი.

**კუთხური:** 5-8; **ჯარიმა:** 5-10; **თამაშგარე:** 8-1; **კარში დარტყმა:** 6-7(5-2); **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 11 000

**ჯენოა-ტორინო 1:1**

**გოლები:** 0:1 ბიანკი (19), 1:1 გრანკვისტი (29).

**ჯენოა (4-4-2):** ფრეი - კანინი, გრანკვისტი, მორეტი – როსი (73. ანსელიმო), სეიმური, ბერტოლაჩი, ანტონელი (85. პიშიტელა) - ვარგასი, იმობილე (83. საიო), ბორიელო.

**ტორინო (4-4-2):** ჯილე – დარმიანი, გლიკი, როდრიგესი, დამბროზიო – ვივესი (90. მაზიელო), გაცი, ბორსა (61. ბრიგი), სანტანა (8. სგრინია) – ჩერჩი, ბიანკი.

**გაფრთხილება:** გრანკვისტი, მორეტი, სეიმური, ბორიელო – დარმიანი, როდრიგესი, ვივესი.

**კუთხური:** 8-7; **ჯარიმა:** 13-16; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 12-7(6-3); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 18 000

**იუვენტუსი-ატალანტა 3:0**

**გოლები:** 1:0 ვუჩინიჩი (2), 2:0 პირლო (14), 3:0 მარკიზიო (27).

**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი – ბარცალი (63. პადოინი), მარონე, კიელინი – ლიხტშტაინერი, ვიდალი, პირლო, მარკიზიო (70. ჯაკერინი), ასამოა – ჯოვინკო, ვუჩინიჩი (56. კვალიარელა).

**ატალანტა (4-4-1-1):** კონსილი – ბელინი, მანფრედინი, ლუკინი - სკელოტო, რადოვანოვიჩი (46. ბიონდინი), ჩიგარინი (74. კაცოლა), ბონავენტურა (39. სტენდარდო), პელუზო – მორალესი - დენისი.

**გაძევება:** მანფრედინი (36).

**კუთხური:** 6-8; **ჯარიმა:** 8-7; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 23-6(12-2); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 38 000

**პარმა-კალიარი 4:1**

**გოლები:** 0:1 [illegible]აუ (20), 1:1 ბელფოდილი (21), 2:1 ბიაბიანი (54), 3:1 ვალდესი (65-პენ.), 4:1 ბელფოდილი (86).

[illegible] (56. ასტ[illegible]), გობი - მარკიონი, ვალდესი, პაროლო – ბიაბიანი (81. ფიდელ[illegible]).

[illegible] – კოსუ (57. ნაინგოლანი) – საუ, ნენე (72. იბარბო).

**გაფრთხილება:** ბენალოუანე, პალეტა, პაროლო – პიზანო, ასტორი, მურუ, კონტი.

**კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 15-14; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 13-6(8-5); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 16 000

**ნაპოლი-ბოლონია 2:3**

**გოლები:** 0:1 გაბიადინი (10), 1:1 გამბერინი (50), 2:1 კავანი (70), 2:2 კონე (86), 2:3 პორტანოვა (89).

**ნაპოლი (3-4-1-2):** დე სანქტისი – გამბერინი (68. კამპანიარო), კანავარო, ბრიტოსი (46. პანდევი) – მაჯო, ბერამი, ინლერი, ცუნიგა – ჰამშიკი – ინსინიე, კავანი.

**ბოლონია (4-2-3-1):** ალიარდი – მოტა (64. გარიჩი), ანტონსონი, პორტანოვა, კერუბინი – გუარენტე (40. მორლეო), კრხინი (77. კონე) - ტაიდერი, დიამანტე, გაბიადინი - ჯილარდინო.

**გაფრთხილება:** ბერამი – კრხინი, მორლეო, გარიჩი.

**კუთხური:** 8-5; **ჯარიმა:** 14-13; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 17-9(9-4); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 40 000

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 17 | 13 | 2 | 2 | 36-10 | 41 |
| 2. ინტერი | 17 | 11 | 1 | 5 | 29-18 | 34 |
| 3. ნაპოლი | 17 | 10 | 3 | 4 | 31-17 | 33 |
| 4. ლაციო | 17 | 10 | 3 | 4 | 24-17 | 33 |
| 5. ფიორენტინა | 17 | 9 | 5 | 3 | 33-19 | 32 |
| 6. რომა | 17 | 9 | 2 | 6 | 37-27 | 29 |
| 7. მილანი | 17 | 8 | 3 | 6 | 32-22 | 27 |
| 8. კატანია | 17 | 7 | 4 | 6 | 25-25 | 25 |
| 9. უდინეზე | 17 | 5 | 8 | 4 | 25-25 | 23 |
| 10. პარმა | 17 | 6 | 5 | 6 | 23-23 | 23 |
| 11. ატალანტა | 17 | 7 | 2 | 8 | 17-26 | 21 |
| 12. კიევო | 17 | 6 | 3 | 8 | 20-27 | 21 |
| 13. ბოლონია | 17 | 5 | 3 | 9 | 20-22 | 18 |
| 14. სამპდორია | 17 | 5 | 3 | 9 | 20-26 | 17 |
| 15. ტორინო | 17 | 3 | 8 | 6 | 18-22 | 16 |
| 16. კალიარი | 17 | 4 | 4 | 9 | 15-30 | 16 |
| 17. პალერმო | 17 | 3 | 6 | 8 | 15-24 | 15 |
| 18. პესკარა | 17 | 4 | 2 | 11 | 13-34 | 14 |
| 19. ჯენოა | 17 | 3 | 4 | 10 | 17-28 | 13 |
| 20. სიენა | 17 | 4 | 5 | 8 | 16-24 | 11 |

*შენიშვნა: სიენა - 6 ქულა, ატალანტა – 2, სამპდორია – 1, ტორინო – 1.*

ბომბარდირები: 14 – ელ შაარავი (მილანი); 12 - კავანი (ნაპოლი); 10 - კლოზე (ლაციო), დი ნატალე (უდინეზე); 8 - ლამელა (რომა), ოსვალდო (რომა), მილიტო (ინტერი).

### სერია B. XIX ტური

**ლივორნო-ტერნანა 2:1**

გოლები: 0:1 ფაზიო (23), 1:1 ბროსკო (45 ს.კ.), 2:1 სილიგარდი (76).

**ბარი-ნოვარა 1:3**

გოლები: 0:1 ბუცეგოლი (47), 0:2 მეჰმეტი (58), 1:2 ფედატო (65), 1:3 გონსალესი (74-პენ.).

**ემპოლი-ვიჩენცა 2:0**

გოლები: 1:0 ტონელი (49), 2:0 სინორელი (67).

**იუვე სტაბია-ჩეზენა 2:2**

გოლები: 1:0 მეძავილა (50), 1:1 სუჩი (63-პენ.), 2:1 მეძავილა (76), 2:2 სუჩი (79).

**მოდენა-კროტონე 3:0**

გოლები: 1:0 არდემანი (34), 2:0 არდემანი (64), 3:0 ლაზარევიჩი (79).

**პადოვა-სასუოლო 1:3**

გოლები: 0:1 ტერანოვა (12), 0:2 ბიანკი (16), 0:3 ბოაკე (59), 1:3 ფარიასი (68).

**ლანჩანო-სპეცია 1:1**

გოლები: 1:0 მინოტი (37), 1:1 ჩუკა (67).

**ვარეზე-გროსეტო** გადაიდო

**პრო ვერჩელი-ვერონა** 0:0

**რეჯინა-ჩიტადელა** დღეს

**ასკოლი-ბრეშა** დღეს

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სასუოლო | 19 | 14 | 3 | 2 | 37-12 | 45 |
| 2. ლივორნო | 19 | 13 | 3 | 3 | 40-25 | 42 |
| 3. ვერონა | 19 | 10 | 6 | 3 | 30-16 | 36 |
| 4. ვარეზე | 18 | 8 | 6 | 4 | 22-21 | 29 |
| 5 მოდენა | 19 | 8 | 6 | 5 | 25-18 | 28 |
| 6. ემპოლი | 19 | 8 | 5 | 6 | 34-34 | 28 |
| 7. ბრეშა | 18 | 6 | 9 | 3 | 26-21 | 27 |
| 8. იუვე სტაბია | 19 | 7 | 5 | 7 | 29-28 | 26 |
| 9. პადოვა | 19 | 7 | 7 | 5 | 24-23 | 26 |
| 10. ჩიტადელა | 18 | 7 | 4 | 7 | 23-24 | 25 |
| 11. სპეცია | 19 | 6 | 7 | 6 | 25-25 | 25 |
| 12. ტერნანა | 19 | 5 | 6 | 8 | 18-22 | 21 |
| 13. ბარი | 19 | 7 | 5 | 7 | 29-25 | 19 |
| 14. კროტონე | 19 | 5 | 6 | 8 | 18-22 | 19 |
| 15. ასკოლი | 18 | 5 | 4 | 9 | 20-27 | 18 |
| 16. ვიჩენცა | 19 | 3 | 9 | 7 | 20-25 | 18 |
| 17. ჩეზენა | 19 | 3 | 8 | 8 | 19-33 | 17 |
| 18. ლანჩანო | 19 | 2 | 10 | 7 | 16-27 | 16 |
| 19. რეჯინა | 18 | 4 | 7 | 7 | 18-23 | 16 |
| 20. ნოვარა | 19 | 5 | 5 | 9 | 24-25 | 16 |
| 21. პრო ვერჩელი | 19 | 4 | 3 | 12 | 16-31 | 15 |
| 22. გროსეტო | 18 | 3 | 8 | 7 | 22-28 | 11 |

*შენიშვნა: ბარი – 7, გროსეტო – 6 ქულა, ნოვარა – 4, რეჯინა – 3, პადოვა – 2, მოდენა – 2, კროტონე – 2, ემპოლი – 1, ასკოლი – 1, ვარეზე – 1 ქულა*

ბომბარდირები: 14 — სანსოვინი (სპეცია); 11 — არდემანი (მოდენა), სილიგარდი (ლივორნო); 10 — კაჩა (ვერონა), სფორცინი (გროსეტო)

### სერია C1/A

რეჯანა-ტრაპანი 1:3, ალბინოლეფე-კომო 3:1, კარპი-ლეკო 1:0, კრემონეზე-სან მარინო 1:1, ენტელა-კუნეო 0:1, ფერალპიზალო-ტრევიზო 3:0, ლუმეცანე-ტრიესტინა (გადაიდო), სუდტიროლი-პორტოგრუარო (დღეს).

### სერია C1/B

აველინო-კატანძარო 2:0, ბენევენტო-პიზა 2:1, კარარეზე-ნოჩერინა 2:1, გუბიო-ანდრია 1:1, პრატო-პერუჯა 2:0, სორენტო-ფროზინონე 2:2, ვიარეჯო-ბარლეტა 3:0, პაგანეზე-ლატინა (შეწყდა).

ესპანეთი. ლა ლიგა. XVI ტური



ლეოს ანგარიშზე წლეულს უკვე 90 გოლია

# ფალკაო? არა, მესი!

## ჟოზე დანებდა: ტიტული დაკარგულია

მართალია, „ელ ტიგრე“ ფალკაომ თავიდან მშვენიერი გოლი გაიტანა, მაგრამ „ვეფხვმა“ ამით უფრო საშიში მხეცი გააღვიძა, რომელსაც „ბარსელონა“ ჰქვია - 4:1 ასეთია ტიტო ვილანოვას გუნდის პასუხი, ლეო მესის ანგარიშზე კი მორიგი დუბლია. ახლა მესის 2012 წელს 90 გოლი აქვს გატანილი და რეზერვში ერთი მატჩიც რჩება. რაც მთავარია, ამ განადგურებით კატალონიელებმა ფაქტობრივად ჩამოიცილეს „ატლეტიკო“ საჩემპიონო რბოლიდან.

„რეალი“? „რეალზე“ საერთოდ არ არის ლაპარაკი. მხოლოდ ერთ ისტორიას მოვყვებით: „ესპანიოლთან“ მატჩის რეპორტაჟს (რომელიც 2:2 მორჩა) „მარკას“ მავანი რეპორტიორი წერდა. აი, როგორ დაიწყო მან წერილი: „გუშინ პრესკონფერენციისას მოურინიომ ყურში ჩამჩურჩულა - მე „ტოპი“ ვარ მწვრთნელებში, აი, შენ კიდევ *** ხარ ჟურნალისტებში. ვფიქრობთ, ვინ ვინ არის, დღეს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ უკეთ გამოჩნდა“...

### ორიანი მსაჯს

„ხეტაფე“, 10-კაციან „ოსასუნასთან“ მარცხს, **დიეგო კასტრომ** გადაარჩინა, რომელმაც 93-ე წუთზე პენალტით გაათანაბრა - 1:1. პირველ ტაიმში გუნდებმა თითო საგოლე მომენტი გააცუდეს, **ნინო** და **ალვარო ვასკესმა** 100%-იანი შანსები გაანიავეს. თამაში მხოლოდ მაშინ გამოცოცხლდა, რაც არგენტინელმა **ემილიო არმენტეროსმა** მასპინძელი **ვალერა** „მოჩეხა“ და „ოსასუნა“ კაცნაკლული დატოვა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, **კიკე სოლამ** „ხეტაფეს“ მცველებს აჯობა და ანგარიში გახსნა. ნავარელებს 3 ქულა ჯიბიდან ამოაცალეს - მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე, სტუმართა კარში საეჭვო პენალტი დაინიშნა. ვფიქრობთ, **ოიერს** ხელით არ უთამაშია. მსაჯ **ტეიშეირა ვიტიენესს** „მარკამ“ 10-ბალიანი სისტემით 2-იანი დაუწერა.

### გორკა მხსნელი

თამაშის მე-10 წუთზე, „ბილბაოს“ ცენტრფორვარდის, **არიც ადურისის** თავური (მისთვის მე-10 გოლი სეზონში) საკმარისი აღმოჩნდა ბალეარებზე სამი ქულის მოსაპოვებლად, თუმცა არ უნდა დავივიწყოთ **გორკა ირაისოსის** დიდებული თამაშიც, ბასკთა გოლკიპერმა რამდენჯერმე იხსნა გუნდი. „მალიორკამ“ კი ბოლო 11 ტურში მე-9 მარცხი იგემა და გუნდში თუ არაფერი შეიცვალა (მწვრთნელიდან დაწყებული), „მალიორკას“ კატასტროფა ელის.

### ხუთი ტურია, ვერ გააქვთ

„გრანადას“ საქმეც ვერ არის კარგად - ანდალუსიელებს ზედიზედ 5 ტურია, გოლი არ გაუტანიათ! საპირისპირო მდგომარეობაა ბასკურ კლუბში - სან სებასტიანელებს 7 ტურია, არ წაუგიათ და „გრანადასთან“ მატჩშიც მეტოქეზე მეტად იმსახურებდნენ წარმატებას. ამბობენ, ანდალუსიელთა მწვრთნელს, **ხუან ანტონიო ანკელას** დღე-დღეზე მოხსნიანო.

### პელეგრინიმ დერბი მოიგო

„სანჩეს პისხუანზე“ „მალაგამ“ უმნიშვნელოვანესი დერბი მოიგო - გოლები მე-2 ტაიმში არგენტინელმა **მარტინ დემიკელისმა** და პორტუგალიელმა **ელიზეუმ** (პენალტით) გაიტანეს. არადა, **პელეგრინის** გუნდმა პირველი ტაიმი ცუდად ითამაშა და „სევილიას“ რამდენჯერმე გადაურჩა, თუნდაც **ალვარო ნეგრედოს** გასროლას გავიხსენებთ - ბურთი ძელმა აისხლიტა. მასპინძლები მეორე ტაიმში დაისაჯნენ - ჯერ მარტინ დემიკელისმა თავურით ანგარიში გახსნა, შემდეგ **ხოაკინ სანჩესი** საჯარიმოში ხელით დაიჭირა **ფედერიკო ფასიომ**, წითელი ბარათი მიიღო და პენალტიც დაინიშნა, რომელიც ელიზეუმ გოლად აქცია. „სევილიამ“ ქულებთან ერთად ტრავმების გამო **ივან რაკიტიჩი** და **დიეგო პეროტი** დაკარგა.

### ლევანტე კვლავ გვაოცებს

ორი სეზონია, „ლევანტე“ საფეხბურთო სამყაროს აოცებს - ვეტერანებით დაკომპლექტებული, მცირებიუჯეტიანი ვალენსიური კლუბი მოწინავეთა შორის ადგილს არ კარგავს, როგორც ჩანს, არც უახლოეს მომავალში აპირებს - მე-19 წუთზე თამაშის ერთადერთი გოლი, სტუმართა 19 წლის ნახევარმცველმა **რუბენ გარსიამ** გაიტანა. ეს მისი ზედიზედ მეორე გოლია. სხვათა შორის, ორი წუთით ადრე არბიტრმა აშკარა პენალტი არ დანიშნა სტუმართა კარში - **დავიდ ნავაროს სეპუნარუს** ეუხეშა, თუმცა მსაჯმა ამაზე თვალი დახუჭა. საერთო ჯამში, „ლევანტემ“ წარმატებას დაცვაში კომპლექსური და თითქმის უშეცდომო თამაშის წყალობით მიაღწია.

### ყოფილმა ფეხბურთელმა გაუტანა

**ერნესტო ვალვერდეს** დებიუტი „მესტალიაზე“ მარცხით დასრულდა - ერთადერთი გოლი (პენალტით) „ღამურებს“ ყოფილმა ფეხბურთელმა, **ალეხანდრო „ჩორი“ დომინგესმა** გაუტანა. არადა, აქამდე ვალვერდეს ხელმძღვანელობით „ვალენსიამ“ სამჯერ ითამაშა და სამივეჯერ „მშრალად“ მოიგო. ყველაფერში დამნაშავე არგენტინელი **ტინო კოსტაა** მის შეცდომას მოჰყვა პენალტი, რომელიც მისმა თანამემამულემ „ელვებისთვის“ 3 ქულის მომტან გოლად აქცია. სხვათა შორის, „მესტალიაზე“ წინა 13 ვიზიტისას მადრიდელებს ვერ მოეგოთ.

### ტიტული თითქმის დაკარგულია

„სანტიაგო ბერნაბეუზე“ მოულოდნელად „ესპანიოლი“ დაწინაურდა, **სერხიო გარსიამ** შესანიშნავი გოლი გაიტანა **იკერ კასილიასის** კარში. ტაიმის მიწურულს **კრიშტიანო რონალდომ** დასწრებაზე ითამაშა და ანგარიშიც გაათანაბრა. მეორე ტაიმი დაიწყო და სუფთა პორტუგალიური კომბინაცია „რეალის“ მეორე გოლით დასრულდა - რონალდომ **ფაბიო კოენტრაოს** გაატანინა. თუმცა „სამეფო კლუბმა“ ვერ შეინარჩუნა უპირატესობა ბოლოსწინაადგილოსან გუნდთან, **ხუან ალბინმა** „რეალის“ საჯარიმოში არეულობით ისარგებლა და „ესპანიოლს“ მნიშვნელოვანი ქულა მოუპოვა. „როგორც ჩანს, ტიტულს ველარ შევინარჩუნებთ“, - ასეთი იყო **ჟოზე მოურინიოს** კომენტარი.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

**მომდევნო ტური**

20 დეკემბერი: რაიო ვალეკანო-ლევანტე, რეალ სოსიედადი-სევილია, ესპანიოლი-დეპორტივო.

21 დეკემბერი: ვალენსია-ხეტაფე, ატლეტიკო-სელტა.

22 დეკემბერი: ბეტისი-მალიორკა, ვალიადოლიდი-ბარსელონა, მალაგა-რეალი, ოსასუნა-გრანადა, ბილბაო-სარაგოსა.

**ხეტაფე-ოსასუნა 1:1**

**გოლები:** 0:1 კიკე სოლა (84), 1:1 დ. კასტრო (93)

**ხეტაფე (4-2-3-1):** მოია - ვალერა, ლოპო, აბრაამი, მანე - ხ. ტორესი, მიჩელი - პედრო ლეონი (62. დ. კასტრო), ბარადა (74. გავილანი), ლაფიტა - ა. ვასკესი (69. ალკასერი).

**ოსასუნა (4-2-3-1):** ა. ფერნანდესი - დამია, არიბასი, ფლანიო, ნანო (66. ბერტრანი) - სეხუდო (79. ოიერი), ნინო, არმენტეროსი - კიკე სოლა (87. ტიმორი).

**გაფრთხილება:** ლოპო, ლაფიტა, მიჩელი, ვალერა - ნანო, სოლა, პუნიალი, ოიერი

**გაძევება:** არმენტეროსი (77)

**კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 12-16; **თამაშგარე:** 7-4; **კარში დარტყმა:** 8-7 (2-3); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 7 800

**მალიორკა-ბილბაო 0:1**

**გოლი:** 0:1 ადურისი (10)

**მალიორკა (4-2-3-1):** ავატე - ნსუე, ნუნიეში, ჟერომელი, ბიგასი - პინა, მარკესი (72. მარტი) - არისმენდი (85. ალფარო), ვიქტორი, ჯოვანი დოს სანტოსი (73. ბრანდონი) - ჰემედი.

**ბილბაო (4-2-3-1):** ირაისოსი - ირაოლა, ეკიზა, ლაპორტე, აურტენეჩე - სან ხოსე, ანდერი - სუსაეტა (63. ი. გომესი), დე მარკოსი (79. გურპეგი), მუნიაინი (88. ტოკერო) - ადურისი.

**გაფრთხილება:** ბიგასი, ჟერომელი, ბრანდონი - სან ხოსე, ლაპორტე, სუსაეტა

**კუთხური:** 15-3; **ჯარიმა:** 22-16; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 18-12 (4-2); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 8 000

**გრანადა-სოსიედადი 0:0**

**გრანადა (4-2-3-1):** რობერტო - ნიომი, ი. ლოპესი, მაინსი, სიკეირა (71. ანგულო) - ირინეი, მ. რიკო - ტორჯე (68. ხაიმე), ბრაიმი (61. ელ-არაბი), დ. ბენიტესი - იგჰალო.

**რეალ სოსიედადი (4-2-3-1):** ბრავო - კ. მარტინესი, მ. გონსალესი, ი. მარტინესი, დე ლა ბელა - ზურუტუზა (70. პარდო), ილარამენდი - ჩაბი პრიეტო, ველა, გრიზმანი (74. გ. კასტრო) - იფრანი (80. აგირეჩე).

**გაფრთხილება:** ნიომი, იგჰალო, ხაიმე - კ. მარტინესი, პრიეტო, ველა

**კუთხური:** 9-4; **ჯარიმა:** 27-5; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 10-15 (4-3); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 20 000

**სევილია-მალაგა 0:2**

**გოლები:** 0:1 დემიკელისი (49), 0:2 ელიზეუ (70-პენ)

**სევილია (4-2-3-1):** დ. ლოპესი - კოკე (56. სისინიო), ფასიო, სპაჰიჩი, ფ. ნავარო - მედელი, კონდობია (56. რეიესი) - ხესუს ნავასი, რაკიტიჩი (68. დელ მორალი), პეროტი - ნეგრედო.

**მალაგა (4-2-3-1):** კაბალიერო - გამესი, დემიკელისი, ველიგტონი, მონრეალი - ნაჩო კამაჩო, იტურა (46. ს. სანჩესი) - ხოაკინი (70. სავიოლა), ისკო (78. პორტილიო), ელიზეუ - სანტა კრუსი.

**გაფრთხილება:** სპაჰიჩი - იტურა, ველიგტონი, კამაჩო, სანჩესი

**გაძევება:** ფასიო (69)

**კუთხური:** 10-7; **ჯარიმა:** 13-14; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 15-9 (2-2); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 36 000

**სარაგოსა-ლევანტე 0:1**

**გოლი:** 0:1 რუბენ გარსია (19)

**სარაგოსა (4-2-3-1):** რობერტო - გონი (46. პარედესი), სეპუნარუ, ალვარო, აბრაამი - მოვილია, აპონიო - სუკულინი (46. ე. ორიოლი), ვ. როდრიგესი (73. ორტი), მონტანიესი - პოშტიგა.

**ლევანტე (4-2-3-1):** მუნუა - ლელი, ბალესტეროსი, დ. ნავარო, ხუანფრანი - დიოპი, იბორა - მიჩელი (57. ელ-ზარი), ბარკერო (86. როხერი), რუბენ გარსია (77. ხუანლუ) - მარტინსი.

**გაფრთხილება:** სეპუნარუ, პოშტიგა, მოვილია, აპონიო - იბორა, მარტინსი, ლელი, დიოპი, ხუანლუ

**გაძევება:** ლელი (94)

**კუთხური:** 2-3; **ჯარიმა:** 15-22; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 12-10 (2-3); **ბურთის ფლობა:** 68%-32%.

**მაყურებელი:** 23 000

**ვალენსია-ვალეკანო 0:1**

**გოლი:** 0:1 ა. დომინგესი (83-პენ)

**ვალენსია (4-2-3-1):** დიეგო ალვეში - ბარაგანი, რამი (74. სისოკო), რ. კოშტა, გუარდადო - ბანეგა, ტინო კოსტა - ფეგული, ჟონასი (62. ბერნატი), პიატი (46. პარეხო) - სოლდადო.

**რაიო ვალეკანო (4-2-3-1):** კობენიო (66. რუბენი) - ტიტო (78. ნაჩო), გალვესი, ამატი, კასადო - ტრაშორასი, ადრიანი - ფ. ვასკესი (63. ლ. ბანგურა), ა. დომინგესი, პიტი - ლეო კარილიო.

**გაფრთხილება:** კოსტა, პარეხო - ვასკესი, პიტი, ამატი, კასადო, რუბენი

**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 16-18; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 8-8 (2-2); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 38 000

**რეალი-ესპანიოლი 2:2**

**გოლები:** 0:1 ს. გარსია (30), 1:1 რონალდო (45), 2:1 ფ. კოენტრაო (47), 2:2 ალბინი (88)

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - არბელოა, პეპე, სერხიო რამოსი, ფ. კოენტრაო - ხედირა, ჩაბი ალონსო - ოზილი, მოდრიჩი (46. დი მარია), რონალდო - კალეხონი (72. მორატა).

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კასილია - ხ. ლოპესი, კოლოტო, მორენო, ვ. ალვარესი (58. კაპდევილა) - ფორლინი, ვ. სანჩესი - ვაკასო (28. ალფონსო), ვერდუ (69. ალბინი), სიმაო - ს. გარსია.

**გაფრთხილება:** ალონსო, რონალდო - ვაკასო, ალფონსო, სანჩესი, ალბინი

**კუთხური:** 11-7; **ჯარიმა:** 10-14; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 29-12 (10-3); **ბურთის ფლობა:** 69%-31%.

**მაყურებელი:** 77 000

**ბარსელონა-ატლეტიკო 4:1**

**გოლები:** 0:1 ფალკაო (31), 1:1 ადრიანო (36), 2:1 ბუსკეტსი (45), 3:1 მესი (57), 4:1 მესი (87)

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - ადრიანო (84. დანი ალვესი), [illegible], ალბა - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა - პედრო (79. [illegible]), მესი, სანჩესი (74. ტ. ალკანტარა).

**ატლეტიკო (4-4-1-1):** კურტუა - ხუანფრანი, მირანდა, გოდინი, ფილიპე ლუიში (46. კატა დიასი) - კოკე, მ. სუარესი (55. ადრიან ლოპესი), გაბი, არდა თურანი - დ. კოშტა (59. ტიაგო) - ფალკაო.

**გაფრთხილება:** ალკანტარა - სუარესი

**კუთხური:** 9-5; **ჯარიმა:** 15-16; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 11-8 (6-1); **ბურთის ფლობა:** 74%-26%.

**მაყურებელი:** 95 000

დეპორტივო-ვალიადოლ. დღეს, 23:00

სელტა-ბეტისი დღეს, 00:30

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 16 | 15 | 1 | 0 | 54-18 | 46 |
| 2. ატლეტიკო | 16 | 12 | 1 | 3 | 36-17 | 37 |
| 3. რეალი | 16 | 10 | 3 | 3 | 39-14 | 33 |
| 4. მალაგა | 16 | 8 | 4 | 4 | 25-10 | 28 |
| 5. ლევანტე | 16 | 8 | 3 | 5 | 21-21 | 27 |
| 6. ბეტისი | 15 | 8 | 1 | 6 | 24-26 | 25 |
| 7. ხეტაფე | 16 | 7 | 3 | 6 | 19-21 | 24 |
| 8. სოსიედადი | 16 | 6 | 4 | 6 | 22-19 | 22 |
| 9. ვალეკანო | 16 | 7 | 1 | 8 | 19-32 | 22 |
| 10. ვალიადოლიდი | 15 | 6 | 3 | 6 | 22-18 | 21 |
| 11. ვალენსია | 16 | 6 | 3 | 7 | 19-24 | 21 |
| 12. ბილბაო | 16 | 6 | 3 | 7 | 21-32 | 21 |
| 13. სევილია | 16 | 5 | 4 | 7 | 21-24 | 19 |
| 14. სარაგოსა | 16 | 6 | 1 | 9 | 18-24 | 19 |
| 15. სელტა | 15 | 4 | 3 | 8 | 16-20 | 15 |
| 16. ოსასუნა | 16 | 3 | 5 | 8 | 13-17 | 14 |
| 17. გრანადა | 16 | 3 | 4 | 9 | 11-24 | 13 |
| 18. მალიორკა | 16 | 3 | 4 | 9 | 14-28 | 13 |
| 19. ესპანიოლი | 16 | 2 | 6 | 8 | 17-26 | 12 |
| 20. დეპორტივო | 15 | 2 | 5 | 8 | 21-37 | 11 |

**ბომბარდირები:** 25 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 17 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 14 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 10 - არიც ადურისი (ბილბაო).

**სეგუნდა დივიზიონი**

**XVIII ტური**

**ლუგო-რეალი II 3:2**

**გოლები:** 1:0 დიას მიგელი (2), 1:1 ხ. როდრიგესი (7), 1:2 ხუანფრაNნი (36), 2:2 ო. დიასი (40-პენ), 3:2 სოლი (85)

**ალკორკონი-ბარსელონა II 1L:1**

**გოლები:** 1:0 ო. რიერა (17), 1:1 ლუის ალბერტო (79)

**უესკა-კორდობა 1:3**

**გოლები:** 1:0 დიოგო (24), 1:1 პედრო (31), 1:2 ვიკო (57), 1:3 ვიკო (64)

**მურსია-გვადალახარა 0:1**

**გოლი:** 0:1 გაფორი (72)

**გაძევება:** გაფორი (73. გვადალახარა)

**ხირონა-ვილიარეალი 2:0**

**გოლები:** 1:0 ბენხა (51), 2:0 ხანდრო (81-პენ)

**გაძევება:** მელბერგი (81. ვილიარეალი)

**რასინგი-საბადელი 0:1**

**გოლი:** 0:1 ლანსაროტე (8)

**ელჩე-ალმერია 1:0**

**გოლი:** 1:0 ეჩეიტა (71)

**სპორტინგი-ხერესი 3:0**

**გოლები:** 1:0 ბილიჩი (54), 2:0 კასესი (84), 3:0 ბილიჩი (87)

**მირანდესი-ერკულესი 3:2**

**გოლები:** 1:0 ირიბასი (14), 2:0 დიას დე სერიო (38), 3:0 დიას დე სერიო (45), 3:1 პორტილიო (77), 3:2 პორტილიო (90)

**გაძევება:** დიას დე სერიო (75. მირანდესი)

**ნუმანსია-პონფერადინა 0:1**

**გოლი:** 0:1 აკორანი (16)

**უელვა-ლას პალმასი 0:0**

**გაძევება:** მურილიო (45. ლას პალმასი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ელჩე | 18 | 13 | 3 | 2 | 27-9 | 42 |
| 2. ხირონა | 18 | 11 | 3 | 4 | 33-16 | 36 |
| 3. ალმერია | 18 | 10 | 4 | 4 | 30-20 | 34 |
| 4. ალკორკონი | 18 | 10 | 2 | 6 | 29-23 | 32 |
| 5. ვილიარეალი | 18 | 8 | 6 | 4 | 23-15 | 30 |
| 6. ბარსელონა II | 18 | 8 | 4 | 6 | 36-27 | 28 |
| 7. პონფერადინა | 18 | 9 | 1 | 8 | 27-25 | 28 |
| 8. საბადელი | 18 | 7 | 6 | 5 | 25-19 | 27 |
| 9. ლას პალმასი | 18 | 7 | 6 | 5 | 26-24 | 27 |
| 10. კორდობა | 18 | 7 | 5 | 6 | 21-21 | 26 |
| 11. უელვა | 18 | 7 | 3 | 8 | 22-30 | 24 |
| 12. მურსია | 18 | 6 | 5 | 7 | 21-20 | 23 |
| 13. ლუგო | 18 | 6 | 5 | 7 | 19-24 | 23 |
| 14. ნუმანსია | 18 | 5 | 7 | 6 | 20-25 | 22 |
| 15. რეალი II | 18 | 6 | 3 | 9 | 33-34 | 21 |
| 16. სპორტინგი | 18 | 5 | 6 | 7 | 24-26 | 21 |
| 17. ხერესი | 18 | 5 | 5 | 8 | 19-28 | 20 |
| 18. გვადალახარა | 18 | 5 | 4 | 9 | 22-28 | 19 |
| 19. მირანდესი | 18 | 3 | 7 | 8 | 16-22 | 16 |
| 20. უესკა | 18 | 3 | 7 | 8 | 17-27 | 16 |
| 21. რასინგი | 18 | 3 | 5 | 10 | 13-26 | 14 |
| 22. ერკულესი | 18 | 3 | 5 | 10 | 15-29 | 14 |

**ბომბარდირები:** 11 - იური (პონფერადინა); 10 - ორიოლი (ალკორკონი), ხესე როდრიგესი (რეალი).

**პორტუგალია**

**ლიგა საგრეში. XII ტური**

**ოლჰანენსე-ჟილ ვისენტე 2:2**

**გოლები:** 0:1 იერო (4), 0:2 ლ. კარლუში (64), 1:2 პილოტო (66), 2:2 ბრანდაო (78)

**ბეირა მარი-რიუ ავე 3:1**

**გოლები:** 1:0 სერჟინიო (2), 2:0 ბალბოა (44), 2:1 ტარანტინი (61), 3:1 ჟოაოზინიო (75)

**ნასიონალი-სპორტინგი 1:1**

**გოლები:** 1:0 ისაელი (25), 1:1 სოარესი (69)

**ბენფიკა-მარიტიმუ 4:1**

**გოლები:** 0:1 ანტონიო (25), 1:1 კარდოსო (34), 2:1 კარდოსო (66-პენ), 3:1 კარდოსო (69), 4:1 მორენო (88)

**გაძევება:** რობერჰჯი (64. მარიტიმუ)

**მორეირენსე-აკადემიკა 2:2**

**გოლები:** 1:0 ლილასი (27), 2:0 ვაგნერი (30), 2:1 ედინიო (43), 2:2 ს. სისე (93)

**ბრაგა-ეშტორილი 3:0**

**გოლები:** 1:0 უგო ვიანა (4), 2:0 მოსორო (50), 3:0 ედერი (61)

**ფერეირა-გიმარაეში 2:1**

**გოლები:** 1:0 სისერო (14), 2:0 სისერო (59), 2:1 ბარიენტოსი (77)

**სეტუბალი-პორტუ გადაიდო**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბენფიკა | 12 | 10 | 2 | 0 | 32-8 | 32 |
| 2. პორტუ | 11 | 9 | 2 | 0 | 27-6 | 29 |
| 3. ბრაგა | 12 | 7 | 2 | 3 | 27-15 | 23 |
| 4. ფერეირა | 12 | 4 | 7 | 1 | 15-10 | 19 |
| 5. რიუ ავე | 12 | 5 | 3 | 4 | 16-16 | 18 |
| 6. ეშტორილი | 12 | 4 | 3 | 5 | 18-17 | 15 |
| 7. გიმარაეში | 12 | 4 | 3 | 5 | 13-20 | 15 |
| 8. ბეირა მარი | 12 | 3 | 4 | 5 | 18-23 | 13 |
| 9. მარიტიმუ | 12 | 3 | 4 | 5 | 10-20 | 13 |
| 10. სპორტინგი | 12 | 2 | 6 | 4 | 11-15 | 12 |
| 11. ნასიონალი | 12 | 3 | 3 | 6 | 16-23 | 12 |
| 12. სეტუბალი | 11 | 2 | 5 | 4 | 11-20 | 11 |
| 13. ჟილ ვისენტე | 12 | 2 | 5 | 5 | 12-18 | 11 |
| 14. ოლჰანენსე | 12 | 2 | 5 | 5 | 15-20 | 11 |
| 15. აკადემიკა | 12 | 1 | 7 | 4 | 15-20 | 10 |
| 16. მორეირენსე | 12 | 1 | 5 | 6 | 14-19 | 8 |

**ბომბარდირები:** 12 - ოსკარ კარდოსო (ბენფიკა); 10 - ჯექსონ მარტინესი (პორტუ); 9 - ალბერტ მეიონგი (სეტუბალი).

მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი.

# კორინთიანსი მსოფლიოს ჩემპიონია



კორინთიანსი ზეიმობს

მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი "კორინთიანსის" გამარჯვებით დასრულდა. ბრაზილიელებმა ეს ტურნირი მეორედ მოიგეს და ამ მხრივ "ბარსელონას" გაუთანაბრდნენ. შეგახსენებთ, რომ "ტიმაომ" ეს ტიტული 2000 წელსაც მოიპოვა, როდესაც ისტორიაში პირველი საკლუბო ჩემპიონატის ფინალში, **დიდას** შესანიშნავი თამაშის წყალობით, **რომარიო-ედმუნდოს** "ვასკო და გამას" პენალტების სერიაში მოუგო.

"კორინთიანსის" გამარჯვებაში უდიდესი წვლილი ამჯერადაც მეკარემ შეიტანა. ფინალური მატჩის და მთლიანად ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად, სწორედ "კორინთიანსის" გოლკიპერი **კასიო** დაასახელეს, რომელმაც საკუთარი გუნდი არაერთხელ იხსნა.

"ჩელსი" პირველ ტაიმში ძალიან დიდ უპირატესობას ფლობდა და საგოლე მომენტებსაც ანიავებდა. პირველი რეალური მომენტი **გარი კეჰილს** ჰქონდა, რომლის დარტყმულზეც კასიომ საოცარი რეაქცია გამოავლინა და საკუთარი გუნდი გადაარჩინა. 25 წლის მეკარეს ვერც **ვიქტორ მოზესმა** და **ედენ აზარმა** აჯობეს, **ფერნანდო ტორესი** კი მატჩის ნამდვილ ანტიგმირად მოგვევლინა, რადგან ესპანელმა ორივე ტაიმში ხელიდან შესანიშნავი შანსები გაუშვა.

შეხვედრის ერთადერთი გოლი 69-ე წუთზე **ხოსე პაულო გერერომ** გაიტანა. ბრაზილიელებმა ძალიან ლამაზი შეტევა განახორციელეს, რომელიც **დანილოს** დარტყმით დასრულდა, რიკოშეტის შედეგად ბურთი პერუელთან მივიდა, ვინც თავური დარტყმით ანგარიში გახსნა და როგორც მოგვიანებით გაირკვა, გამარჯვების მომტანი გოლიც გაიტანა.

გაშვებული ბურთის შემდეგ **რაფაელ ბენიტესმა** თამაშში **ოსკარი, სესარ ასპილიკუეტა** და **მარკო მარინი** ჩართო, მაგრამ ვერც მათ და ვერც ლურჯების სხვა ფეხბურთელებმა, კასიოს ვერაფერი მოუხერხეს და ამით იოკოჰამას სტადიონზე შეკრებული 40000 ბრაზილიელი ქომაგი უზომოდ გაახარეს.

ფინალურ მატჩამდე, ეგვიპტური "ალ აჰლი" და მექსიკური "მონტერეი" ერთმანეთს მესამე ადგილისთვის დაუპირისპირდნენ და გამარჯვება "კონკაკაფელებმა" მოიპოვეს. მექსიკელების მხრიდან მეორე გოლი არგენტინელმა **სესარ დელგადომ** გაიტანა, რომლისთვისაც ეს ბურთი მესამე იყო და "ლიონის" ყოფილი ფორვარდი, იაპონელ **ჰისატო სატოსთან** ერთად, ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

საუკეთესო ფეხბურთელი, როგორც უკვე ვთქვით, კასიო გახდა, ვერცხლის ბურთი "ჩელსის" ბრაზილიელმა **დავიდ ლუისმა** მიიღო, ხოლო ბრინჯაოს ბურთი, "კორინთიანსის" მხრიდან ყველა (ორივე) გოლის ავტორმა, ხოსე გერერომ დაიმსახურა.

### მატჩი მე-3 ადგილისთვის

**ალ აჰლი-მონტერეი 0:2**

**გოლები:** 0:1 კორონა (3), 0:2 ს. დელგადო (66).

### ფინალი

**კორინთიანსი-ჩელსი 1:0**

**გოლი:** 1:0 გერერო (69).

**კორინთიანსი** (4-3-3): კასიო – ალესანდრო, ჩიკაო, პაულო ანდრე, ფაბიო სანტოსი – რალფი, პაულინიო, დანილო – ემერსონ შეიკი (90. უოლასი), ჟორჟე ენრიკე, გერერო (86. ხ. მარტინესი).

**ჩელსი** (4-2-3-1): ჩეხი – ივანოვიჩი (83. ასპილიკუეტა), დავიდ ლუისი, კეჰილი, ე. კოული – ლემპარდი, რამირესი – მოზესი (72. ოსკარი), მატა, აზარი (87. მარინი) – ფ. ტორესი.

**გაფრთხილება:** ჟორჟე ენრიკე – დავიდ ლუისი.

**გაძევება:** - კეჰილი (90).

**კარში დარტყმა:** 9-14 (2-6); **ჯარიმა:** 17-12; **კუთხური:** 4-2; **თამაშგარე:** 1-4; **ბურთის ფლობა:** 46-54;

## ჰოლანდია

### ერედივიზიე. XVII ტური.

**ტვენტე-ჰერაკლესი 3:2**

**გოლები:** 0:1 ვეინოვიჩი (20), 1:1 ჩადლი (26), 2:1 [illegible] (62), 2:2 ბრუნსი (64), 3:2 კასტაინოსი (70).

**ზვოლე-ალკმაარი 1:2**

**გოლები:** 0:1 ალტიდორი (2), 0:2 ალტიდორი (33), 1:2 ავდიჩი (56).

**ნაიმეგენი-პსვ 1:1**

**გოლები:** 0:1 მ. იორგენსენი (10), 1:1 პალსონი (80).

**უტრეხტი-ჰერენვენი 3:1**

**გოლები:** 1:0 დე კოგელი (66), 2:0 დე კოგელი (70), 2:1 ფინბოგასონი (78-პენ), 3:1 მულენგა (89).

**ვიტესი-ვაალვაიკი 2:2**

**გოლები:** 1:0 ბონი (8), 1:1 შევალიე (78), 2:1 კზიომერი (81), 2:2 დუიტსი (90).

**ფეიენოორდი-დენ ჰააგი 3:2**

**გოლები:** 1:0 პელე (15), 1:1 ვან დუინენი (16), 2:1 იმერსი (45-პენ), 2:2 ჰოლა (57-პენ), 3:2 ჩერი (86-საკ. კარში).

**ვილემ II-აიაქსი 2:4**

**გოლები:** 0:1 ს. დე იონგი (11), 0:2 ჰუსენი (14), 1:2 ჯოაკიმი (16), 2:2 სნაიდერსი (28), 2:3 მოისანდერი (72), 2:4 ლუკოკი (87).

**გრონინგენი-ვენლო 0:0**

**როდა-ბრედა 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსვ | 17 | 12 | 1 | 4 | 54-17 | 37 |
| 2. ტვენტე | 17 | 11 | 4 | 2 | 32-14 | 37 |
| 3. აიაქსი | 17 | 10 | 6 | 1 | 42-20 | 36 |
| 4. ვიტესი | 17 | 10 | 5 | 2 | 33-16 | 35 |
| 5. ფეიენოორდი | 17 | 10 | 4 | 3 | 35-22 | 34 |
| 6. უტრეხტი | 17 | 8 | 5 | 4 | 24-19 | 29 |
| 7. ნაიმეგენი | 17 | 6 | 6 | 5 | 24-28 | 24 |
| 8. ვაალვაიკი | 17 | 5 | 6 | 6 | 24-22 | 21 |
| 9. დენ ჰააგი | 17 | 4 | 8 | 5 | 28-29 | 20 |
| 10. გრონინგენი | 17 | 5 | 5 | 7 | 17-26 | 20 |
| 11. ჰერაკლესი | 17 | 4 | 7 | 6 | 34-34 | 19 |
| 12. ალკმაარი | 17 | 4 | 6 | 7 | 23-29 | 18 |
| 13. ჰერენვენი | 17 | 3 | 6 | 8 | 25-37 | 15 |
| 14. ვენლო | 17 | 3 | 6 | 8 | 20-34 | 15 |
| 15. ზვოლე | 17 | 3 | 5 | 9 | 16-28 | 14 |
| 16. ბრედა | 17 | 3 | 5 | 9 | 14-31 | 14 |
| 17. როდა | 17 | 2 | 6 | 9 | 18-35 | 12 |
| 18. ვილემ II | 17 | 2 | 5 | 10 | 16-38 | 11 |

**ბომბარდირები:** 16 – ბონი (ვიტესი); 13 – ფინბოგასონი (ჰერენვენი); 12- პელე (ფეიენოორდი); 11 – ალტიდორი (ალკმაარი); 10 – იმერსი (ფეიენოორდი).

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

ელვა.ჯი
პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო
www.elva.ge

ჩვენ გჩუქნით წიგნებს!
ეს წიგნები მაღაზიებში 35 ლარამდე ღირს
იჩქარეთ, მხოლოდ 31 დეკემბრამდე!

გამოიწერეთ 1 წლით გაზეთი „ლელო" და „პალიტრა მედიის" კიდევ ერთი გამოცემა და აირჩიეთ საჩუქრად გამომცემლობა „პალიტრა L"-ის წიგნი ბესტსელერები:
„მოგზაურობათა დიდი ილუსტრირებული ატლასი"
„დავით აღმაშენებელი" - კონსტანტინე გამსახურდია (2 წიგნად)
„ვეფხისტყაოსანი" (3 D)




| მედია "პალიტრის" გამოცემები | 1 ეგზ. ფასი | ერთეულის რაოდენობა 1 წლის მანძილზე | 1 წლის ფასი |
|---|---|---|---|
| კვირის პალიტრა | 1 | 52 | 52 |
| არსენალი | 2 | 26 | 52 |
| ბომონდი | 5 | 12 | 60 |
| გზა | 1 | 52 | 52 |
| და... ქალი | 2 | 12 | 24 |
| ისტორიანი | 2 | 12 | 24 |
| კარიბჭე | 1 | 26 | 26 |
| კარუსელი | 0.80 | 52 | 41.60 |
| ლელო | 0.80 | 312 | 249.60 |
| ლიტ. პალიტრა | 2 | 12 | 24 |
| ოჯახის მკურნალი | 1 | 26 | 26 |
| რეიტინგი | 1.50 | 52 | 78 |
| საბავშვო კარუსელი | 1 | 52 | 52 |
| სიტყვა და საქმე | 1 | 260 | 260 |
| სიტყვა და საქმე (კატალოგი) | 2 | 52 | 104 |
| ყველა სიახლე | 1 | 52 | 52 |
| Georgian Journal | 2 | 52 | 104 |

დაგვიკავშირდით. პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო ელვა.ჯი ტელ.: 238 26 73; 238 26 74; 238 26 76 www.elva.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა




# უცხოური ფეხბურთი

გერმანია. ბუნდესლიგა. XVI ტური

# მხოლოდ 42 ქულა

## ბაიერნი რეკორდს ასცდა, სტეევენსი შალკედან გააგდეს



მარკო როისისა და კევინ გროსკროიტცის დორტმუნდმა ჰოფენჰაიმთან 3:1 მოიგო და პირველი წრე მესამე ადგილზე დაასრულა

გნებავთ დორტმუნდისა და იყოს, გნებავთ მიონხენგლადბახის - „ბაიერნს" „ბორუსიას" დამარცხება საუკეთესო ფორმაში მყოფსაც არ შეუძლია! წინა სეზონში „გლადბახმა" რეკორდმაისტერს ორივე თამაში მოუგო, ახლა კი „ალიანს არენაზე" 1:1 დააფიქსირა და იდეალურ ფორმაში მყოფი მიუნხენური გრანდი მორიგი რეკორდის გარეშე დატოვა - „ბაიერნმა" პირველი წრე 42 ქულით დაასრულა და შეგახსენებთ, რომ ბავარიელებმა შვიდი წლის წინ, **ფელიქს მაგათის** ხელმძღვანელობით, სეზონის პირველ ნახევარში 44 ქულა დააგროვეს.

ეს ყველაფერი კი პენალტით გატანილმა გოლმა გამოიწვია: 21-ე წუთზე **ჩიგერჩის** ჩანოდებულს **ბოატენგმა** ხელი დაახვედრა, თერთმეტმეტრიანი კი **მარქსმა** გარდასახა და სხვათა შორის, ეს მიონხენგლადბახელთა პირველი და უკანასკნელი ზუსტი დარტყმა გახლდათ პირველ ტაიმში. ამ გოლით „ბაიერნს" გზა კიდევ ერთი რეკორდისკენ გადაელობა: რეკორდმაისტერმა პირველ წრეში სულ 7 გოლი გაუშვა, რითაც მხოლოდ გაიმეორა „შტუტგარტის" მიერ 2003/04 წლების სეზონში დამყარებული რეკორდი. არადა, **მანუელ ნოიერს** კარი მშრალად რომ შეენახა, ბავარიელები ამ კრიტერიუმშიც ყველა დროის საუკეთესონი იქნებოდნენ. თუმცა, მერე რა, რომ რეკორდები არ დამყარდა - რაც მთავარია, „ბაიერნმა" ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი პირველი წრე ჩაატარა და საფეხბურთო გერმანიაში ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ მიუნხენელები „ვერცხლის სინს" დაიბრუნებენ.

რაც შეეხება „გლადბახს": **ლუსიენ ფავრის** გუნდიდან მხოლოდ მეკარე **მარკ-ანდრე ტერ შტეგენი** უნდა გამოვყოთ - 20 წლის უნიჭიერესმა მეკარემ ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა და თუ ასე გააგრძელებს, გერმანიის ნაკრების თავკაცი **იოახიმ ლიოვი** ვალდებული იქნება, ბუნდესგუნდში დააბრუნოს. ტერ შტეგენმა არაერთხელ იხსნა თავისიანები. *„ამ ბიჭმა კიდევ ერთი შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა, მიონხენგლადბახელები მიუნხენიდან ქულის ნაღებას სწორედ მას უნდა უმადლოდენ,"* - თქვა მატჩის შემდეგ „ბაიერნის" თავკაცმა **იუპ ჰაინკესმა**.

### ლევერკუზენმა ჩამორჩენა შეამცირა

მეორეადგილოსანმა „ლევერკუზენმა" „ჰამბურგი" 3:0 გაანადგურა და პირველი წრე „ბაიერნთან" 9-ქულიანი ჩამორჩენით დაასრულა - ესეც საქმეა. ექს-ლევერკუზენელ **რენე ადლერს**, რომელიც ახლა HSV-ს ღირსებას იცავს, ყოფილმა თანაგუნდელმა და უახლოესმა მეგობარმა **შტეფან კისლინგმა** ორი გოლი გაუტანა და ეს უკანასკნელი ბუნდესლიგის პირველი წრის საუკეთესო ბომბარდირი გახდა: შტეფანის ანგარიშზე 12 გოლია. მატჩის მიწურულს ლევერკუზენელი ფანები კარგ ხასიათზე იყვნენ, უდარდელად მღეროდნენ თავიანთ საყვარელ სიმღერას, რომლის ტექსტი მხოლოდ ორი სიტყვისგან შედგება ასე ჟღერს: „გერმანიის ვიცე-ჩემპიონი".

თავად ადლერმა კარგად ითამაშა და თანაგუნდელები უფრო დიდი ანგარიშით მარცხისგან იხსნა, ორჯერ კი „ჰამბურგი" ძელმა გადაარჩინა - მიზანმა ორივე შემთხვევაში **ანდრე შიურლეს** უმტყუნა. ჰამბურგელებმა კი „ბაიერის" კართან ხეირიანი იერიში მხოლოდ ერთხელ მიიტანეს: **რუდნევსმა** თავით **ლენოს** კარის ძელი „მოიკითხა".

აქვე ვთქვათ, რომ ამ მატჩში „ბაიარენას" პუბლიკა ბრაზილიელ შემტევ ნახევარმცველ **რენატო აუგუსტოს** გამოეთხოვა - ეს უკანასკნელი სამშობლოში ბრუნდება. საღამოს კი, ადლერმა თავის მეგობარ გოგონა ლილისთან ერთად ძველი მეგობრები, მათ შორის კისლინგიც, ვახშამზე დაპატიჟა.

### ფრაიბურგმა სტეევენსი შეიწირა

შაბათის ნომერში ვწერდით, რომ დიდი შანსი იყო, „ფრაიბურგთან" წარუმატებლობის შემთხვევაში „შალკეს" ბოსებს მწვრთნელი **ჰუუბ სტეევენსი** გაეგდოთ. ამის ვარაუდი ძნელი არ იყო, რადგან გელზენკირხენელებს კრიზისი აქვთ (6-მატჩიანი მოუგებელი სერია 2 ფრით და 4 მარცხით), ხელმძღვანელები კი ჰოლანდიელ მწვრთნელს ალმაცერად უყურებდნენ. „შალკე" საკუთარ მოედანზე „ფრაისთან" 1:3 დამარცხდა და მატჩის შემდეგ 59 წლის სტეევენსი უმუშევარი დარჩა!

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე სტეევენსმა ამაყად თქვა, არა მგონია, რომ გამათავისუფლონ, თვითონ კი არ გადავდგები, რადგან სადავეები ხელიდან ნამდვილად არ გამქცევიაო, მაგრამ ბოსები იმ მომენტში საპირისპიროს ფიქრობდნენ და ჰოლანდიელი დაითხოვეს. „შალკეს" დროებით 17-წლამდელთა გუნდის მწვრთნელი **იენს კელერი** მიხედავს - სამშაბათს, გერმანიის თასის მატჩში (მაინცთან) „შალკეს" სწორედ ეს უკანასკნელი უხელმძღვანელებს. შეგახსენებთ, რომ სტეევენსი მესამე მწვრთნელია, რომელიც ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში დაითხოვეს. მანამდე ასეთივე ბედი **ფელიქს მაგათს** (ვოლფსბურგი) და **მარკუს ბაბელს** (ჰოფენჰაიმი) ეწიათ.

### ვოლფსბურგს აუნაზღაურეს

დორტმუნდში უსამართლო გამარჯვება „ვოლფსბურგს" „აინტრახტთან" საშინაო მატჩში „აუნაზღაურეს" - ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობს „მგლების" სპორტული დირექტორი **კლაუს ალოფსი**, რომელსაც მიაჩნია, რომ მსაჯმა **ჟოსუე** მოედნიდან უსამართლოდ გააძევა. ბრაზილიელის გაგდების შემდეგ ვოლფსბურგელებს თამაშის გადარჩენის შანსი აღარ ჰქონდათ. შეგახსენებთ, რომ წინა ტურში „მგლებმა" დორტმუნდში მოულოდნელად 3:2 მოიგეს და იმ შეხვედრაში მსაჯმა ვოლფგანგ შტარკმა „ბორუსიას" **მარსელ შმელცერი** გაუძევა უსამართლოდ.

*„მთელი კვირის მანძილზე არ წყდებოდა საუბრები იმის შესახებ, რომ მსაჯებმა დორტმუნდში 3 ქულა გვაჩუქეს და როგორც ჩანს, დღეს ამიტომაც დავიჩაგრეთ. ჟოსუე გაძევებას არ იმსახურებდა,"* - თითქმის ყვიროდა ალოფსი მატჩის შემდეგ. „აინტრახტმა" კი ამ მოგებით პირველი წრე მეოთხე ადგილზე დაასრულა, რაც სენსაციაა.

### სხვა მატჩები

ზედიზედ სამი გამარჯვების შემდეგ „შტუტგარტი" მაინცში 1:3 დამარცხდა. პირველ ტაიმში უინტერესო თამაში ვნახეთ - მხოლოდ ერთი მომენტით, რომელიც **იბიშევიჩს** შეექმნა და **ჰაინც მიულერმა** აუღო. მეორე ტაიმში კი გახსნილი ფეხბურთი გაჩაღდა - თავიდან შვაბები დაწინაურდნენ, მაგრამ **თომას ტუხელის** ბიჭებმა სამი გოლით უპასუხეს და **ბრუნო ლაბადიას** გუნდი შინ უქულოდ გააბრუნეს.

შაბათსვე, დიუსელდორფის „ფორტუნამ" ბევრისთვის მოულოდნელად „ჰანოვერის" დამარცხება შეძლო, ხოლო აუტსაიდერთა ჯახი „ფიურტსა" და „აუგსბურგს" შორის ფრედ 1:1 დასრულდა, რაც არც ერთს აწყობდა და არც მეორეს.

გუშინ, დორტმუნდის „ბორუსიამ" „ჰოფენჰაიმთან" გასვლითი მატჩი 3:1 მოიგო, რითაც იურგენ კლოპის გუნდმა პირველი წრე მესამე ადგილზე დაასრულა, „ვერდერმა" კი ბრემენში „ნიურნბერგს" ვერ მოუგო - 1:1.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

#### მომდევნო ტური

**18 იანვარი.** შალკე-ჰანოვერი.
**19 იანვარი.** ბაიერნი-ფიურტი, ლევერკუზენი-აინტრახტი, ვოლფსბურგი-შტუტგარტი, ჰოფენჰაიმი-ბორუსია (მ), მაინცი-ფრაიბურგი, ვერდერი-ბორუსია (დ).
**20 იანვარი.** ნიურნბერგი-ჰამბურგი, ფორტუნა-აუგსბურგი.



ჰუუბ სტეევენსი შალკედან გაათავისუფლეს

### თურქეთი

#### სუპერლიგა. XVI ტური

**ესქიშეჰირი-ბურსა 2:2**
გოლები: 0:1 ბელუში (22), 0:2 ქირაზი (46), 1:2 ათესი (49), 2:2 ზენგინი (55)

**მერშინი-ახიშარი 2:1**
გოლები: 1:0 ბარისი (11), 1:1 იოზერი (35), 2:1 ნობრე (45)

**გენჩლერბირლიგი-ბეშიქთაში 1:1**
გოლები: 1:0 კულუშიჩი (19), 1:1 შაპანი (35)

**ბუიუქშეჰირი-ტრაბზონი 2:1**
გოლები: 0:1 პაულო ენრიკე (38), 1:1 ესქიოლლუ (50), 2:1 ვებო (57)

**ძარაბიუქი-სივასი 1:0**
გოლი: 1:0 შელტონი (19)

**ორდუ-ანთალია 1:1**
გოლები: 0:1 ტიტა (51), 1:1 ჩინაზი (64)

**გალათასარაი-ფენერბაჰჩე 2:1**
გოლები: 1:0 ირტეგუნი (10 ს.კ.), 1:1 ალ კალდირიმი (23), 2:1 ინანი (36)
გაძევება: მეირელეში (82. ფენერბაჰჩე)

**ელაზიგი-გაზიანთეფი 0:0**

**ძაისერი-ძასიმფაშა დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გალათასარაი | 16 | 9 | 5 | 2 | 34-20 | 32 |
| 2. ბეშიქთაში | 16 | 7 | 6 | 3 | 35-24 | 27 |
| 3. ფენერბაჰჩე | 16 | 7 | 6 | 3 | 24-16 | 27 |
| 4. ანთალია | 15 | 8 | 3 | 4 | 26-20 | 27 |
| 5. ესქიშეჰირი | 16 | 6 | 6 | 4 | 31-21 | 24 |
| 6. ძასიმფაშა | 15 | 6 | 5 | 4 | 24-17 | 23 |
| 7. ბურსა | 16 | 5 | 8 | 3 | 26-20 | 23 |
| 8. ტრაბზონი | 16 | 6 | 5 | 5 | 19-15 | 23 |
| 9. ძარაბიუქი | 16 | 6 | 3 | 7 | 20-25 | 21 |
| 10. გენჩლერბირ. | 16 | 4 | 8 | 4 | 25-26 | 20 |
| 11. ორდუ | 16 | 4 | 7 | 5 | 19-19 | 19 |
| 12. სივასი | 16 | 5 | 4 | 7 | 18-23 | 19 |
| 13. ბუიუქშეჰირი | 16 | 5 | 3 | 8 | 17-20 | 18 |
| 14. გაზიანთეფი | 16 | 4 | 5 | 7 | 14-23 | 17 |
| 15. ძაისერი | 15 | 4 | 4 | 7 | 20-26 | 16 |
| 16. ელაზიგი | 16 | 3 | 7 | 6 | 10-24 | 16 |
| 17. მერშინი | 16 | 3 | 6 | 7 | 17-25 | 15 |
| შვანგირაძე | 16 | 3 | 1 | 0 | 0 | 0 | 4 |
| დვანიძე | 9 | 0 | 0 | 1 | 1 | 1 | 2 |
| ქადარია | 33 | 10 | 1 | 2 | 0 | 1 | 16 |
| ბეშქენაძე | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |

| თსუ | ნთ | მ | ა | მ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბაქრაძე | 28 | 2 | 5 | 3 | 1 | 0 | 22 |
| ასელაინი | 33 | 8 | 2 | 0 | 2 | 1 | 7 |
| ტეტელაშვილი | 13 | 0 | 2 | 1 | 2 | 0 | 6 |
| ხანიაშვილი | 30 | 4 | 3 | 2 | 1 | 0 | 20 |
| კობიძე | 9 | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 |
| ბერუაშვილი | 31 | 7 | 2 | 0 | 2 | 0 | 7 |
| ჩქარეული | 19 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 12 |
| ხოზანიშვილი | 10 | 0 | 2 | 1 | 0 | 0 | 2 |
| ნოზაძე | 22 | 7 | 2 | 1 | 0 | 1 | 12 |

**მსაჯები:** *ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი, გურამ მიქელაძე*

● ტანვარჯიში



მარცხნიდან - კოტე ლაშხი, არჩილ კონცელიძე, ლევან ყიფიანი, ირაკლი დოლაბერიძე, თამაზ თევზაძე ტანვარჯიშის დარბაზში

# დაეხმარნენ...

ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის დარბაზს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ლევან ყიფიანი** სტუმართა თანხლებით ეწვია და მასპინძლებს საჩუქრად სპონსორის მიერ შეძენილი ძვირადღირებული ტანვარჯიშული ფიცარნაგი გადასცა.

„ტანვარჯიშის ფედერაციას, რომელიც ოთხ სახეობას აერთიანებს, თბილისში მხოლოდ ერთი დარბაზი შემორჩა. სივიწროვის მიუხედავად, მწვრთნელები და სპორტსმენები ყველაფერს აკეთებენ საერთაშორისო სარბიელზე წარმატების მისაღწევად. დიდი მადლობა ფედერაციის წინა და ახლანდელ ხელმძღვანელობას ტრადიციების ერთგულებისთვის. ახალი ფიცარნაგი მომავალი წარმატებებისთვის სტიმული იქნება. მით უმეტეს, რომ 2015 წლის ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალზე, რომელსაც თბილისი უმასპინძლებს, ტანვარჯიშს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა. იმ შეჯიბრებისთვის საერთაშორისო სტანდარტების დარბაზი აშენდება, სადაც სპორტსმენებს ვარჯიშის იდეალური პირობები ექნებათ და ნებისმიერი დონის ტურნირი გაიმართება", - გვითხრა ლევან ყიფიანმა.

**კოტე ლაშხი**, ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი: „თანამედროვე ფიცარნაგის უქონლობა ჩვენს სპორტსმენებს ხელს უშლიდა საერთაშორისო ტურნირებისთვის მოსამზადებლად. ახლა ეს პრობლემა მოიხსნა, რაც ქართველი ტანმოვარჯიშეების შედეგებზე დადებით გავლენას მოახდენს".

„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ქართული სპორტის მხარდაჭერა. აქამდე ავტოსპორტსა და ჩოგბურთს ვეხმარებოდით, ახლა ტანვარჯიშსაც დავუდგებით გვერდით. ამ ფედერაციისთვის ფიცარნაგის შეძენა ერთჯერადი აქცია არ იქნება. წინ ოლიმპიური ფესტივალი გველის. მისთვის ტანმოვარჯიშეთა მოსამზადებლად საკუთარ წვლილს შევიტანთ", - აღნიშნა სპონსორი ორგანიზაციის ხელმძღვანელმა **არჩილ კონცელიძემ**.

ვაჟა დანელია
*ავტორის ფოტო*

● კალათბურთი. ქართველები NBA-ში

# დაბლებით უორიორსზე დაბლა

თბილისში შაბათი დილა რომ თენდებოდა, **თორნიკე შენგელიას** „ბრუკლინ ნეთსმა" „დეტროიტ პისტონსს" უმასპინძლა და ოროვერტაიმიან მატჩში 107:105 გაიმარჯვა. ძირითადი და დამატებითი დროის უკანასკნელ წამებზე ბოლო ქულებს ბრუკლინელები აგროვებდნენ: ჯერ **უოლასმა** ჩააგდო ორი ქულა და მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანა; შემდეგ, პირველი ხუთწუთეულის დასრულებას 18 წამი რომ უკლდა **ჯონსონმა** კვლავ გაათანაბრა - 100:100; მეორე ოვერტაიმის ფინალამდე წამილა რჩებოდა, როცა იმავე ჯო ჯონსონმა სამქულიანის ტყორცნა გარისკა და როგორც ხშირად ხდება, მისმა სროლამ მიზანს მიაღწია - 107:105. ჯოს პირველმა თორნიკე შენგელიამ მიულოცა, რომელიც სამოქალაქო ფორმაში იყო გამოწყობილი.

21 წლის ქართველ თავდამსხმელს არც მომდევნო დღეს უთამაშია. მისმა თანაგუნდელებმა ასევე დაძაბულ ბრძოლაში, „ჩიკაგოსთან" ბოლო წამებზე წააგეს - 82:83.

■ ■ ■

წარუმატებელი გამოდგა „გოლდენ სტეიტ უორიორსთან" საშინაო მატჩი „ატლანტა ჰოქსისთვის". ჯორჯიელებმა შინ 93:115 დათმეს.

**ზაზა ფაჩულია** მატჩში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო, სამწუთიან მონაკვეთში ორი საჯარიმო ჩააგდო, თითო მოხსნა-პასი მოაგროვა, ერთხელ შეტევაში დაჯარიმდა. ფოლის მიღებისთანავე მწვრთნელმა **ლარი დრიუმ** ზაზა სათადარიგოთა სკამზე დააბრუნა და მოედანზე აღარ გამოუყვანია. გუნდის თავკაცმა „გოლდენ სტეიტის" მობილურ თამაშს შედარებით ტანდაბალი ხუთეული დაუპირისპირა, მაგრამ ვერც ამან უშველა...

*- მეტოქის მისამართით კომპლიმენტი უნდა ვთქვა - საბრძოლო ფორმაშია, ძალიან კარგად ითამაშა. ჩვენ პირიქით, სეზონის ერთ-ერთი უსუსტესი მატჩი ჩავატარეთ, - აღნიშნა ნამატჩევს ზაზა ფაჩულიამ.*

ვაჟა სიმონიშვილი



ეს წამია ჯონსონმა გამარჯვების სამქულიანი ჩააგდო

● კალათბურთი. სატრანსფერო ვარაუდი

# სლოვენიისკენ?

საქართველოს ნაკრების ცენტრი, **გიორგი შერმადინი** შესაძლოა სლოვენიის „ოლიმპიას" დაუბრუნდეს. იგი ამ გუნდში 2010-11 წლების სეზონში თამაშობდა და ევროლიგაზე „მაქაბის" წინააღმდეგაც ორი კარგი მატჩი ჩაატარა.

მას მერე გიორგიმ იტალიურ „კანტუში" ითამაშა და 2012-13 წლების სეზონის წინ თელ-ავივის „მაქაბიმ" აიყვანა, თუმცა მწვრთნელი, **დევიდ ბლატი** ბოლო მატჩებში არ ენდობა და შერმადინის გაცვლაზეც დაფიქრდა.

ბოლო ინფორმაციით თელავიველებმა ლიუბლიანის „ოლიმპიას" უკვე მიმართეს - **არონ ბაიენსი** გიორგი შერმადინში გავცვალოთო. თუმცა იმასაც წერენ, სლოვენიელები ყაბულს არ არიანო. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას.

ჩვენი მხრივ კი შეგახსენებთ, რომ „ოლიმპია" ევროლიგაზე **მანუჩარ მარკოიშვილის** „კანტუს" ჯგუფში იყო და იტალიელებს ორივე მატჩი მოუგო. არადა, მანუს თანაგუნდელებს მომდევნო ეტაპამდე ერთი გამარჯვება დააკლდათ. ჯგუფში სწორედ „კანტუ" და „ოლიმპია" ჩარჩნენ.

ვაჟა სიმონიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

ძიუდოობა. არჩევნები


ლუკა კურტანიძე

# მოჭიდავეებს კურტანიძე გაწევრთნის

### მწვავე, ხანგრძლივი და რაინდული ყრილობა

**ჭიდაობის** ფედერაციის არჩევნებმა ხანგრძლივობის ყველა რეკორდი მოხსნა - ლამის 5 საათი გაგრძელდა. სამაგიეროდ, დაძაბულობის მიუხედავად, ფრიად მშვიდ ვითარებაში ჩატარდა. ბუნებრივია, კამათიც იყო, მწვავე გამოსვლებიც, დავაც და აზრთა სხვადასხვაობაც, მაგრამ - მხოლოდ საქმიანი და ეს ყველაფერი ერთხელაც არ გასცდენია დასაშვებ ფარგლებს. ამდენ ხანს გაგრძელებულ ყრილობაზე ერთი საჩხუბარი ეპიზოდი, ერთი შელაპარაკება და მით უფრო - გაწევ-გამოწევა არ ყოფილა. თვით ყველაზე მწვავე გამოსვლებშიც იგრძნობოდა პატივისცემა.

მოჭიდავეებმა მართლაც ჯენტლმენობის მაგალითი მისცეს სხვებს. ყველა გამომსვლელი - პრეზიდენტობის კანდიდატი იქნებოდა, ვიცე-პრეზიდენტობის თუ გენმდივნობის, თავის სიტყვაში ხაზგასმით ამბობდა, რომ არჩევნების შედეგების მიუხედავად, საერთო ოჯახის წევრებად, მეგობრებად დარჩებოდნენ და საერთო საქმის სამსახურს გააგრძელებდნენ. საყურადღებოა, რომ ყრილობამ არც ყოფილი პრეზიდენტი **კახა გეწაძე** დაივიწყა და მასაც საკადრისი პატივი მიაგო გაკეთებულისთვის, თუმცა გაუკეთებელისთვისაც ბევრი კრიტიკა დაატეხა თავს.

ან უკვე ექსპრეზიდენტს ძიუდოს მიერ წართმეული დარბაზების გამო ერგო კრიტიკა. ყველაზე მწვავე თემად იქცა „ცხელი წერტილები" - დილმის დღევანდელი ძიუდოს აკადემია, რომელსაც **ლევან თედიაშვილის** სახელი გადაარქვეს, ეგრეთ წოდებული „პეტრეს დარბაზი" ყოფილ ორჯონიკიძის ქუჩაზე. ეს იმდენად მტკივნეული საკითხი აღმოჩნდა, რომ გეწაძეს ლამის ყველა გაკეთებული საქმე წყალში ჩაუყარეს. მან კი არაერთხელ გაიმეორა, რომ ეს ბაზები დედაქალაქის მერიას ეკუთვნოდა და ძიუდოს ფედერაციის მაშინდელმა ხელმძღვანელობამაც მათთან შეთანხმებით გადაიბარა ის დარბაზები. ამასთან აღნიშნა, რომ ძიუდოისტებთან დაპირისპირებას მოერიდნენ, თუმცა კონკრეტული გვარ-სახელები დელეგატებმა ვერ დაასახელებინეს.

გამორჩეული საკითხი არჩევნები იყო: ჭიდაობის ფედერაციის ახალი პრეზიდენტი მსოფლიოს ორგზის და ევროპის ხუთგზის ჩემპიონი, ორგზის ოლიმპიური პრიზიორი **ლუკა კურტანიძე** გახდა. მას 103 დელეგატიდან მხარი 58-მა დაუჭირა, ხოლო **გეგა გეგეშიძეს** - 45-მა. ფედერაციის გენერალური მდივანი **გიორგი ლომიძე** გახდა, რომელმაც ერთი ხმით მოუგო მოქმედ გენმდივან **მალხაზ ჯორბენაძეს** - 48:47. ვიცე-პრეზიდენტთა არჩევნებში ხმების უმრავლესობა **თემურ ყაზარაშვილმა, დიმიტრი გელაშვილმა** და **ედიშერ მაჩაიძემ** მიიღეს. კურტანიძეს, ერთი ვიცე-პრეზიდენტის აღმასკომისთვის დასამტკიცებლად, მოგვიანებით წარდგენა შეეძლო, თუმცა მან ყრილობას კიდევ ერთი ვიცე-პრეზიდენტის პოსტის დამატება სთხოვა, რაზეც თანხმობა მიიღო. კურტანიძემ ორიდან ერთის ვინაობა გუშინვე გააცხადა - წლების განმავლობაში თბილისის სპორტის (და არა მხოლოდ) სამსახურის ხელმძღვანელი **ვლადიმერ კანკავა**, მეორეს კი მოგვიანებით შეარჩევს. ბარემ აქვე გეტყვით, რომ ლომიძეც და გელაშვილიც მისი კანდიდატურები იყვნენ.

„ადრინდელი ხიდჩატეხილობა აუცილებლად უნდა აღვადგინოთ და თანაც არა დაპირისპირებით, არა კამათით, არამედ - ერთად დგომით. ჩვენ მოვდივართ არა ვინმესთან დაპირისპირების მიზნით, როგორც ეს აზრი მუსირებს, არამედ ჭიდაობის ოჯახის გასაერთიანებლად" - განაცხადა თავის გამოსვლაში კურტანიძემ და მერე გეწაძესაც მიმართა: „შედეგები რაოდენობრივადაც და ხარისხობრივადაც უკეთესი იქნებოდა, რომ არა ის ზეწოლა, რომლითაც ჩვენს მწვრთნელებსაც და თქვენც გაიძულებდნენ უკვე აპრობირებული, მეცნიერულ-პრაქტიკულად დადასტურებული ბაზების ნაცვლად შეკრებები სხვაგან ჩაეტარებინათ. 2003 წელს ასჯერ ნაკლები დაფინანსება გვქონდა, მაგრამ ორივე ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონები გავხდით, რაც უპრეცედენტოა ქართული ჭიდაობის ისტორიაში. ადრე ბევრად მწირი დაფინანსებით იმიტომ ვაღწევდით წარმატებებს, რომ აპრობირებულ ბაზებს ვიყენებდით მოსამზადებლად „შეცდომა უნდა დავინახოთ და არ უნდა გავიმეოროთ". კურტანიძის წინასაარჩევნო დაპირებები ძირითადად ასე ჟღერდა: სახელმწიფოს დახმარებით დავიბრუნებთ დაკარგულ დარბაზებს; დიდი ჩემპიონები და მათი აღმზრდელი მწვრთნელები აქტიურად იქნებიან ჩართულნი ჭიდაობის განვითარების გრძელვადიან პროგრამაში, ხოლო ამის უკეთ კოორდინაციის მიზნით შეიქმნება „ჩემპიონთა კლუბი"; ჩატარდება სპორტსმენთა და მწვრთნელთა ზუსტი აღრიცხვა, რაც მათი რანგირების საშუალებას მოგვცემს; შეიქმნება ისეთი პირობები, რაც გაზრდის კონკურენციას მწვრთნელთა შორის; დღის წესრიგში დადგება მოქმედი თუ ვეტერანი სპორტსმენების, მწვრთნელების დაფასება; მუშაობის გაშლა რეგიონებში და ამ მიზნით რეგიონული ფედერაციების ჩამოყალიბება... სწორედ ამ ბოლო პუნქტს გაუწევს კოორდინირებას ის მეხუთე ვიცე-პრეზიდენტი. კურტანიძისავე ინიციატივით, შეიქმნა მრჩეველთა საბჭო, რომელსაც სათავეში სახელოვანი **რომან რურუა** ჩაუდგა.

კენჭისყრის შემდეგ კურტანიძემ მადლობა გადაუხადა მთელ საზოგადოებას გამოცხადებული ნდობისთვის და დაგვპირდა, რომ ყველაფერს გააკეთებს ევროპის ჩემპიონატის ღირსეულად მასპინძლობისთვის, რომელიც გაისად მარტში თბილისში ჩატარდება.

ყრილობის დასრულების შემდეგ კომენტარი **გეგა გეგეშიძესაც** ვთხოვეთ, რომელმაც შემდეგი განაცხადა: „არჩევნების შედეგი მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან კურტანიძის სახით ღირსეული კონკურენტი მყავდა. ვულოცავ მას და მჯერა, ღირსეულად გაუძღვება ფედერაციას. თანამშრომლობას თუ შემომთავაზებს, უარს ნამდვილად არ ვეტყვი. ჩემთვის თვითმიზანი არ იყო, მაინცდამაინც პრეზიდენტი ვყოფილიყავი. მთავარი ისაა, რომ ერთი გუნდი ვართ, აზრი, შეხედულება კი ყველას თავისი გააჩნია, რასაც პატივს ვცემ. ახლა მთავარია, ევროპის ჩემპიონატზე გამოვიდეთ კარგად, როგორც ეს ჩვენს სკოლას ეკადრება".

აღსანიშნავია, რომ კურტანიძე და გეგეშიძე სპორტსმენობისას ერთ წონაში - 96-ში გამოდიოდნენ და მათი მეგობრობა დღემდე გრძელდება. ყრილობის დასრულების შემდეგ კურტანიძე კიდევ ერთ უშუალო კონკურენტს - ხალიჩაზე და ეროვნულ ნაკრებში, **გიორგი გოგშელიძეს** მიეფერა გულთბილად.

**ირაკლი თავაძე**

რაგბი. ლეგიონერები

# დაუმარცხებელი სამიდა დარჩა

**ევროთასების** გათამაშებაში ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან ოთხი ტურის შემდეგ სამი: „ტულონი", „კლერმონი" და „სტად ფრანსე" დაუმარცხებლად ასპარეზობენ და თავიანთ ჯგუფებში ლიდერობენ. ყველაზე პრესტიჟულ „ჰაინეკენის თასის" გათამაშებაში „მონპელიე", „კასტრი" და „ტულუზი" მოწინავეთა შორის არიან და პლეი ოფში გასვლისთვის იბრძვიან.

ჰაინეკენის თასის გათამაშების A ჯგუფში საქართველოს ნაკრების მესამეხაზელის **დიმიტრი ბასილაიას** „ედინბურგმა" ჯგუფში ზედიზედ მეოთხედ წააგო. ჩვენებურის გუნდი ამჯერად შინ ვერას გახდა ფრანგულ „მეტრო რასინგთან" - 3:15. ბასილაია სათადარიგოთა შორის იყო, თუმცა მოედანზე არ გამოჩენილა.

პირველი მარცხი იწვნია და ლიდერობა დაკარგა B ჯგუფში მოასპარეზე **ვასილ კაკოვინისა** და **ჯაბა ბრეგვაძის** „ტულუზმა". ფრანგული რაგბის გრანდმა სტუმრად წააგო უელსურ „ოსფრიზთან" - 6:17. ტულუზელებმა მასპინძლებს მეტ-ნაკლები წინააღმდეგობა მატჩის პირველ ნახევარში გაუწიეს და მხოლოდ სამი ქულის სხვაობით დამარცხდნენ - 6:9. შესვენების შემდეგ ჩვენებურის გუნდმა მონაგარს ველარაფერი შემატა.

კაკოვინი ძირითად შემადგენლობაში იყო და 49-ე წუთზე შეცვალეს, ბრეგვაძეს არ უთამაშია.

ამავე ჯგუფში ინგლისურმა „ლესტერმა" სტუმრად მინიმალური სხვაობით დაამარცხა იტალიური „ბენეტონი" - 14:13 და ჯგუფში გალიდერდა.

D ჯგუფში ისევ მოიგო **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრმა", რომელიც შინ ეთამაშებოდა ჯგუფის აუტსაიდერს, შოტლანდიურ „გლაზგოს". კასტრელები მატჩის მიწურულამდე 3:8 აგებდნენ და ბოლოსღა მოახერხეს გამარჯვების ლელოს გატანა. ფეიქრიშვილი განაცხადში არ იყო. „კასტრს" ახლა 12 ქულა აქვს და მეორე ადგილზეა.

ჩვენებურის გუნდს სამი ქულით უსწრებს ირლანდიური „ალსტერი", რომელმაც პირველი მარცხი იგემა შინ წლევანდელ გათამაშებაში ინგლისურ „ნორსჰემპთონთან" - 9:10.

შესანიშნავად ასპარეზობს E ჯგუფში **დავით ზირაქაშვილისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონი", რომელმაც ზედიზედ ოთხი გამარჯვება მოიპოვა. „ვულკანებმა" ამჯერად სტუმრად მოუგეს ევროპული რაგბის ერთ-ერთ გრანდს, ირლანდიურ „ლენსტერს" - 28:21. თამაში მთლიანად სტუმრების კარნახით წარიმართა და მეტოქეს შანსი არ დაუტოვა.

ზირაქაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 69-ე წუთზე შეცვალეს, კოლელიშვილი დისკვალიფიცირებულია. ამავე ჯგუფში ინგლისურმა „ექსეტერმა" შინ დაამარცხა „ჰლანეჰლი" - 30:20.

ზედიზედ მეოთხე თამაში მოიგო F ჯგუფის ლიდერმა **დავით ქუბრიაშვილის, ლევან ჩილაჩავასა** და **კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონმა". ჩვენებურთა გუნდს თავიდან მართალია, გაუჭირდა, მერე მაინც შეძლო ინგლისური „სეილ შარქსის" წინააღმდეგობის გატეხვა - 62:0

ქუბრიაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო (50-ე წუთზე ლელო გაიტანა) და მეორე ტაიმში შეცვალეს, ჩილაჩავას და მიქაუტაძეს არ უთამაშიათ.

„ტულონს" კვალში უდგას **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიე", რომელმაც შინ მოუგო უელსურ „კარდიფს" - 34:21. გორგოძეს დისკვალიფიკაცია აქვს, ჟღენტი ტრავმირებულია, ნარიაშვილი განაცხადში არ იყო.

### ჰაინეკენის თასი

**A ჯგუფი**

სარასენზი-მანსტერი 21:13, ედინბურგი-მეტრო რასინგი 3:15,

**სატურნირო მდგომარეობა**

1. სარასენზი - 14 ქულა, 2. მეტრო რასინგი - 12, 3. მანსტერი - 10, 4. ედინბურგი - 0.

**V ტური**

ედინბურგი-მანსტერი, მეტრო რასინგი-სარასენზი

**B ჯგუფი**

ოსფრიზი-ტულუზი 17:6, ბენეტონი-ლესტერი 13:14

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ლესტერი - 14 ქულა, 2. ტულუზი - 13, 3. ოსფრიზი - 9, 4. ბენეტონი - 1.

**V ტური**

ტულუზი-ბენეტონი, ოსფრიზი-ლესტერი

**C ჯგუფი**

ბიარიცი-ქონოთი 17:0, ჰარლიქვინზი-ზებრე 53:5

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ჰარლიქვინზი - 19 ქულა, 2. ბიარცი - 9, 3 ქონოთი - 8, 4. ზებრე - 0.

**V ტური**

ზებრე-ბიარიცი, ჰარლიქვინზი-ქონოთი

**D ჯგუფი**

ალსტერი-ნორსჰემპთონი 9:10, კასტრი-გლაზგო 10:8

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ალსტერი - 15 ქულა, 2. კასტრი - 12, 3. ნორსჰემპთონი - 10, 4. გლაზგო - 2.

**V ტური**

ნორსჰემპთონი-კასტრი, ალსტერი-გლაზგო

**E ჯგუფი**

ლენსტერი- კლერმონი 21:28, ექსეტერი-ჰლანეჰლი 30:20

**სატურნირო მდგომარეობა**

1. კლერმონი - 18 ქულა, 2. ლენსტერი - 10, 3. ექსეტერი - 9, 4. ჰლანეჰლი - 2.

**V ტური**

ლენსტერი-ჰლანეჰლი, კლერმონი-ექსეტერი

**F ჯგუფი**

მონპელიე-კარდიფი 34:21, ტულონი-სეილ შარქსი 62:0

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ტულონი - 18 ქულა, 2. მონპელიე - 13, 3. სეილ შარქსი - 4, 4. კარდიფი - 1.

**V ტური**

ტულონი-კარდიფი, სეილ შარქსი-მონპელიე

„ემლინ ჩელენჯ კაპის" გათამაშების მეოთხე ტური E ჯგუფის ლიდერის **ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსეს" მატჩით გაიხსნა. პარიზელებმა იტალიურ „პრატოს" უმასპინძლეს და 29:6 დაამარცხეს. ჟვანიამ ძირითად შემადგენლობაში ითამაშა და 53-ე წუთზე შეცვალეს. „სტად ფრანსემ" ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგო და ახლა 19 ქულა აქვს.

ამავე ჯგუფში მეორეადგილოსანმა, ფრანგულმა „გრენობლმა" სტუმრად მოუგო ინგლისურ „ლონდონ ველშს" - 27:13.

მეორე გამარჯვება მიითვალა A ჯგუფში მოასპარეზე **თამაზ მჭედლიძის** „მონ დე მარსანმა", რომელმაც შინ დაამარცხა ასევე ფრანგული „ბორდო" - 18:7. მჭედლიძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა. ჯგუფის ლიდერმა, ინგლისურმა „გლოსტერმა" კი შინ დაამარცხა თანამემამულე „ლონდონ აირიში" - 47:3.

### ემლინ ჩელენჯ კაპი

**A ჯგუფი**

მონ დე მარსანი-ბორდო 18:7, გლოსტერი-ლონდონ აირიში 47:3

**სატურნირო მდგომარეობა**

1. გლოსტერი - 18 ქულა, 2. ლონდონ აირიში - 11, 3. მონ დე მარსანი - 9, 4. ბორდო - 1.

**V ტური**

ბორდო-გლოსტერი, მონ დე მარსანი-ლონდონ აირიში

**B ჯგუფი**

როვიგო-გერნიკა 10:16, პერპინიანი-ვორსტერი 13:6

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ვორსტერი - 15 ქულა, 2. პერპინიანი - 15, 3. გერნიკა - 8, 4. როვიგო - 1

**V ტური**

გერნიკა-პერპინიანი, როვიგო-ვორსტერი

**C ჯგუფი**

ვოსფსი-ბაიონი 30:16, ნიუპორტი-მოლიანო 28:13

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ვოსფსი - 12 ქულა, 2. ბაიონი - 11, 3. ნიუპორტი - 10, 4. მოლიანო - 0.

**V ტური**

ვოსფსი-მოლიანო, ბაიონი-ნიუპორტი

**D ჯგუფი**

აჟენი-ბუქარესტი 39:9, კალვიზანო-ბასი 5:39

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ბასი - 20 ქულა, 2. აჟენი - 12, 3. ბუქარესტი - 9, 4. კალვიზანო - 2.

**V ტური**

ბასი-აჟენი, კალვიზანო-ბუქარესტი

**E ჯგუფი**

სტად ფრანსე-პრატო 29:6, ლონდონ ველში-გრენობლი 13:27

**სატურნირო მდგომარეობა**

1. სტად ფრანსე - 19 ქულა, 2. გრენობლი - 10, 3. ლონდონ ველში - 4, 4. პრატო - 2.

**V ტური**

გრენობლი-სტად ფრანსე, ლონდონ ველში-პრატო.

**ბესიკ ჯანგავაძე**


თამაზ მჭედლიძე (უკანა პლანზე)

## კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# რუბიო ცხრა პასით დაბრუნდა

გუშინ, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რეგულარულ ჩემპიონატში გამორჩეული შეხვედრა იყო „მინესოტასა" და „დალასს" შორის. გარდა იმისა, რომ ეს გუნდები გათამაშების ცხრილში მეზობლები არიან, სწორედ ამ შეხვედრაში შედგა „მინესოტას" გამთამაშებლის **რიკი რუბიოს** დაბრუნება. ესპანელმა მუხლის უმძიმესი ტრავმის შემდეგ იმკურნალა და ახლა მზად არის სათამაშოდ. „თავს ძალიან კომფორტულად ვგრძნობ. ასი პროცენტით ვარ მზად", - განაცხადა მატჩის წინ ესპანელმა გამთამაშებელმა. მიუხედავად ამისა, „ტიმბერვულვზის" სამწვრთნელო შტაბმა გადაწყვიტა, არ დაეტვირთა რიკი და მას მხოლოდ 18 სათამაშო წუთი მისცა, რომლის დროსაც პირენეელს სულ ცოტა დააკლდა ორმაგ დუბლამდე - მის ანგარიშზე 8 ქულა და 9 შედეგიანი პასი მოდიოდა.

თუმცა რუბიოს ვერ მოვუწონებდით სროლების გამოყენების პროცენტს. მან თამაშიდან 7-ჯერ ისროლა და მხოლოდ ერთი ბურთი მოათავსა კალათში, რამაც მეოთხე მეოთხედში ორჯერ ცუდი სამსახური გაუწია „მგლებს". რიკი საფინალო სირენამდე სამი წუთით ადრე გავიდა მოედანზე და ამ დროის განმავლობაში საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა - თავდაპირველად, უარყოფითი კუთხით. მან ძირითადი დროის დასრულებამდე ორი წუთით ადრე, თანაბარი ანგარიშისას ორივე საჯარიმო ააცილა. ცოტა ხანში, გამთამაშებელმა ორჯერ გაათანაბრა ანგარიში: ჯერ ზუსტი თავისუფალი ტყორცნებით, შემდეგ კი **პეკოვიჩზე** შედეგიანი გადაცემით. გარდა ამისა, სწორედ რუბიომ მოხსნა ბურთი საკუთარ ფარზე მას შემდეგ, რაც სირენამდე 35 წამით ადრე **მაიოს** ტყორცნა ასცდა მიზანს. რუბიოს შეეძლო მატჩის გმირიც გამხდარიყო: „მინესოტას" ბოლო შეტევაში **რიდნურმა** არაზუსტად ისროლა, მაგრამ **კირილენკომ** შეტევაში მოხსნა ბურთი და ესპანელს გადააწოდა, თუმცა ამ უკანასკნელმა ხელსაყრელი სიტუაციიდან ააცილა ბურთი კალათს.

დაინიშნა ოვერტაიმი, რომელიც „ვულვზმა" ძალიან ეფექტურად დაიწყო - **შვედის** ჩატენვისა და კირილენკოს ზედიზედ ხუთი ქულის წყალობით, მასპინძლები 10:0 გაიქცნენ. ბუნებრივია, დარჩენილ დროში „დალასმა" ვერ შეძლო ამ ჩამორჩენის ლიკვიდირება - ოვერტაიმში „ტექსასელების ანგარიშზე მოკრძალებული ოთხი ქულა იყო.

ასე რომ, „მინესოტამ" ზედიზედ მეოთხე გამარჯვება მოიპოვა, სხვათა შორის, **კევინ ლავის** გარეშე, რომელმაც მატჩის წინ იავადმყოფა.

### 14 დეკემბერი

**ტორონტო–დალასი 95:74**

24:25, 30:16, 15:14, 26:19

ტ: კლეიზა (20), როსი (18), კალდერონი (14), დეროზანი (14).

დ: კამანი (15), რაიტი (13), მერიონი (12+13 მოხსნა), მაიო (10).

**ვაშინგტონი–ლეიკერსი 96:102**

25:27, 30:31, 14:25, 27:19

ვ: მარტინი (21+8 მოხსნა), ნენე (17+8 მოხსნა), უებსტერი (17), სერაფინი (16+8 მოხსნა), ჯორ. კროუფორდი (11+6 მოხსნა).

ლ: ბრაიანტი (30+7 მოხსნა+7 პასი), მიქსი (24+3 ჩაჭრა), უორლდ პისი (13+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჰოვარდი (12+14 მოხსნა+4 დაფარება).

**ინდიანა–ფილადელფია 95:85**

25:20, 17:24, 29:22, 24:19

ი: ჯორჯი (28+6 მოხსნა+3 დაფარება), ჰიბერტი (19+13 მოხსნა), ჰილი (15+10 მოხსნა+10 პასი), უესტი (14+6 მოხსნა).

ფ: ტერნერი (22+10 მოხსნა+5 პასი), ჰოზი (18), ტ. იანგი (12+7 მოხსნა+3 ჩაჭრა+3 დაფარება).

**ბრუკლინი–დეტროიტი 107:105 (2ო)**

23:25, 36:22, 14:30, 17:13, 10:10, 7:5

ბ: ჯონსონი (28+5 პასი), უოლასი (25+10 მოხსნა), უილიამსი (17+6 პასი), ბლექჩი (16), ევანსი (0+10 მოხსნა).

დ: ნაიტი (22+5 პასი), სტაკი (19+6 მოხსნა), მონრო (17+8 მოხსნა), მაქსიელი (13), პრინსი (12+10 მოხსნა+6 პასი).

**კლივლენდი–მილუოკი 86:90**

17:25, 26:27, 24:20, 19:18

კ: ირვინგი (26), მაილზი (17), გიბსონი (11), ვარეჟაო (8+18 მოხსნა).

მ: ელისი (33+6 მოხსნა), ჯენინგსი (16+8 პასი+3 ჩაჭრა), ილიასოვა (11+8 მოხსნა), სანდერსი (10+10 მოხსნა+3 დაფარება).

**ორლანდო–გ. სტეიტი 99:85**

19:14, 32:21, 30:29, 18:21

ო: რედიკი (16), ნიკოლსონი (15+9 მოხსნა+4 დაფარება), მური (15+5 პასი), აფლალო (14+7 მოხსნა), ვუჩევიჩი (12+17 მოხსნა), ნელსონი (10+11 პასი).

გ-ს: კარი (25), ლი (24+15 მოხსნა), ჯეკი (12+7 მოხსნა+6 პასი).

**ნიუ ორლეანი–მინესოტა 102:113**

23:28, 27:22, 23:32, 29:31

ნ-ო: რივერსი (27), ანდერსონი (20+7 მოხსნა), ვასკესი (15+17 პასი), დევისი (11+7 მოხსნა+3 დაფარება), ლოპესი (10).

მ: პეკოვიჩი (31), კირილენკო (21+11 მოხსნა), რიდნური (15+10 პასი+4 ჩაჭრა), ლავი (14+9 მოხსნა), შვედი (13+8 პასი), ბარეა (12+5 პასი).

**ჰიუსტონი–ბოსტონი 101:89**

27:19, 16:26, 32:25, 26:19

ჰ: ჰარდენი (21+5 პასი+3 ჩაჭრა), სმითი (20+6 მოხსნა+3 დაფარება), პარსონსი (15+9 მოხსნა+8 პასი), დაგლასი (11), აშიქი (9+10 მოხსნა).

ბ: პირსი (18+7 მოხსნა), რონდო (15+13 პასი+4 ჩაჭრა), გარნეტი (14), ტერი (12).

**ოკლაჰომა–საკრამენტო 113:103**

29:26, 32:16, 21:26, 31:35

ო: დურანტი (31+4 ჩაჭრა), იბაკა (18+11 მოხსნა), მარტინი (18), სეფოლოშა (15), უესტბრუკი (13+13 პასი+3 ჩაჭრა).

ს: ტომასი (26), ტ. ევანსი (21+3 ჩაჭრა), ტომპსონი (15+6 მოხსნა), ბრუქსი (13), კაზინსი (10+7 მოხსნა).

**ფინიქსი–იუტა 99:84**

34:22, 22:20, 21:23, 22:19

ფ: დადლი (22+5 პასი), დრაგიჩი (17+5 პასი), გორტატი (12+14 მოხსნა), ბიზლი (11), ტაკერი (10).

ი: ჯეფერსონი (14+11 მოხსნა+3 დაფარება), მილსეპი (12+7 მოხსნა+5 პასი), ფეივორსი (11+8 მოხსნა), მარვ. უილიამსი (11), ფოიე (10).

**დენვერი–მემფისი 99:94**

17:16, 28:25, 24:28, 30:25

დ: იგუოდალა (20+7 პასი+5 ჩაჭრა), მილერი (18), გალინარი (14), ლოუსონი (13+5 პასი), ფარიდი (8+10 მოხსნა).

მ: გეი (21), კონლი (14), სპეიტსი (14), ელინგტონი (11), გასოლი (10+9 მოხსნა+5 პასი+3 ჩაჭრა+4 დაფარება), რენდოლფი (10), ბეილესი (0+11 პასი).

### 15 დეკემბერი

**ატლანტა–გ. სტეიტი 93:115**

26:26, 23:36, 19:26, 25:27

ა: ჰორფორდი (17+9 მოხსნა), უილიამსი (16), ჯონსონი (15+9 მოხსნა), ტიგი (10+8 პასი).

გ-ს: ლი (20+11 მოხსნა+3 ჩაჭრა), ლენდრი (19+7 მოხსნა), ბარნსი (19), კარი (18+8 მოხსნა+11 პასი+3 ჩაჭრა), ჯეკი (13+8 პასი).

**შარლოტი–ორლანდო 98:107**

21:29, 27:27, 29:25, 21:26

შ: უოკერი (32+7 პასი), ჰენდერსონი (16), სეშენსი (14), მალენსი (12).

ო: აფლალო (20+6 მოხსნა), დევისი (20), ნელსონი (16+6 პასი), რედიკი (14), ვუჩევიჩი (13+13 მოხსნა).

**ნიუ იორკი–კლივლენდი 103:102**

27:28, 21:17, 30:28, 25:29

ნ-ი: ფელტონი (25+7 პასი), ჩენდლერი (23+10 მოხსნა), სმითი (16), ნოვაკი (13), კოუპლენდი (11).

კ: ირვინგი (41+5 პასი), მაილზი (17+8 მოხსნა), ტომპსონი (10).

**მაიამი–ვაშინგტონი 102:72**

26:14, 24:22, 29:10, 23:26

მ: ჯეიმსი (23+10 მოხსნა+5 პასი), ჰასლემი (13+7 მოხსნა), უეიდი (13+6 პასი), ბოში (12).

ვ: ბილი (19), მარტინი (18+6 მოხსნა), ოკაფორი (8+10 მოხსნა).

**დეტროიტი–ინდიანა 77:88**

22:26, 16:16, 22:21, 17:25

დ: მონრო (18+8 მოხსნა), სტაკი (15+7 პასი), ნაიტი (14), დრამონდი (11+9 მოხსნა+3 დაფარება).

ი: უესტი (23), ჰილი (18+7 პასი), ჯორჯი (15+8 მოხსნა+8 პასი+4 ჩაჭრა), ჰენსბრო (11+6 მოხსნა).

**ჩიკაგო–ბრუკლინი 83:82**

23:24, 23:17, 21:21, 16:20

ჩ: ბელინელი (19), დენგი (17+7 მოხსნა), ბუზერი (15+6 მოხსნა), ნოა (12+10 მოხსნა+5 პასი+3 ჩაჭრა).

ბ: უილიამსი (24+5 პასი), ლოპესი (18+10 მოხსნა), ჯონსონი (16+5 პასი).

**მინესოტა–დალასი 114:106 (ო)**

22:32, 32:13, 26:25, 22:32, 12:4

მ: პეკოვიჩი (21+9 მოხსნა), შვედთ (18+6 პასი), უილიამსი (16+6 მოხსნა), რიდნური (15+6 მოხსნა), კირილენკო (14+10 მოხსნა), ბარეა (14), რუბიო (8+9 პასი).

დ: მაიო (20+6 პასი), ფიშერი (20), ბრენდი (15+7 მოხსნა), მერიონი (14+10 მოხსნა), კამანი (11+6 მოხსნა).

**მილუოკი–კლიპერსი 85:111**

15:28, 20:27, 27:24, 23:32

მ: დენიელსი (16), ელისი (13), მბა ა მუტე (11+6 მოხსნა).

კ: ბარნსი (21), გრიფინი (18+11 მოხსნა), ჯორდანი (15+11 მოხსნა), პოლი (10+13 პასი), ოდომი (10).

**სან ანტონიო–ბოსტონი 103:88**

26:21, 26:28, 25:20, 26:19

ს-ა: პარკერი (22+8 პასი+4 ჩაჭრა), ნილი (20), სპლიტერი (16+8 მოხსნა), გრინი (12), დანკანი (5+12 მოხსნა).

ბ: პირსი (18+3 ჩაჭრა), ტერი (18), გარნეტი (13+6 მოხსნა), ლი (11), გრინი (10).

**იუტა–მემფისი 86:99**

21:19, 33:25, 10:28, 22:27

ი: ჯეფერსონი (21+8 მოხსნა), მილსეპი (12), ჰეივორდი (11+5 პასი), კანტერი (10).

მ: რენდოლფი (25+16 მოხსნა+3 ჩაჭრა), გასოლი (16+8 მოხსნა), გეი (14), კონლი (12+8 პასი).

# პაუ 22 დეკემბერს დაბრუნდება

„ტორონტოს" ფორვარდმა **ანდრეა ბარნიანიმ** გაარკვია მოედანზე დაბრუნების მიახლოებითი თარიღი. ვარაუდობენ, იტალიელი მარჯვენა იდაყვზე მყესების განყვეტისა და მარჯვენა მაჯის ტრავმის გამო სამ კვირას გამოტოვებს.

მიმდინარე სეზონში ბარნიანი საშუალოდ მატჩში 16 ქულასა და 4.3 მოხსნას აგროვებს.

■ ■ ■

გაცილებით უკეთესი მდგომარეობა აქვს „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ესპანელ ლეგიონერს **პაუ გასოლს**, რომელიც ძალიან მალე განაახლებს ვარჯიშს, - წერს გაზეთი „ლოს ანჯელეს თაიმსი". ექიმები ვარაუდობენ, რომ გასოლი მზად იქნება „გოლდენ სლეიტთან" მატჩისთვის, რომელიც 22 დეკემბერს გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ გასოლმა მუხლის ტრავმის გამო ზედიზედ შვიდი მატჩი გამოტოვა. წელს, რეგულარულ ჩემპიონატში მის ანგარიშზე 12.6 ქულა და 8.8 მოხსნა მოდის.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**უელსი**

| | |
|---|---|
| ბალა-ლანელი | 1:2 |
| ბანგორი-კარმარტენი | 2:2 |
| ნიუთაუნი-აფან ლიდო | 1:2 |
| პორტ ტელბოტი-ტნს | 1:3 |

**ბულგარეთის თასი**

**1/8 ფინალი. II მატჩები**

| | |
|---|---|
| ლოვეჩი-სპარტაკი | 7:1 (1:0) |
| ლოკომოტივი-ბეროე | 1:4 (0:4) |
| მინიორი-ბანსკო | 2:1 (1:1) |
| ცსკა-ჩავდარი | 5:0 (2:0) |
| ჩერნო მორე-ლევსკი | 1:0 (0:4) |
| ჩერნომორეცი-ლოკომოტ. (ს) | 1:0 (1:3) |
| ბოტევი-სლავია | (0:3) |
| ნეფტოხიმიკი-პირინი | (0:1) |

**აზერბაიჯანი**

| | |
|---|---|
| ძაფაზი-ინტერი | 0:2 |
| ბაკუ-ყარაბაღი | 0:0 |
| აზალ-თურანი | 0:0 |
| ძაბალა-შიმურძი | 0:1 |
| რავანი-სუმგაიტი | 2:3 |

**ავსტრალია**

| | |
|---|---|
| მელბურნ ვ-ბრისბენი | 1:1 |
| სიდნეი-უონდერერსი | 0:2 |
| ადელაიდა-ველინგტონი | 3:1 |

**ეკვადორი**

**პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| ინდეპენდიენტე-ლდუ დე ლოხა | 0:1 |

**პარაგვაი**

| | |
|---|---|
| სერო პორტენიო-ტაკუარი | 5:1 |
| დეპ. კარაპეგუა-ოლიმპია | 4:1 |
| ინდეპენდიენტე-ნასიონალი | 0:3 |
| სოლ დე ამერიკა-სერო პორტენ. | 0:2 |
| ლიბერტადი-სპორტივო | 2:0 |
| რუბიო ნუ-გუარანი | 1:0 |

### კალათბურთი

**NBA**

| | |
|---|---|
| ტორონტო-ჰიუსტონი | 103:96 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| სკაილაინერსი-ჰაგენი | 102:107 |
| ალბა-ბამბერგი | 90:75 |
| ბრემერჰავენი-ბრაუნშვაიგი | 80:72 |
| ტრიერი-ბაიროიტი | 72:65 |
| ბონი-ვიურცბურგი | 72:85 |
| ლუდვიგსბურგი-ტიუბინგენი | 71:76 (ო) |

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი-ილისიაკოსი | 113:75 |
| პერისტერი-კოლოსოსი | 91:89 |
| იკაროსი-რეტიმნო | 61:66 |
| კავალა-პანათინაიკოსი | 71:97 |
| აპოლონი-პანიონიოსი | 93:99 (ო) |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| მურსია-მანრესა | 95:80 |
| კახა ლაბორალი-ბილბაო | 81:80 |
| ფუენლაბრადა-ესტუდიანტესი | 70:63 |
| კახასოლი-ლაგუნ არო | 73:57 |
| ვალენსია-ხუვენტუდი | 107:75 |
| გრან კანარია-ბარსელონა | 81:69 |
| ობრადოირო-რეალი | 87:97 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| ჰაჩეთეფე-ფენერბაჰჩე | 59:92 |
| ალიაგა-ბეშიქთაში | 72:76 |
| ბანვითი-გაზიანთეფი | 95:81 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| ნანტი-შალონი | 81:74 |

### ხელბურთი

**ევროპის ჩემპიონატი**

**ქალები**

| | |
|---|---|
| უნგრეთი-სერბეთი | 41:38 (ო) |
| ნორვეგია-ჩერნოგორია | 31:34 (ო) |

### ჰოკეი

**ევროტური**

| | |
|---|---|
| რუსეთი-ფინეთი | 3:1 |
| ჩეხეთი-შვედეთი | 0:4 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| გრაცი-ალგა | 2:1 |
| კლაგენფიურტი-ვილახი | 3:0 |
| ოლიმპია-დორნბირნი | 4:3 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| მიუნხენი-ჰანოვერი | 3:2 |
| იზერლონი-აუგსბურგი | 5:4 (ო) |
| შტრაუბინგი-კიოლნი | 1:4 |
| ვოლფსბურგი-დიუსელდორფი | 5:2 |
| მანჰაიმი-ინგოლშტადტი | 5:0 |

## TV პროგრამა

### 17 დეკემბერი. ორშაბათი

**GMG-ფეხბურთი**

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. XVII ტური. ვერდერი-ნიურნბერგი.
12:00 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ნაპოლი-ატლეტიკო.
14:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XVII ტური. ნიიმეგენი-ეინდჰოვენი.
16:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. მილანი-ანდერლეხტი.
18:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XVII ტურის მიმოხილვა.
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. XVII ტური. ნიუკასლი-მანჩესტერ სიტი.
21:00 გერმანიის ჩემპიონატი. XVII ტურის მიმოხილვა.
22:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
23:00 პროგრამა - საფეხბურთო ღამე.
00:00 ინგლისის ჩემპიონატი. XVII ტური. რედინგი-არსენალი (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ბრომვიჩი-ვესტ ჰემი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-ლეიკერსი.
15:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰოფენჰაიმი-დორტმუნდი.
17:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ჰამბურგი-ფლენსბურგი.
19:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-სუონსი.
22:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. სარასენსი-მანსტერი.
00:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-ლეიკერსი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონტე კარლო. მონაკო.
12:10 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მიმოხილვა. მონტე კარლო. მონაკო.
13:10 სპორტ-NEWS.
13:40 რაგბი. ჰეინეკენის თასი. კარდიფი-მონპელიე.
15:40 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მადრიდი. ესპანეთი.
17:10 სპორტ-NEWS.
17:40 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. აინტრახტი-ვერდერი.
19:40 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-ბრუკლინი.
21:40 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მადრიდი. ესპანეთი.

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | -5 | -1 | (მცირე თოვლი) |
| ქუთაისი | 0 | 7 | (მზე) |
| ბათუმი | 4 | 10 | (მზე |
| ფოთი | 3 | 9 | (მზე) |
| ზუგდიდი | 0 | 6 | (მზე) |
| გორი | -8 | -2 | (მზე) |
| თელავი | -5 | -2 | (მცირე თოვლი) |
| სიღნაღი | -6 | -2 | (მცირე თოვლი) |
| ბაკურიანი | -11 | -5 | (მზე) |
| ბორჯომი | -8 | -3 | (მზე) |
| მესტია | -9 | -3 | (მზე) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1762 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6629 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6826 |
| 100 რუსული რუბლი | 5.4185 |

# ევროპული ამბები

„პანათინაიკოსი" ერთი თვის განმავლობაში, ბერძნულ გრანდს „პანათინაიკოსს" თავისი წამყვანი ცენტრის **სოფოკლის შორცანიდისის** გარეშე მოუწევს თამაში.

კალათბურთელმა ტერფის ტრავმა ევროლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში მიიღო. „ხიმკის" წინააღმდეგ შავკანიანმა ბერძენმა მხოლოდ 19 წუთი დაჰყო მოედანზე.

ამ დაზიანების გამო, შორცანიდისი ვერ დაეხმარება თავის გუნდს ევროლიგის მეორე რაუნდის საწყის ტურებში.

■ ■ ■

ამასობაში, დასრულდა ევროლიგის რეგულარული სეზონი და პირველი ეტაპის მიხედვით 16 საუკეთესო გუნდი TOP16-ში ორ ჯგუფად შემდეგნაირად განაწილდა:

**E ჯგუფი:** „რეალი" (A1), „ჟალგირისი" (C1), „უნიკახა" (B2), ცსკა (D2), „პანათინაიკოსი" (A3), „ეფეს პილსენი" (C3), „ალბა" (B4), „ბამბერგი" (D4).

**F ჯგუფი:** „მაკაბი" (B1), „ბარსელონა" (D1), „ხიმკი" (A2), „ოლიმპიაკოსი" (C2), „მონტეპასკი" (B3), „ბეშიქთაში" (D3), „ფენერბაჰჩე" (A4), „კახა ლაბორალი" (C4).

TOP16-ის პირველი ტურის მატჩები 27 დეკემბერს გაიმართება.

■ ■ ■

ორი დღის წინ, „FIBA-ევროპამ" გამოაქვეყნა კონტინენტის 2012 წლის საუკეთესო კალათბურთელის პრიზის მაძიებელთა სია.

მამაკაცთა შორის წლის მოთამაშის ტიტულზე პრეტენზიას შემდეგი კალათბურთელები აცხადებენ (ალსანიშნავია, რომ ნომინანტთა შორის ერთადერთი კალათბურთელია **ვასილის სპანულისი**, რომელიც ევროპაში თამაშობს, დანარჩენები NBA-ს წარმოადგენენ):

**დანილო გალინარი** (იტალია, „დენვერი"), **ანდრეი კირილენკო** (რუსეთი, „მინესოტა"), **გორან დრაგიჩი** (სლოვენია, „ფინიქსი"), **მარკ გასოლი** (ესპანეთი, „მემფისი"), **მარცინ გორტატი** (პოლონეთი, „ფინიქსი"), **ნიკოლა პეკოვიჩი** (ჩერნოგორია, „მინესოტა"), **ომერ აშიქი** (თურქეთი, „ჰიუსტონი"), **პაუ გასოლი** (ესპანეთი, „ლეიკერსი"), **ტონი პარკერი** (საფრანგეთი, „სან ანტონიო"), ვასილის სპანულისი (საბერძნეთი, „ოლიმპიაკოსი").

საუკეთესო გამოვლინდება „FIBA-ევროპას" ვებგვერდის მნახველთა კონკურსისა და ექსპერტთა ჯგუფის აზრის გათვალისწინებით. ხმის მიცემა 31 იანვრამდე გაგრძელდება, გამარჯვებულს კი თებერვლის შუა რიცხვებში გამოაცხადებენ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ავტოსპორტი. ჩემპიონთა რბოლა



რომენ გროსჟანი



გერმანელების ეკიპაჟი

# გროსჟანი და გერმანიის ნაკრები

საავტომობილო სეზონი 2012 წელს, ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში ტრადიციული „ჩემპიონთა რბოლით" დასრულდა. წელს, ამ ტურნირმა თავისი მეოთხედსაუკუნოვანი იუბილე აღნიშნა და პირველად მისი გამარჯვებული გახდა ფორმულა 1-ის მოქმედი პილოტი. **რომენ გროსჟანმა**, რომელმაც დღე **მიხაელ შუმახერთან** წაგებით დაიწყო, მოგვიანებით არც ერთი დუელი არ წააგო, მათ შორის ფინალში ამტანობაზე რბოლების ვეტერანთან **ტომ კრისტენსენთან**.

თუმცა ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ. პირველი დღე, ტრადიციულად ერივნებათა თასის გათამაშებას დაეთმო, რომელშიც რვა გუნდმა მიიღო მონაწილეობა. ზედიზედ მეექვსედ ეს პრიზი გერმანიის ნაკრებმა მოიპოვა. **მიხაელ შუმახერმა** და **სებასტიან ფეტელმა** ტურნირის პირველ დღეს ათიდან ათი დუელის მოგება შეძლეს!

ჯგუფურ ეტაპზე მთავარი მოულოდნელობა გახდა ბრიტანეთის ნაკრების ჩავარდნა. **დევიდ კულტჰარდი** და მსოფლიო ტურინგის სამგზის ჩემპიონი **ენდი პრიოლი** სწრაფად მოძრაობდნენ, მაგრამ ძალიან ხშირად ეხებოდნენ ბარიერებს და რამდენიმე „ყვითელი ბარათი" მიიღეს.

საბოლოოდ, A ჯგუფიდან შემდეგ ეტაპზე ფრანგები და „ყველა ვარსკვლავის გუნდის" წევრები გავიდნენ, B ჯგუფში კი, როგორც მოსალოდნელი იყო, საუკეთესოები იყვნენ - გერმანია და ავსტრალია.

ნახევარფინალში საფრანგეთმა (**რომენ გროსჟანი** და **სებასტიან ოჟიე**) „ოლ სტარსს" მოუგო, რომლის რიგებში გამოდიოდნენ დანიელი ტომ კრისტენსენი და მოტოგრანპრიში მსოფლიოს ჩემპიონი **ხორხე ლორენსო**. ამ უკანასკნელმა პირველ დღეს დაახლოებით იმდენი შეცდომა დაუშვა, რამდენიც ყველა სხვა მონაწილემ ერთად აღებულმა. ამიტომაც, ფრანგებს არ გასჭირვებიათ ფინალში გასვლა.

მეორე ნახევარფინალშიც არ ყოფილა დიდი ბრძოლა. შუმახერისა და ფეტელის წყვილმა სერიოზული წინააღმდეგობის გარეშე დაამარცხეს V8 Supercar-ის ჩემპიონი **ჯეიმი უინკაპი** და ვეტერანი მოტომრბოლი **მიკ დუენი**.

ელოდნენ, რომ ფინალში დაძაბული ბრძოლა იქნებოდა, მაგრამ ჯამში ფორმულა 1-ის ათი ტიტულის მფლობელმა გერმანელებმა ფრანგებს შანსი არ დაუტოვეს.

■ ■ ■

გუშინ კი გაიმართა ინდივიდუალური პირველობა, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რომენ გროსჟანმა მოიგო. თუმცა, ჯერ კიდევ ჯგუფურ ეტაპზე იყო მომენტი, როცა ფრანგის შანსები კითხვის ნიშნის ქვეშ იყო - მან მოულოდნელად წააგო იაპონელ **კაზუე ოშიმესთან** Turbo Racecar-ით. მაგრამ გაირკვა, რომ რომენის მეტოქე მოსახვევში ბამპერით ერთ-ერთ ბარიერს შეეხო და ამით, გარკვეულწილად, დისტანცია შეამოკლა. იაპონელმა ხუთწამიანი ჯარიმა მიიღო და წააგო.

პირველ რაუნდში მოულოდნელობა თითქმის არ მომხდარა: მხოლოდ ტრადიციულად სწრაფი ენდი პრიოლი ვერ გავიდა მეოთხედფინალში: მან **ჰო-პინ ტუნთან** წააგო.

შემდეგ კი პირველი სენსაცია მოხდა. სებასტიან ფეტელი ლია KTM X-Bow-ის მართვისას ბარიერს შეეჯახა და უკანა დაკიდება დააზიანა, რამაც ფინიშამდე მისვლის საშუალება არ მისცა. ნახევარფინალურ სტადიაზე გამოეთიშა ბრძოლას გერმანიის ნაკრების მეორე წევრი - მიხაელ შუმახერი, რომელმაც ვერაფერი მოუხერხა გროსჟანს.

ფრანგის მეტოქე ფინალში ტომ კრისტენსენი გახდა: „მისტერ ლე მანმა" დამაჯერებლად მოუგო შარშანდელ გამარჯვებულს სებასტიან ოჟიეს, შემდეგ დევიდ კულტჰარდს, მაგრამ გროსჟანის წინააღმდეგ არგუმენტები არ აღმოაჩნდა.

რომენისთვის რთული სეზონის ბოლოს ეს გამარჯვება ნამდვილად კარგი საჩუქარი იქნება შობის წინ, თუმცა, ეჭვგარეშეა, ფრანგი ამ თასს სიამოვნებით გაცვლიდა 2013 წლისთვის „ლოტუსთან" კონტრაქტში.

● კრივი

# წააგო და წავიდა

ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიმართა დიდი საკრივო შოუ, რომლის მთავარი ბრძოლა იყო WBO-ის ვერსიით პირველ ნახევრადმჩატე წონაში მსოფლიოს ჩემპიონის, 30 წლის ფილიპინელი **ნონიტო დონერისა** და ოთხ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონის, 33 წლის მექსიკელი **ხორხე არსეს** დუელი.

პირველივე წუთებიდან ცხადი გახდა, რომ დონერი, რომელიც The Ring-ის საუკეთესო მოკრივეთა პირველ ათეულში შედის, არ აპირებდა ამ ბრძოლის დიდი ხნით გაწელვას და ძლიერ დარტყმას ამზადებდა.

მეორე რაუნდში, შემხვედრი დარტყმით ფილიპინელმა მეტოქე ნოკდაუნში გაგზავნა, თუმცა მექსიკელმა შეძლო ბრძოლის გაგრძელება. მესამე რაუნდის ბოლოს, დონერმა წარმატებული დარტყმების სერია განახორციელა და არსე უმძიმეს ნოკდაუნში გაგზავნა. მექსიკელი ამ შემხვევაშიც წამოდგა, მაგრამ ეტყობოდა, რომ აღარ შეეძლო ბრძოლის გაგრძელება. მიუხედავად ამისა, მსაჯმა გადაწყვიტა არ გაეჩერებინა შეხვედრა. დონერი მაშინვე წერტილის დასასმელად წავიდა წინ და რამდენიმე მძიმე დარტყმით არსე ნოკაუტში ჩააგდო.

ბრძოლის შემდეგ, 33 წლის არსემ პროფესიული კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა. როგორც ვთქვით, ის ოთხ წონით კატეგორიაში იყო მსოფლიოს ჩემპიონი. სულ კარიერაში 70 ბრძოლა ჩაატარა, მოიგო 61 (46 - ნოკაუტით), დათმო შვიდი და ორი ბრძოლა ფრედ დაასრულა.

*„ჩემი კარიერა დასასრულს მიუახლოვდა. ახლა, უმეტეს დროს ოჯახს დავუთმობ. წინასწარ დავპირდი ჩემს ახლობელ ადამიანებს, რომ თუ ამ ბრძოლას დავთმობდი, კრივიდან აუცილებლად წამოვიდოდი. სიტყვა უნდა შევასრულო"*, - თქვა არსემ.

■ ■ ■

ასევე საინტერესო იყო ბრძოლა გერმანიაში. მეორე საშუალო წონაში WBO-ის ჩემპიონი, სომხური წარმოშობის გერმანელი **არტურ აბრაჰამი** პირველად იცავდა კუთვნილ ტიტულს 30 წლის ფრანგი **მეჰდი ბუადლას** წინააღმდეგ. აბრაჰამმა ეს საჩემპიონო ქამარი ზაფხულში ჩამოართვა თანამემამულე **სერგეი შტიგლიცს**.

ბრძოლა ჩემპიონის უპირატესობით მიდიოდა. მასპინძელი ჩვეულ სტილში მოქმედებდა - დარტყმების კარგ სერიას პაუზებს უნაცვლებდა. თუმცა ფრანგსაც ჰქონდა გარკვეული წარმატებები - მან მაღალი აქტიურობის წყალობით აიღო რამდენიმე რაუნდი.

მერვე რაუნდის შუაში აბრაჰამმა კარგი კომბინაცია ჩაატარა, რომელსაც ბუადლამ ვერაფერი დაუპირისპირდა. გერმანელი წარმატების განვრცობას აპირებდა, როცა რეფერიმ შეხვედრა გააჩერა. მისი აზრით, წარბის დაზიანება ფრანგს ბრძოლის გაგრძელების საშუალებას არ მისცემდა.

■ ■ ■

კიდევ ერთი ბრძოლა იპყრობდა კრივის მოყვარულთა ინტერესს. ლოს ანჯელესში ერთმანეთს შეხვდნენ პირველ ნახევრადსაშუალო წონაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, 26 წლის ბრიტანელი **ამირ ჰანი** და პროფესიულ რინგზე აქამდე დაუმარცხებელი 27 წლის ამერიკელი **კარლოს მოლინა**.

ხანი მთელი ბრძოლის განმავლობაში აკონტროლებდა სიტუაციას. მეცხრე რაუნდის შემდეგ, რეფერიმ გააფრთხილა მოლინას სეკუნდანტები იმის შესახებ, რომ ამერიკელი ზუსტ დარტყმებს არ ახორციელებდა და წარბი ჰქონდა დაზიანებული. მოლინას მწვრთნელმა მსაჯს ბრძოლის კიდევ ერთი რაუნდით გაგრძელება სთხოვა, მაგრამ მეცხრე რაუნდის შემდეგ, შეხვედრის შეჩერება და ხანის გამარჯვებულად გამოცხადება გადაწყდა.



არსეს ნოკაუტი

● სამთო თხილამურები. მსოფლიოს თასი

# სენსაციური ეტაპი

სენსაციურად გაგრძელდა იტალიის კურორტ ვალ გარდენაში მამაკაცებს შორის მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპი. ამერიკელმა **სტივენ ნიმენმა** ექვსწლიანი (!) შესვენების შემდეგ მოიგო მსოფლიოს თასის სტარტი - მან არავის დაუთმო პირველობა სწრაფდაშვებაში.

ურთულესი მეტეოროლოგიური პირობების გამო, შეჯიბრი რამდენჯერმე გადაიდო. ორგანიზატორებმა ისიც კი იფიქრეს, რომ ტრასსა დაემოკლებინათ და სწრაფდაშვება ორ ცდად ჩაეტარებინათ, მაგრამ ბოლოს, ამ იდეაზე უარი თქვეს.

ამ არეული სიტუაციით ყველაზე კარგად სტივენ ნიმენმა ისარგებლა, რომელსაც მსოფლიოს თასზე ერთადერთი გამარჯვება ექვსი წლის წინ, სწორედ ამ ტრასაზე ჰქონდა. ამის შემდეგ, მას ძალიან რთული პერიოდის გადატანა მოუწია, გაუმკლავდა უმძიმეს ტრავმას და ახლა, ვალ გარდენაში შესანიშნავად გამოიყენა ბედის საჩუქარი.

ასევე მოულოდნელად, მეორე ადგილი სლოვენიელმა **როი პერკომ** დაიკავა, რომელმაც მცირედით აჯობა კანადელ **ერიკ გუეის**. საერთოდაც, თუ პირველ ათეულს გადავავლებთ თვალს, იქ ვარსკვლავებს ნაკლებად აღმოვაჩენთ: ნორვეგიელები **ჩიეტილ იანსრუდი** და **აქსელ ლუნდ სვინდალი**, აგრეთვე იტალიელი **ვერნერ ჰილი**. ამ ტრიოს შეიძლება დავუმატოთ ბევრისგან მივიწყებული კანადელი **მანუელ ოსბორნ-პარადი**.

ნამდვილი სენსაცია მოახდინა **მარვინ ვენ ჰეეკმა** ჰოლანდიიდან, რომელიც მერვე პოზიციაზე გავიდა. ვინ წარმოიდგენდა, რომ ჰოლანდიას შეიძლებოდა ტოპ-ათეულში ჰყოლოდა წარმომადგენელი, მაგრამ ასეთებიც ხდება, მით უმეტეს, ცუდ მეტეოროლოგიურ პირობებში.

საფრანგეთის ვალ დ'იზერში კი ქალებმა ვერ შეძლეს მსოფლიოს თასის ეტაპის გაგრძელება. ძლიერი თოვლის გამო გაუქმდა სუპერ-გიგანტის სტარტი.



სტივენ ნიმანი

**სწრაფდაშვება**

1. **სტივენ ნიმენი** (აშშ) - 1:28.82; 2. **როკ პერკო** (სლოვენია) - +0.19; 3. **ერიკ გუეი** (კანადა) - +0.24; 4. **ჩიეტილ იანსრუდი** (ნორვეგია) - +0.40; 5. **აქსელ ლუნდ სვინდალი** (ნორვეგია) - +0.45; 6. **ვერნერ ჰელი** (იტალია) - +0.50...

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ნიკოლოზ ნეფარიძე**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608